

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასტამურ ჯიხაშვილი

**«ქართული ფაქტორი აფხაზური სეცესიური ნაციონალიზმის
განვითარებაში»**

ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები

**სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ნაციონალიზმისა და
ეთნიკურობის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის**

მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფ.: ზურაბ დავითაშვილი

თბილისი

2017

ანოტაცია

საბჭოთა კავშირში დაწყებული დაძაბულობა ქართულ და აფხაზურ ეთნიკურ ჯგუფებს შორის თანდათან მწვავდება და საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში პირდაპირ დაპირისპირებაში გადადის. ეს უკანასკნელი კი 1992 წლის 14 აგვისტოს ქართულ-აფხაზურ ომში გადაიზარდა. ნაშრომის მიზანია იმის დადგენა, თუ როგორ მოხდა აფხაზურ ნაციონალურ ნარატივში ქართველების წარმოჩენა „მუდმივი საფრთხის წყაროდ“ და როგორ ხდებოდა აფხაზური ინტელიგენციის მიერ ამ ნარატივით საქართველოსგან სეცესიის ლეგიტიმაცია.

შესაბამისად, ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგია: აფხაზურმა ინტელიგენციამ წარსულში მომხდარი ფაქტების ინსტრუმენტალიზაციითა და ზოგიერთ შემთხვევაში მათი მითოლოგიზაციის გზით აფხაზურ საზოგადოებაში შექმნა მტრის ხატი „ქართველთა ანტიაფხაზური პოლიტიკის“ სახით, რითაც საბოლოოდ ამართლებდა მოსაზრებას, რომ საქართველოს შემადგენლობაში დარჩენის შემთხვევაში (განურჩევლად იმისა, სსრკ-სა თუ მით უმეტეს დამოუკიდებელ საქართველოში) შეუძლებელი იქნებოდა აფხაზური ეთნოსის უსაფრთხო არსებობისა და შემდგომი განვითარების გარანტირება.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად, ნაშრომის ფარგლებში გამოკვლეულ იქნა აფხაზური ინტელიგენციის ოფიციალური მიმართვები საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელ პირთა და ინსტიტუტთა სახელზე, სადაც უმეტესწილად გაჟღერებულია ბრალდებები როგორც ცალკეული ეთნიკურად ქართველი პოლიტიკოსების, ისე ოფიციალური თბილისის წინააღმდეგ, რომლებსაც ანტიაფხაზური პოლიტიკის გატარება ედებათ ბრალად. ამის საფუძველზე მიმართვების ავტორები მოითხოვდნენ აფხაზეთის ასსრ-ს გამოყოფას საქართველოს სსრ-ს შემადგენლობიდან. 1992-93 წლების ომი კი აფხაზურმა ინტელექტუალურმა და პოლიტიკურმა ელიტამ ანტიაფხაზური პოლიტიკის კულმინაციად შეაფასა და აფხაზეთის სეცესიის აუცილებლობის კიდევ ერთ არგუმენტად დაასახელა.

Annotation

«A Georgian Factor in the development of the Abkhaz Secessionist Movement»

A tension, originated in the USSR between Georgian and Abkhaz ethnic groups gradually transformed into a large-scale confrontation at the end of the Soviet era and resulted in the Georgian-Abkhaz war on 14 August, 1992. The thesis seeks to examine the ways Georgians had been identified as a “constant source of danger” in the Abkhaz national narrative and how it was used by an Abkhaz intelligentsia in order to legitimise the secession from Georgia. Consequently, the hypothesis is defined as the following: the Abkhaz intelligentsia created the image of the enemy - “Georgian Anti-Abkhazian Politics” - through instrumentalization and in some cases, through mythologisation of past events. Such image justified the idea that in case of being part of Georgia (regardless the Georgian SSR or an independent country) the security of Abkhaz ethnos and its further development would be jeopardized.

To prove the hypothesis, the paper analyses official reports of the Abkhaz intelligentsia mainly accusing several ethnic Georgian politicians, or the whole government itself for adopting anti-Abkhazian policies. On the basis of these accusations, authors of the reports demanded the separation of the Abkhaz ASSR from the Georgian SSR. The 1992-1993 war was further assessed as a culmination of anti-Abkhazian politics and therefore, one more reason for the necessity of secession from Georgia by Abkhaz intellectual and political elite.

Contents

ანოტაცია.....	2
Annotation	3
შესავალი	5
I. ნაშრომის თეორიული ჩარჩო.	8
II. მეთოდოლოგია.....	12
III. ძირითადი ტერმინების განმარტება.	13
ლიტერატურული მიმოხილვა:.....	13
1. აფხაზური ნაციონალიზმის განვითარების გზა:	19
I. აფხაზური ეროვნული იდენტობა?	20
II. აფხაზური ეროვნული ნარატივის ძირითადი საყრდენები.	23
2. აფხაზების როლი ქართულ ნაციონალურ ნარატივში.....	31
3. აფხაზური ნაციონალიზმის რეფლექსია ქართულ ფაქტორზე მუპაჯირობის ეპოქიდან სტალინის კულტის დაგმობამდე.	36
I. ქართველების როლი აფხაზთა მუპაჯირობის ნარატივში და მიგრაციის პირველი ტალღები.	39
II. აფხაზეთის «მენშევიკური ოკუპაცია» და ახალი მიგრაციული ტალღები.	48
III. ომი აფხაზურ ანბანთან.	55
IV. აფხაზური სკოლების დახურვა. ბრძოლა აფხაზურ ენასთან.	58
V. აფხაზური ტოპონიმიკის შეცვლა.....	62
4. აფხაზური ნაციონალიზმის რეფლექსია ხრუშოვის „დათბობის“ ხანიდან ქართულ-აფხაზურ ომამდე.....	65
I. ისტორიკოსთა ომები.	67
II. სხვა ბრალდებები.	74
III. საბჭოთა ტერორი - «ხიდან ჩამოვარდნილს გველმა უკბინა».	77
IV. იდეოლოგიური შემზადება სეცესიისკენ.	80
V. აფხაზური ლეგენდის ხორცებები.	86
5. რეფლექსია ომისშემდგომ აფხაზეთში.	87
I. რეფლექსია ქართულ-აფხაზური ომზე	88
II. ახალი ტენდენციები აფხაზურ ეროვნულ ნარატივში.	92
დასკვნა.....	95

გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული სია.....	97
დანართი:	103

შესავალი

თანამედროვე აფხაზურ საზოგადოებას წითელ ხაზად გასდევს მითი ჩაგრულობის შესახებ, რომლის მიხედვითაც დამპყრობლები ყოველთვის ცდილობდნენ აფხაზეთის ხელში ჩაგდებას. აფხაზურ ეროვნულ ნარატივში უკანასკნელი დამპყრობლები ქართველები არიან. ჩამოყალიბებული წარმოდგენის თანახმად, ქართველები აფხაზეთის დაპყრობასა და აფხაზთა განადგურებას საუკუნეზე დიდხანს გეგმავენ, ამ გეგმის კულმინაცია კი 1992 წლის „ქართველთა მზაკვრული აგრესია“ იყო. ნარატივში ქართული მხარის ბრალეულობა იმდენადაა წამოწეული წინა პლანზე, რომ მის ფონზე ყველა სხვა „მჩაგვრელი“ წარსულიდან თითქმის შეუმჩნეველია. დიდწილად სწორედ ქართული მხარის აფხაზებისადმი აგრესიულობაზე აპელირებაა აფხაზური სეცესიონიზმის იდეისათვის მნიშვნელოვანი არგუმენტი.

ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ისტორია მრავალცვლადიანი განტოლებაა და მისი მხოლოდ ერთი ცვლადის გამოყენებით, ანუ რუსეთის ფაქტორით ამოხსნის მცდელობა წარუმატებელი იქნება. გავრცელებული ხედვის თანახმად, აღნიშნული ინტერესთა კონფლიქტის მოგვარება მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა რუსეთის ფედერაცია ვეღარ შესძლებს საკუთარი ინტერესების დაცვას ამიერკავკასიაში, ან საერთოდ უარს იტყვის იმპერიულ ამბიციებზე, რაც ნაკლებ სავარაუდოა, მით უმეტეს ახლო პერსპექტივაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თბილისი და სოხუმი ერთმანეთის პირისპირ მოსკოვის აქტიური თუ პასიური დესტრუქციული ჩარევის გარეშე დარჩებიან, თბილისი მაინც დიდი წინააღმდეგობის წინაშე აღმოჩნდება. მარტივი არ იქნება ერთიან სახელმწიფოში თანაცხოვრებაზე აფხაზური მხარის დაყოლიება. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს: აფხაზეთმა თბილისისგან დე-ფაქტო დამოუკიდებლად არსებობის 25 წლიანი გამოცდილება დააგროვა, თანაც ამ პერიოდის მანძილზე აფხაზური ერი საბოლოოდ ჩამოყალიბდა და დღეს მის ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებას დამოუკიდებლობა წარმოადგენს.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომის მიზანია დაადგინოს რა მნიშვნელობას აკუთვნებენ აფხაზები საკუთარ ეროვნულ ნარატივში ქართველებს, როცა საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფის გამართლებას ცდილობენ. ამისთვის საჭირო იქნება თვალი გავადევნოთ აფხაზური სეცესიური ნაციონალიზმის განვითარების გზასა და გავაანალიზოთ არგუმენტები, რომლებიც გამოყენებულია ამ პოზიციის ლეგიტიმაციისათვის.

ნაშრომის მთავარი კითხვაა: «რის საფუძველზე მოხდა აფხაზურ ნაციონალურ ნარატივში აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფის იდეის კულტივირება?»

ჰიპოთეზა: აფხაზურმა ინტელიგენციამ წარსულში მომხდარი ფაქტების ინსტრუმენტალიზაციითა და ზოგიერთ შემთხვევაში მათი მითოლოგიზაციის გზით აფხაზურ საზოგადოებაში შექმნა მტრის ხატი „ქართველთა ანტიაფხაზური პოლიტიკის“ სახით, რითაც საბოლოოდ ამართლებდა მოსაზრებას, რომ საქართველოს შემადგენლობაში დარჩენის შემთხვევაში (განურჩევლად იმისა, სსრკ-სა თუ მით უმეტეს დამოუკიდებელ საქართველოში) შეუძლებელი იქნებოდა აფხაზური ეთნოსის უსაფრთხო არსებობისა და შემდგომი განვითარების გარანტირება.

საჭიროა აღინიშნოს, რომ დასმული პრობლემატიკის ფოკუსიდან გამომდინარე, კვლევა მიზნად არ ისახავს „ისტორიული ჭეშმარიტების“ დადგენას და რომელიმე ბრალდებისა თუ მითის მსხვრევას. ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს არც რუსული ნაციონალური პოლიტიკისა და მისი გავლენის შეფასება აფხაზური ანტიქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია გავზომოთ აფხაზური ნაციონალიზმის, როგორც უკვე შემდგარი ფაქტის (განურჩევლად მისი ჩამოყალიბება-განვითარების წამქეზებლებისაგან) რეფლექსის წყარო ქართულ ფაქტორთან მიმართებაში და ვნახოთ როგორ უკავშირდება ერთმანეთს აღნიშნული რეფლექსია და საქართველოსგან განცალკევების მოთხოვნა.

აქედან გამომდინარე, დამოკიდებული ცვლადი არის საქართველოდან სეცესიის სურვილი, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადია აფხაზური ინტელიგენციის მიერ ისტორიით მანიპულირება. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას, რომ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, თუ როგორ მოხდა სეცესიონიზმის იდეის ლეგიტიმაცია ხალხში ელიტების მიერ და არა იმაზე, თუ რის ან ვის სამსახურში შეიძლება ყოფილიყო ამგვარი ქმედება.

ჰიპოთეზის შემოწმების მიზნით, ძირითადად გავაანალიზებ აფხაზური ინტელიგენციის მიერ შექმნილ ეროვნულ ნარატივს, რომელშიც ქართული ფაქტორის რეფლექსიას ეთმობა ყურადღება. ნაშრომში თავდაპირველად განხილული იქნება აფხაზური ნაციონალიზმის განვითარების გზა. აღნიშნულ თავში შევეცდები დავადგინო აფხაზური ნაციონალიზმის არსი და მოვახდინო მისი ძირითადი საყრდენების იდენტიფიცირება, რაც შემდგომში შესაძლებლობას მომცემს გამოვყო კონკრეტულად ის საყრდენები, რომლებსაც აფხაზები ქართველებს უკავშირებენ. გარდა ამისა, მოკლედ განვიხილავ აფხაზების ადგილს ქართულ ნაციონალურ ნარატივშიც, რათა წარმოდგენა შეგვექნას ზოგიერთ ისეთ დეტალზე, რის გააზრებაც აფხაზური ნაციონალიზმის უკეთ გაგებაშივე დაგვეხმარება. აფხაზური ნაციონალიზის რეფლექსიას ქართულ ფაქტორზე ვნახავთ რამდენიმე ეპოქის მიხედვით - პირველი მოიცავს პერიოდს მუჭავირობიდან სტალინის ხანის დასასრულამდე, რომელშიც აფხაზური ნარატივი აფხაზებს „დასჯილ ხალხად“ აღიქვამს. შემდეგი ეპოქა მოიცავს პერიოდს ხრუშჩოვის „დათბობიდან“ ქართულ-აფხაზურ ომამდე. ბოლოს კი ომისშემდგომ აფხაზურ ნარატივს შევეხებით.

წინამდებარე ნაშრომი პირველად სთავაზობს მკითხველს სსრკ-ს ცენტრალური ხელისუფლების სახელზე 1947-1989 წლებში შედგენილ მიმართვებში, ე.წ. „აფხაზური წერილებში“ ქართული მხარის წინააღმდეგ გაუღერებული ბრალდებების ანალიზს, რაც ერთდროულად კვლევის სიახლედ და მნიშვნელად შეიძლება ჩაითვალოს.

I. ნაშრომის თეორიული ჩარჩო.

აფხაზი ერი შედარებით გვიანდელი ეპოქის პროდუქტია, რომლის ფორმირებაც მხოლოდ მეოცე საუკუნეში დაიწყო. ამ პროცესს ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირში არსებული ნაციონალური პოლიტიკის ერთ-ერთმა მიმართულებამ - კორენიზაციამ, ე.წ. დაფესვიანების პოლიტიკამ, რომელიც მცირე ეთნიკური ჯგუფებისთვის ეროვნული ინტელიგენციების შექმნას ისახავდა მიზნად, ასევე ეროვნული კულტურისთვის ისეთი ახალი საყრდენების შექმნას, როგორებიცაა გაზეთი, კინო, თეატრი, დამწერლობა, საგანმანათლებლო სისტემა, ეროვნული ლიტერატურა და სხვა, რათა (გაუდერებული გამართლების მიხედვით) ამ გზით გაემარტივებინათ მცირე ხალხებისთვის კომუნიზმის იდეებთან თანაზიარება.

აფხაზური ინტელიგენციის ფორმირების შემდეგ იწყება ეროვნული ელიტის ჩამოყალიბებაც, რომელიც თანდათან აფხაზური საზოგადოებრივი აზრის წარმმართველი ხდება. ვფიქრობ, წინამდებარე ნაშრომში, ანტიქართული განწყობის ჩამოყალიბებაზე აფხაზური (ინტელექტუალური) ელიტის როლის ანალიზში გამოგვადგება ამერიკელი სოციოლოგის როჯერს ბრუბაკერის სტატიაში «Ethnicity without groups» ნახსენები ჩარჩო. განვიხილოთ ავტორის რამდენიმე მთავარი გზავნილი აღნიშნული სტატიიდან:

უპირველეს ყოვლისა, ავტორი საუბრობს ერთმანეთისაგან ჯგუფისა და კატეგორიის გამიჯნვის აუცილებლობაზე. ბრუბაკერი ჯგუფს განმარტავს, როგორც შეზღუდულ კოლექტივს, რომელიც თავის შიგნით ურთიერთქმედებს, მისი წევრები აღიარებენ ერთმანეთს, მას აქვს ერთი მიმართულება, აქვს სოლიდარობის განცდა, კორპორატიული იდენტობა, ერთობლივი ქმედებისადმი მიდრეკილება და მის შიგნით არსებობს ეფექტური კომუნიკაციის უნარი. შესაბამისად, კატეგორია არის არა ჯგუფი, არამედ უკეთეს შემთხვევაში ის არის ბაზისი, რომელზეც შემდგომში ჯგუფის დაშენებაა შესაძლებელი (Брубейкер, Р. 2012. გვ.: 32).

ამის შემდეგ ბრუბაკერი საუბრობს ჯგუფის შექმნაზე და მას მოიხსენიებს, როგორც სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ პროექტს, რომლის მიზანიცაა კატეგორიის გადაქცევა ჯგუფად. მისი ტქმით, ზოგჯერ ეს ძალიან ცინიკურად კეთდება, კერძოდ ეთნიკური და სხვა ბუნტები, ხშირად მიუყვება *politique du pire*-ს კალაპოტს, რაც იმას ნიშნავს, რომ იძებნება შექმნილი ვითარებიდან ყველაზე უარესი გამოსავლი, თანაც რაც შეიძლება სწრაფად, რათა მოხერხდეს ლეგიტიმურობის განმტკიცება ან საკუთარი მდგომარეობისა თუ პერსპექტივების გაუმჯობესება (Брубейкер, Р. 2012. გვ.: 35-36).

ბრუბაკერს ჯგუფის შექმნის, ან მისი განმტკიცების საილუსტრაციოდ მოჰყავს კოსოვოელი ალბანელების მაგალითი: „მცირერიცხოვანმა და ცუდად შეიარაღებულმა კოსოვოს განთავისუფლების არმიამ (კვა) გააძლიერა თავდასხმები სერბულ პოლიციაზე, ეს იყო კარგად გათვლილი სტატეგია, რომელიც მიზნად ისახავდა მოწინააღმდეგის პროვოცირებასა და მასშტაბური საპასუხო რეაქციის გამოწვევას. სხვა შემთხვევების მსგავსად, რეპრესიების მთელი სიმძიმე დააწვა მშვიდობიან მოსახლეობას. თავდასხმებისა და კონტრთავდასხმების სერიამ ძალიან გააძლიერა ჯგუფიზმი როგორც კოსოვოელ ალბანელებს შორის, ისე კოსოვოელ სერბებს შორის, რამაც კიდევ უფრო გაამყარა კოსოვოს გათავისუფლების არმიის პოზიციები კოსოვოშიც და ალბანურ დიასპორაშიც. ეს კი დაეხმარა კვა-ს უკეთესი დაფინანსების მოპოვებაში, რამაც შესაძლებლობა მისცა მას უფრო მტკიცედ დაპირისპირებოდა ცენტრს. ამან თავის მხრივ კონტრთავდასხმები გააძლიერა ცენტრის მხრიდან. ამ შემთხვევაში ჯგუფების კრისტალიზაცია და პოლარიზაცია არ იყო დაპირისპირების მიზეზი, პოლარიზაცია და კრისტალიზაცია იყო დაპირისპირების შედეგი (Брубейкер, Р. 2012. გვ.: 36-37). აღნიშნული მაგალითი სქემატურად კარგად წარმოაჩენს ჯგუფის მშენებლობისა თუ გამოცოცხლების მთელს პროცესს.

თუმცა, ამასთან ბრუბაკერი იმასაც აღნიშნავს, რომ მსგავსი აქტიურობისათვის საჭიროა ერთგვარი წინაისტორიისა და ნოუიერი ნიადაგის არსებობა, იმისათვის, რომ საერთოდ გახდეს შესაძლებელი ჯგუფის დარაზმვა. ბრუბაკერის თქმით, „ნოუიერი მასალა/ნიადაგი, რომელთანაც მუშაობდა კგა, ცხადია, დიდ როლს თამაშობდა ამ სტრატეგიის წარმატებაში. ჯგუფის შექმნის ყველა პროექტი ვერ აღწევს წარმატებას და მეტ-ნაკლებად წარმატებული მაგალითები წარმატებას უნდა უმადლოდნენ იმ „მასალას“, რომელთანაც მათ უწევთ მუშაობა“ (მასალაში იგულისხმება ჯგუფიზმის აქტივიზაციის დონე - ა.ჯ. (Брубейкер, Р. 2012. გვ.: 37)). ამის შემდეგ ავტორი შენიშნავს, რომ „ზოგიერთ დრამატულ მოვლენას შეუძლია გამოაღვიძოს ჯგუფურობის გრძნობა და აამაღლოს ჯგუფიზმის მანამდე არსებული დონე. აი რატომ წარმოადგენს მცირე ჯგუფის მიერ პროვოკაციის მიზნით ჩადენილი დაგეგმილი ძალადობა, ასეთ ეფექტურ გზას ჯგუფის შესაქმნელად (იქვე. გვ.: 37).

ბრუბაკერი კიდევ ერთ მნიშნელოვან თემას ეხება. ის ეწინააღმდეგება გაბატონებულ აზრს, რომლის მიხედვითაც ეთნიკური კონფლიქტების მთავარ აქტორებად ეთნიკური ჯგუფებს განიხილებიან და აცხადებს, რომ ფაქტობრივად ეთნიკური კონფლიქტების უმრავლესობის მთავარი აქტორები არიან ორგანიზაციები ამ სიტყვის ფართე გაგებით. შემდეგ კი ჩამოთვლის ვინ შეიძლება იყოს ორგანიზაცია: სახელმწიფო (ან ზოგადად ავტონომიური პოლიტიკური ერთეული), სამინისტროები, სააგენტოები, რომლებსაც კანონის აღსრულებასთან და შეიარაღებულ ძალებთან აქვთ კავშირი, ასევე ტერორისტული დაჯგუფებები, შეიარაღებული ბანდები, პოლიტიკური პარტიები, ეთნიკური ასოციაციები, ეკლესიები, გაზეთი, რადიო, ტელევიზია. ზოგიერთ ორგანიზაციას კი შეუძლია საკუთარი თავის რეპრეზენტაცია, როგორც კონკრეტული ეთნიკური ჯგუფების ინტერესების გამომხატველები. თუმცა, ავტორის აზრით შეუძლებელია ორგანიზაციის გაიგივება ეთნიკურ ჯგუფთან (Брубейкер, Р. 2012. გვ.: 37-38).

საბოლოო ჯამში ავტორი ასკვნის, რომ სწორედ ორგანიზაციები და არა ეთნიკური ჯგუფები არიან ეთნიკური კონფლიქტებისა და ეთნიკური ძალადობის მთავარი მამოძრავებლები. გარდა ამისა, ბრუბაკერის აზრით, დამოკიდებულება ორგანიზაციებსა და იმ ჯგუფებს შორის, რომელთა სახელითაც უნდათ საუბარი ორგანიზაციებს, ხშირად ძალიან არაერთმნიშვნელოვანია (იქვე. გვ.: 39-40).

II. მეთოდოლოგია.

წინამდებარე ნაშრომის მეთოდოლოგია ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს: 1. გაანალიზებულ იქნა საბჭოთა კავშირის პერიოდში, ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების სახელზე აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლების მიერ დაწერილი ოფიციალური წერილები და მიმართვები, ასევე აფხაზური ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის რეტროსპექტული ხედვები იმ ბრალდებებთან დაკავშირებით, რომლებიც გაჟღერდა ზემოთ ხსენებულ მიმართვებში. 2. ჩატარდა მცირე სოციოლოგიური გამოკითხვა აფხაზ ახალგაზრდებს შორის, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტისადმი მათი დამოკიდებულების დასადგენად.

მეთოდოლოგია შემუშავებულ იქნა სავარაუდო სირთულეებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით. დავასახელებ ორ მათგანს: 1. აფხაზური ენის ბარიერის გამო, ვერ მოხერხდა ინტერნეტში არსებული ადრეული აფხაზური გაზეთის ტექსტის ანალიზი. 2. აფხაზეთის ტერიტორიაზე ძნელია მოხვედრა, ამასთან კიდევ უფრო დიდ სირთულეს წარმოადგენს ადგილზე საველე სამუშაოების ჩატარება, განსაკუთრებით კი ისეთ სენსიტიურ თემებზე, როგორიცაა აფხაზური იდენტობა, ქართველებთან დამოკიდებულება და ზოგადად ქართულ-აფხაზური ურთიერთობები. მიუხედავად ამისა გადაწყდა მცირე ანონიმური ონლაინ-გამოკითხვის ჩატარება.

ონლაინ კითხვარი შედგება 55 კითხვისაგან, რომელთაგან 14 დაბურული კითხვაა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 25-მა რესპონდენტმა აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებიდან, თუმცა ვინაიდან მათი აბსოლუტური უმრავლესობა სტუდენტია, ამიტომ უმეტესობა ქალაქ სოხუმში ცხოვრობს. მაქსიმალური ასაკობრივი ზღვარი, რომელიც დაფიქსირდა არის 23-25 წელი. ამ კატეგორიას გამოკითხულთა 10% ეკუთვნის. ყველაზე ბევრი 19-22 წლის რესპონდენტები არიან - 50% პროცენტი, ხოლო 16-18 წლის რესპონდენტები გამოკითხულთა 40%-ს შეადგენენ. რაც შეეხება გამოკითხულთა ეროვნებას, ერთის გარდა ყველანი აფხაზები არიან. გამოკითხულთა 70% მამრობითი სქესისაა, შესაბამისად 30% - მდედრობითი.

III. ძირითადი ტერმინების განმარტება.

სუცესიური ნაციონალიზმი - სეპარატიზმის ექსტრემალური ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოს შემადგენლობიდან მისი ნაწილის გამოყოფას ახალი სახელმწიფოს დაფუძნების ან სხვა, უკვე არსებულ სახელმწიფოსთან შეერთების მიზნით (NPLG).

აფხაზური ეროვნული ნარატივი - (ნარატივი - ეს არის სამყაროს აღქმის ისტორიულ-კულტურული ინტერპრეტაცია გარკვეული პოზიციიდან (NPLG)) აფხაზების მიერ საკუთარი ისტორიული გზის აღქმა, რომელშიც გაერთიანებულია ის ტრაგედიები და გამარჯვებები, სიხარული და სირცხვილის განცდა, რომელთა კრებულსაც აფხაზი ეთნოსი გადამწყვედ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარი იდენტობის მშენებლობაში.

ლიტერატურული მიმოხილვა:

წინამდებარე ნაშრომში დასმული პრობლემატიკის არსის დასადგენად და საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად მიზანშეწონილად მივიჩნევ მეტწილად აფხაზი ავტორების მიერ დაწერილი ტექსტების ანალიზს, ვინაიდან კვლევისთვის სწორედ მათი ხედვაა განსაკუთრებით საინტერესო. ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე ძირითად მასალას წარმოადგენს ისეთი პირველადი წყაროები, როგორებიცაა ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები, ოფიციალური პირების სიტყვით გამოსვლები. გარდა ამისა, ტექსტში გამოყენებულია სამეცნიერო კვლევები, სამეცნიერო და მხატვრული პუბლიცისტიკა, მემუარები, მხატვრული ნაწარმოებები, პერიოდული გამოცემები და მასალები სოციალური ქსელებიდან.

ნაშრომისათვის ძირითად წყაროს წარმოადგენს 1994 წელს აფხაზეთში გამოცემული წიგნი სახელწოდებით «Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». აღნიშნული პუბლიკაცია თავის თავში აერთიანებს რამდენიმე ათეულ მიმართვასა და წერილს, რომლებიც აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლების მიერ დაიწერა და გაიგზავნა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი პირებისა და ინსტიტუციების სახელზე. ამ წერილებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1947 წლის ძიძარია, შინკუბა, შაყრილის მიმართვა, 1952 წლის დები შაყრილების წერილი სტალინის სახელზე, 1954 წლის დიმიტრი გულიას ორი წერილის, 1967 წლის ე.წ. «Письмо Восьмерых», 1977 წლის «Письмо Статридцати», 1977 წელს იური სენკვევიჩის სახელზე შედგენილი წერილი, 1978 წლის ლეონიდ ბრეჟნევის სახელზე გაგზავნილი წერილი, 1983 წლის წერილი სახელწოდებით „ქართული ენციკლოპედია“, რომელსაც 12 ადამიანი აწერს ხელს, ასევე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეშვიდე ყრილობისთვის დაწერილი 1985 წლის წერილი, 1988 წლის ვრცელი წერილი სახელწოდებით «Письмо Шестидесяти» და ბოლოს 1989 წლის 18 მარტის ე.წ. „საყოველთაო აფხაზური პლებისციტის“ დროს შედგენილი მიმართვა.

ჩამოთვლილ წერილებში შესანიშნავად ჩანს მაშინდელი ეპოქის აფხაზური საზოგადოების ძირითადი პრობლემები, გამოწვევები, მოთხოვნები და ტენდენციები. ამ მიმართვებზე დაკვირვებით შესაძლებელია თვალის მიდევნება იმაზე, თუ როგორ ყალიბდება და ვითარდებოდა აფხაზური საზოგადოებრივი აზრი ქრონოლოგიურად და რამდენად მნიშვნელოვანი იყო უკანასკნელის ფორმირებაში აფხაზი ინტელიგენციის როლი. წიგნში თავმოყრილია კვლევისთვის საინტერესო ეპოქის დოკუმენტების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რამაც მასალების მოძიების პროცესი ძლიერ გაამარტივა.

გარდა წერილებისა, წიგნს შემდგენელმა დაურთო ვრცელი (70 გვერდიანი) შესავალი, სადაც ის თავისი კომენტარებით ქრონოლოგიურად აშუქებს მოვლენებსა და პრობლემებს, რომლებიც გაუდერებულია ინტელიგენციის მიმართვებში. პუბლიკაციის ბოლო განყოფილებაში კი ავტორმა თავი მოუყარა ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ გამოქვეყნებულ სახელმწიფო დოკუმენტებს - დეკლარაციებსა და დადგენილებებს. ამდენად, იგორ მარიხუბას მიერ შედგენილი წიგნის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წინამდებარე კვლევის წარმატებით ჩატარებისათვის.

ნაშრომისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს აფხაზეთის ყოფილი დე-ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივნის, ისტორიკოსისა და აქტიური საზოგადო მოღვაწის სტანისლავ ლაკობას მიერ 1993 წელს გაგრაში გამოცემული მცირე ფორმატის პუბლიკაცია სახელწოდებით «Столетняя война Грузии против Абхазии», სადაც ის მკითხველს აცნობს ქართველთა „საუკუნოვან შეთქმულებას“ აფხაზი ერის წინააღმდეგ. ბროშურა, რომელიც გამოიცა ასოციაცია „აფხაზეთის ინტელიგენციის“ დაკვეთით, აერთიანებს სამ ნაწილს: იაკობ გოგებაშვილის სტატიას «Кем заселить Абхазию?», სტანისლავ ლაკობას პასუხსა და ბოლო თავს სახელწოდებით «როგორ ასახლებდნენ აფხაზეთში», სადაც გაანალიზებულია აფხაზეთში მიმდინარე მიგრაციული პროცესები და მათთან ქართველთა კავშირი. მთელი პუბლიკაცია

ეძღვნება ქართველების კრიტიკას, შესაბამისად მისი ანალიზიც საინტერესო იყო აფხაზური ინტელიგენციისა და მთლიანად საზოგადოების რეფლექსის დასანახად.

ამ მხრივ არანაკლებ მნიშვნელოვანია აფხაზეთში კარგად ცნობილი მწერლის, პუბლიცისტის, დრამატურგის, რომანების, მოთხრობების, საბავშვო ზღაპრებისა და კინოსცენარების ავტორის ჯუმა ახუბას ვრცელი წერილი სახელწოდებით «Вернись Мой Брат». თავდაპირველად, 1995 წელს აფხაზურად დაწერილი და მოგვიანებით, 2013 წელს ორ თარგმანთან (რუსულ და ინგლისურ ენებზე) ერთად, წიგნად გამოცემული წერილი ავტორის მუჰაჯირების შთამომავალ ნათესავისთვის იყო განკუთვნილი. ჯუმა ახუბას ამ წერილში მთავარი ანტაგონისტები ქართველები არიან, რომელთაც აფხაზთა ბევრი ტრაგედიის შემოქმედობაში ედებათ ბრალი. მწერალი მიმოიხილავს ვრცელ ისტორიულ პერიოდს ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობებიდან და კონკრეტულ მოვლენებში ბრალს სდებს ქართველებს. ამიტომ, ჯუმა ახუბას, როგორც აფხაზური ინტელიგენციის მნიშვნელოვანი წარმომადგენლის პოზიცია, აფხაზური ისტორიული ნარატივის მისეული ინტერპრეტაცია ღირებული წყაროა ჩემი კვლევისათვის.

კვლევას დაეხმარა იმავე ავტორის წიგნი, სახელწოდებით «Чтоб Далеко Пойти... Рассказы. Сказка. Стихи. Очерк. Драма. Публицистика. Интервью. Беседы. Документы. Письмо Другу». როგორც სათაურიდან ჩანს, წიგნი აერთიანებს სხვადასხვა სახის მასალას. მათგან ნაშრომისათვის უმეტესწილად პუბლიცისტიკას ვიყენებ - წერილებსა და სტატიებს, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოიცა აფხაზურ და რუსულ ურნალ-გაზეთებში და სადაც აფხაზური საზოგადოების ომისშემდგომი განწყობები ჩანს.

აფხაზური ეროვნული იდენტობისთვის მუჰაჯირობის საკითხის მნიშვნელობასა და ქართველ-აფხაზთა ურთიერთობებზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ისტორიკოს გიორგი ძიძარიას 1982 წელს გამოცემული მონოგრაფია სახელწოდებით «Махаджирство и Проблемы Истории Абхазии XIX Столетия». ამ

მხრივ ნაშრომისათვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ცნობები აფხაზური და ქართული არისტოკრატიისა აქტიური კავშირების და თანამშრომლობის შესახებ.

თანამედროვე აფხაზეთში გავრცელებული ისტორიოგრაფიული ტენდენციების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდება შესძლო ოლეგ ბლაჟბასა და სტანისლავ ლაკობას 2007 წელს დაბეჭდილმა ნაშრომმა სათაურით «История Абхазии с древнейших времен до наших дней». წიგნი დაწერილია აფხაზურ საზოგადოებაში ცნობილი ისტორიკოსების მიერ და დიდი პოპულარობით სარგებლობს აფხაზეთში, ამიტომ ნაშრომმა მოგვცა შესაძლებლობა თვალი მიგვედევნებინა აფხაზეთში არსებული პერსპექტივების შესახებ. აღნიშნული ტექსტის კონტენტ-ანალიზმა (დავადგინე რამდენჯერაა ნახსენები ტექსტში „ქართველები“ და „საქართველო“ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში და ამავდროულად როგორ კონტექსტში არიან ისინი მოხსენიებულნი) კვლევისთვის საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა.

წინა ნაშრომის მსგავსად საჭირო ინფორმაციის მატარებელი გამოდგა თეიმურაზ აჩუგბას წიგნი «История Абхазии в Датах. Справочник», სადაც ქრონოლოგიურადაა ჩამოწერილი აფხაზეთის ისტორია. ყოველ თარიღს აქ აფხაზებისთვის მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა შეესატყვისება. იმის მიხედვით, თუ რა ისტორიული მოვლენები და როგორი შეფასებებით / აღწერით მოხვდა ისინი ამ პუბლიკაციაში, ბევრი დასკვნის გამოტანა შეიძლება თანამედროვე აფხაზეთში გავრცელებულ ხედვებზე.

რამდენიმე უცხოელი ავტორის მიერ (იუნგე, მ.; ბონვეჩი, ბ. Et al.) ქართულ ენაზე თბილისში გამოცემული წიგნი «ეთნოსი და ტერორი საქართველოში» მიმოიხილავს რამდენად იყო მოტივირებული სტალინის დროინდელი რეპრესიები საქართველოში მსხვერპლის კუთვნილებით ამა თუ იმ ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური ჯგუფის მიმართ. წიგნში აგრეთვე გაანალიზებულია აფხაზების ქეისიც.

მნიშვნელოვან დეტალებს მეოცე საუკუნის საქართველოს შესახებ გვაწვდის თომას გოლცის წიგნი «საქართველო. ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში». აქ ცალკე თავი ეთმობა აფხაზეთის კონფლიქტს, რომელიც სახასიათო ავტორისეული დაკვირვებებით გამოირჩევა და 1990-იანი წლების მეტნაკლებად აუთენტურ სურათს გვაძლევს.

პოსტსაბჭოური სივრცის ეროვნებათშორისი ურთიერთობებისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის რეგიონული პოლიტიკის შვედი მკვლევარის, სვანტე კორნელის წიგნი «Small Nations and Great Powers. A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus» კავკასიის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების წარმოშობის მიზეზებსა და მიმდინარეობაზე წერს. ერთ-ერთ თავში «Georgia: from unitary dreams to an asymmetric federation?» ვრცლად აქვს მიმოხილული ქართულ-აფხაზური კონფლიქტიც, რაც ანალიზის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ჩემი კვლევისათვის.

აფხაზეთში ცნობილი ადილე აბას-ოღლი ნესტორ ლაკობას ოჯახთან დაახლოვებული პირი იყო, რომელმაც რეპრესიები თავადაც გამოიარა. თავის მემუარებში სახელწოდებით «Не Могу Забыть», ავტორი აღწერს განვლილსა და ნანახს 1920-იანი და 1930-იანი წლებიდან ოცდამეერთე საუკუნემდე, რის გამოც მისი წიგნი საინტერესო წყაროა აფხაზურ საზოგადოებაში ამ წლების მანძილზე დაგროვებული ნარატივების გასაცნობად.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომისათვის ინტერესის უმთავრეს საგანს აფხაზი მოღვაწეების ნააზრევი და ნამოქმედარი წარმოადგენს, წერის დროს მნიშვნელოვანი იყო ქართველი ავტორების ნაშრომთა გამოყენებაც. ამის აუცილებლობა კი არსებობდა როგორც ქართული მხარის შეფასებების გასაცნობად, ასევე ფაქტოლოგიური და თეორიული მასალის მოსაძიებლად. ამ თვალსაზრისით დახმარება გამიწია რევაზ გაჩეჩილაძის მონოგრაფიამ სახელწოდებით «საქართველო მსოფლიო კონტექსტში. XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები», სადაც გასულ საუკუნეში მომხდარი მნიშვნელოვანი

მოვლენებია მიმოხილული, მათ შორის ისეთი ფაქტებიც, რომლებიც კავშირშია აფხაზეთთან და აფხაზებთან. განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს ამ კუთხით ავტორი გვაწვდის „პერესტროიკისა“ და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ.

ამ მხრივ კიდევ ერთი საინტერესო ნაშრომია ზურაბ დავითაშვილის «ნაციონალიზმი და გლობალიზაცია», სადაც ნაციონალიზმის ფენომენია ბევრი კუთხით გაშუქებული, სქემატურადაა დალაგებული ამ ფენომენის ძირითადი საყრდენები და მარკერები, რაც დამეხმარა თეორიის აფხაზურ მაგალითზე გადაყვანაში და შესაძლებლობა მომცა დავკვირვებოდი აფხაზური ნაციონალიზმის განვითარების გზას შემოთავაზებული სქემის საფუძველზე.

საინტერესო ცნობებს აფხაზური იდენტობის შესახებ გასული საუკუნის დასაწყისში გვაწვდის ავტორთა ჯგუფის (ჩიქოვანი ნ.; ჩხაიძე, ი. Et al. (2014)) მიერ შედგენილი ნაშრომი სათაურით «იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860-1918)». აქ ცალკე პარაგრაფი ეთმობა აფხაზთა იდენტობასა და მის ურთიერთმიმართებას ქართველებისადმი.

ნაშრომში ასევე გამოყენებული მაქვს პუბლიკაციები სოციალური ქსელიდან (კერძოდ Facebook-დან), რაც თანამედროვე ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებში გაბატონებული განწყობების შესახებ საკმაოდ რეალისტურ ინფორმაციას იძლევა.

კვლევაში გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ იხილოთ ნაშრომის ბიბლიოგრაფიული სია.

1. აფხაზური ნაციონალიზმის განვითარების გზა:

აფხაზური ნაციონალიზმის არსის განსაზღვრა, მისი მარკერებისა და ატრიბუტების დადგენა, ცალკე კვლევის საგანია, თუმცა წინამდებარე ნაშრომის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ საკითხის გაშუქება ცალკე თავის სახით.

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე მრავალი აკადემიური ნაშრომი არსებობს, მაგრამ არ შემხვედრია მასალა, რომელიც ფოკუსირებული იქნებოდა სწორედ აფხაზური ნაციონალიზმის თავისებურებებზე და თავს მოუყრიდა აფხაზური იდენტობის მთავარ საყრდენებს. სწორედ ამის გაკეთებას შევეცდები მოცემულ თავში, რადგან ასეთი საყრდენების იდენტიფიცირება მომცემს შესაძლებლობას ვიპოვო აფხაზური ნაციონალიზმის საჭირო მახასიათებლები, რომლებიც კვებავს მას და რომელთა არსებობაც აუცილებელი წინაპირობაა აფხაზი ეთნოსის არსებობისათვის. რაც შეეხება ამ საკითხის მნიშვნელობას ნაშრომისათვის, ვფიქრობ, რომ აღნიშნული მახასიათებლების ნაკრები მოგვცემს საჭირო ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გამოწვევებზე რეფლექსით ჩამოყალიბდა და განვითარდა აფხაზური (სეცესიური) ნაციონალიზმი და რა წვლილი ჰქონდა ამ პროცესში ქართულ ფაქტორს.

I. აფხაზური ეროვნული იდენტობა?

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შევჯერდეთ ნაციონალიზმის დეფინიციებზე და დავუკავშიროთ ისინი აფხაზურ საზოგადოებას. მკვლევარი ზურაბ დავითაშვილი თავის ნაშრომში „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“ ფართედ მიმოიხილავს ნაციონალიზმის განმარტებებს და დასმენს, რომ ეს ცნება იმდენად მრავალმნიშვნელოვანია, რომ ერთი, ამომწურავი განსაზღვრების პოვნა ძალიან რთული ამოცანაა. მიუხედავად ამისა, ავტორი გვთავაზობს შემდეგ დეფინიციას: ნაციონალიზმი ესაა „საკუთარი ერისა და ეროვნული სახელმწიფოს ერთგულება და მისი დომინანტობა“ (დავითაშვილი, 2003. გვ.: 45-57). ვფიქრობ, ამ

დეფინიციის გამდიდრება შესაძლებელია ენტონი სმიტის იქვე მოყვანილი ერთ-ერთი პოსტულატის გამოყენებით - „ერი-სახელმწიფოს მიმართ ლოიალობა და ერთგულება აღემატება და თრგუნავს ყოველგვარ სხვა ლოიალობას“ (იქვე. გვ.: 55-56).

აფხაზური ნაციონალიზმის არსებობა ეჭვს არ იწვევს, სამაგიეროდ დავის საგანი შეიძლება იყოს აფხაზების კლასიფიკაცია ნაციის კატეგორიაში. ზურაბ დავითაშვილი 2003 წელს გამოცემულ თავის წიგნში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში აფხაზები სტალინისეული განმარტების მიხედვით ერად ითვლებოდნენ, ვინაიდან მათ გააჩნიათ ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური წყობისა და კულტურაში გამოხატული ფსიქიკური წყობის ერთობა, თუმცა ავტორი ამ განმარტებას სრულყოფილად არ მიიჩნევს (იქვე. გვ.: 13). მისი თქმით, ჯგუფი, ნაციად რომ იწოდებოდეს, სხვა ატრიბუტებსაც უნდა ფლობდეს. ავტორი დასმენს, რომ მისი აზრით აფხაზები არ წარმოადგენენ ერს, ვინაიდან მათთვის „არა იმდენად პოლიტიკური დამოუკიდებლობაა მიზანი, რამდენადაც საქართველოდან გასვლა და რუსეთთან შეერთება“ (დავითაშვილი, 2003. გვ.: 20).

გარდა სტალინისეული განმარტებისა, იმავე ნაშრომში მოყვანილია ნაციის სხვა დეფინიციებიც, რომელთა სიმრავლეც არჩევანის სირთულეს ქმნის მკვლევართათვის. ამიტომ ავტორი მათზე დაყრდნობით თავისეულ განმარტებას უძებნის ერს: „ეთნოსი, რომელსაც აქვს (ან წარსულში ჰქონდა) საკუთარი სუვერენული სახელმწიფო, სადაც ამ ეთნოსის მშობლიური ენა ქვეყნის ოფიციალური სახელმწიფო და ლიტერატურული ენაა. ამასთანავე, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნება (ან მისი აღდგენა), ეთნოსის უმთავრესი მიზანია და მას ამის უნარი შესწევს“ (დავითაშვილი, 2003. გვ.: 19).

2003 წლისგან განსხვავებით, აფხაზეთში რეალობა საგრძნობლად შეიცვალა - მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციამ ფორმალურად აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. განსხვავებით „სამხრეთ ოსეთისაგან“, რომლის ლიდერებიც და მოსახლეობაც წლების მანძილზე აქტიურად გამოხატავენ რუსეთის შემადგენლობაში

შესვლისა და ჩრდილოეთ ოსეთთნ გაერთიანების სურვილს (Официальный сайт Президента Республики Южная Осетия, 02.06.2017 და 29.05.2017). აფხაზური საზოგადოება და აფხაზეთის მმართველი ელიტა დამოუკიდებლობის იდეას ემხრობიან. 2008 წლის აღიარების შემდეგ, კი რუსეთის ფედერაციაში ინკორპორაცია პრაქტიკულად ტაბუირებულ თემად იქცა აფხაზეთში - პოლიტიკურ სარბიელზე მსგავსი ინიციატივით გამოსვლა პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასია. ამის საპირისპიროდ, „სამხრეთ ოსეთში“ საპრეზიდენტო კამპანიის დროს „ორი ოსეთის გაერთიანება“ რუსეთის ფედერაციის ფარგლებში ერთ-ერთი უმთავრესი დაპირება იყო (Рия Новости, 10.04.2017). 2014 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს კი დე-ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტში მოხვედრილი ყველა პარტიის ლიდერი ამბობდა, რომ რუსეთთან გაერთიანება ყველას ოცნებაა და ეს „სამხრეთ ოსეთის“ საზოგადოების დაკვეთას წაროადგენს (Лента.Ru, 09.06.2014). დღევანდელ აფხაზეთში მსგავსი სცენარი წარმოუდგენელია. იქ თავად განასხვავებენ „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის შემთხვევებს და ამბობენ, რომ უკანასკნელში არც კი განიხილება ინკორპორირების შესაძლებლობა (Лента.Ru, 10.06.2016 და Московский Комсомолец, 10.06.2016).

შესაძლოა, აფხაზები 1980-იანი წლების ბოლოდან იმდენად იყვნენ მოტივირებულნი საქართველოს შემადგენლობიდან გასვლით, რომ რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზეც ყოფილიყვნენ თანახმა, თუმცა დროთა განმავლობაში ვითარება კარდინალურად შეიცვალა და ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში გამარჯვების მოპოვების შემდეგ აფხაზებს საქართველოსგან დამოუკიდებლობის მოპოვების უფრო რეალისტური იმედი გაუჩნდათ, რაც თანდათან ამცირებდა რუსეთის ნაწილად ქცევის პერსპექტივას, მაქს ვებერის აზრით კი „ერი არსებობს იქ, სადაც ხალხს სჯერა, რომ ის ერია და აქვს მისწრაფება საკუთარი სახელმწიფოს შექმნისაკენ“ (დავითაშვილი, 2003. გვ.: 14).

მართალია, აფხაზური იდენტობის ფორმირებაში დიდი როლი რუსეთის იმპერიამ, ხოლო მოგვიანებით კი საბჭოთა ნაციონალურმა (კერძოდ კორენიზაციის¹) პოლიტიკამ ითამაშა, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ თუნდაც დიდწილად რუსეთის მიერ მართულ პროცესებში ვერ ჩამოყალიბდებოდა აფხაზური ნაციონალური იდენტობა. რომ არა აფხაზურ საზოგადოებაში არსებული ნოყიერი ნიადაგი, მოსკოვი ვერ შესძლებდა მისთვის სასურველი პროცესების წახალისებას.

დღეს, აფხაზური საზოგადოება ყურადღებით ადევნებს თვალ-ყურს არაღიარებულ რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და ძალიან ხშირად ერევა კიდეც მათში და ცვლის დღის წესრიგს, როგორც ეს ალექსანდრე ანქაბის დე-ფაქტო პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენებისას მოხდა. ეს მოვლენა ზოგის მიერ შესაძლოა შეფასდეს, როგორც რუსეთის მიერ არასასურველი, მისდამი ნაკლებად ლოიალური ფიგურის მოცილება (Лента.Ru, 01.06.2014 და Спутник Грузия, 01.06.2014), ან შიდა კლანური დაპირისპირება, თუმცა აფხაზური საზოგადოების აქტიურობა და ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა აშკარაა. ეს კარგად ჩანს არჩევნების შედეგების მიხედვითაც: მაგალითად 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს საკუთარი პოზიცია მოსახლეობის 72%-მა გამოხატა (Рия Новости, 14.12.2009), 2011-ში - 70%-მა დააფიქსირა (Интерфакс, 26.08.2016). იგივე მაჩვენებელი დაფიქსირდა 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც (Ведомости, 25.08.2014). აქტიურობის შედარებით დაბალი მაჩვენებელი იყო საპარლამენტო არჩევნების დროს: 2012 წელს დაახლოებით მოსახლეობის 45%, ხოლო 2017-ში კი - 50% (TACC, 12.03.2017), თუმცა მსოფლიო პრაქტიკის ფონზე, ეს ნორმალური მაჩვენებელია. „ერის არსებობა არის ყოველდღიური პლებისციტი“ (დავითაშვილი, 2003. გვ.: 13) - თუ ერნესტ რენანის ამ მეტაფორით განვსაზღვრავთ ნაციას, მაშინ როგორც არჩევნებში,

¹ კორენიზაციის პოლიტიკა - საბჭოთა კავშირში შემუშავებული პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფისათვის უნდა შეექმნათ საკუთარი დამწერლობა ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სკოლები, სხვა ტიპის სასწავლებლები, თეატრი, კინო, ეთნიკური ინტელიგენცია და ეთნიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელი სხვა ატრიბუტები, რათა ამ ჯგუფს მშობლიურ ენაზე შეძლებოდა კომუნიზმის იდეებთან თანაზიარება.

ისე სხვა პრობლემურ საკითხებზე გამოვლენილი აქტივობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აფხაზი ერი ნამდვილად არსებობს.

II. აფხაზური ეროვნული ნარატივის ძირითადი საყრდენები.

ინგლისელი სოციოლოგისა და ეკონომისტის ჯონ სტიუარტ მილისეულ განსაზღვრებაში ყურადღება გამახვილებულია ერის პოლიტიკური ბედისა და ისტორიის ერთობაზე, რაზეც დამყარებულია საერთო სიამაყე და დამცირება, სიხარული და მწუხარება (დავითაშვილი, 2003. გვ.: 14). ვფიქრობ, აფხაზურ ნაციონალიზმს ახასიათებს თითოეული ეს ატრიბუტი და ისინი ძირითადად სამ სხვადასხვა ეპოქას უკავშირდება - ცარისტულ რუსეთს, საბჭოთა კავშირსა და პერესტროიკის შემდგომ პერიოდს. სამივე ეპოქაში მოხდა ისეთი მოვლენები, რომელთა შედეგების გადააზრებასა და თვითრეფლექსიას უკავშირდება აფხაზური ნაციონალიზმის ჩამოყალიბება და განვითარება. ქართულ ნაციონალიზმს კი აფხაზურ ნარატივში „განსაკუთრებული“ როლი მეტწილად ბოლო ორ ეპოქაში მიეწერება. მიუხედავად ამისა, მას უარყოფითი როლი იმპერიული რუსეთის ეპოქაშიც მოუძებნეს.

ეროვნული იდენტობის ფორმირებისას ფაქტების ჭეშმარიტება ხშირად არ წარმოადგენს აუცილებლობას. ძალიან ხშირად მათი მითოლოგიზაცია და დრამატიზებაც ხდება, რაც მოსახლეობის ემოციურ ბმას ამ მოვლენებთან კიდევ უფრო აძლიერებს. უმთავრესი პირობა არის მათი ეფექტურობა საზოგადოების შემაკავშირებელი ნარატივის შექმნაში, ასეთ დროს კი ისტორიული ჭეშმარიტების მნიშვნელობა უკანა პლანზე ინაცვლებს. ამ მხრივ გამონაკლისი არც აფხაზური ნაციონალიზმი ყოფილა.

დაპირისპირებული ბანაკების „ჭეშმარიტების“ დადგენის პროცესში იწრთობა ორივე მათგანის იდენტობა, რომელიც თანდათან იძენს ფორმასა და შინაარსს. ინტელექტუალებისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა „ომებს“ აკვირდებიან დაპირისპირებული საზოგადოებები და მათთვის „განკუთვნილი“

ნარატივის გავლენის ქვეშ ექცევიან. განვიხილოთ ზემოთ ხსენებულ სამივე ეპოქაში მომხდარი მოვლენები, რომლებიც მომდევნო ეპოქებში ეროვნულ ელფერს შეიძენს და აფხაზური ნაციონალიზმისთვის რეფლექსიის წყაროდ იქცევა. ფაქტები ქრონოლოგიური წესრიგის მიხედვითაა დალაგებული. მათი ათვლის წერტილად მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი მივიჩნიოთ, რადგან სწორედ იმ ეპოქაში იწყება აფხაზური ეთნოსის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი კატაკლიზმა.

მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთ-კავკასიის ომის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მუჭავირობა - კავკასიელი ხალხების ნაწილის იძულებითი (ძირითადად) გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში. რუსეთის იმპერიას ძალდატანებითი გასახლება დაუმორჩილებელი მთიელების დაშოშმინების ეფექტურ საშუალებად ესახებოდა. მუჭავირობა აფხაზების დიდ ნაწილსაც შეეხო (იხ.: მუჭავირობა, (NPLG)), შედეგად აფხაზეთის ზოგიერთი მხარე სრულიად დაცარიელდა მოსახლეობისაგან (ხორავა, ბ. (2014). გვ.: 8-10).

გარდა იმისა, რომ მუჭავირობამ დემოგრაფიული პრობლემები შეუქმნა აფხაზებს, მან დაღი დაასვა აფხაზურ იდენტობასაც, მათ შორის იმით, რომ ეს ეთნოსი ათწლეულების მანძილზე ატარებდა „დამნაშავე ხალხის“ სტატუსს. აფხაზი ისტორიკოსი შალვა ინალ-იფა აღნიშნავდა, რომ აფხაზთა მუჭავირობა „არის არა უბრალოდ (ისტორიული - ა.ჯ.) ეპიზოდი, არამედ უმძიმესი ეროვნული ტრაგედიაა, რამაც აფხაზი ხალხი ფიზიკური განადგურების წინაშე დააყენა“ (ხორავა, ბ. (2014). გვ.: 8). სოხუმის ცენტრში მდებარე მუჭავირთა სანაპირო, მუჭავირთა მეგლი, რომელთანაც ყოველწლიურად აღნიშნავენ აფხაზთა დეპორტაციის წლისთავს, ბაგრატ შინკუბას ეპოსი „უკანასკნელი უბიხი“, ასევე მუჭავირთა თემატიკის გაცოცხლება აფხაზურ ფოლკლორში - ყოველივე ეს მიუთითებს ამ ისტორიული ფაქტის მნიშვნელობაზე აფხაზური იდენტობისათვის.

აფხაზური ნაციონალური თვითშეგნების შენების პროცესში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ანბანის შექმნა. მეცხრამეტე საუკუნემდე აფხაზებს

საკუთარი დამწერლობა არ ჰქონიათ, ხოლო მისი შექმნიდან რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ანბანის გრაფიკა სულ მცირე ოთხჯერ შეიცვალა (გვანცელამე, თ. 2003. გვ.: 19), საბოლოო ვარიანტი კი აფხაზური ფონეტიკის თავისებურებათა გამო სამოცამდე ასო-ნიშანს შეიცავს, რაც აფხაზურს საკმაოდ რთულ დამწერლობად აქცევს. ალბათ, ამ სამი ფაქტორის გამო აფხაზებს საკმაოდ სუსტი ბმა აქვთ აფხაზურ დამწერლობასთან, თუმცა საკუთარი ფუნქცია ანბანმა მაინც შეასრულა - რუსმა გენერალმა პეტრე უსლარმა საფუძველი ჩაუყარა აფხაზებისთვის მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას - ახლა უკვე არსებობდა „ჩარჩო“ აფხაზური მწერლობის განვითარებისათვის. მართალია, 1862 წლიდან, ანუ პირველი ანბანის შექმნიდან, 1907 წლამდე, ანუ აფხაზურ ენაზე პირველი პუბლიკაციის გამოქვეყნებამდე (რომელიც დიმიტრი გულიას ეკუთვნოდა და თბილისში დაიბეჭდა (ჩიქოვანი ნ.; ჩხაიძე, ი. Et al. (2014). გვ.: 110.)) საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი, თითქმის ხუთი ათწლეული გავიდა (კიდევ უფრო გვიან - 1919 წელს გამოიცა პირველი აფხაზური გაზეთი (ჩიქოვანი ნ.; ჩხაიძე, ი. Et al. (2014). გვ.: 114)), თუმცა პროცესი მაინც დაიძრა და ამის მეოხებით აფხაზურმა კულტურამ თანდათან შეიძინა წერილობითი ლიტერატურა, რომელიც აფხაზური იდენტობის კიდევ ერთ საყრდენად იქცა. ეს კარგად ჩანს ჩემ მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში - რესპონდენტები აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნას (კიდევ რამდენიმე სხვასთან ერთად) მეოცე საუკუნის იმ მიღწევებად თვლიან, რომლებითაც აფხაზებმა უნდა იამაყონ (პასუხებისთვის იხ. დანართი №3).

მომდევნო მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა ამ თვალსაზრისით იყო აფხაზეთის სტატუსი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და შემდგომ უკვე საბჭოთა კავშირის ადრეულ წლებში. ისტორიის ეს მონაკვეთი აფხაზების მხრიდან საქართველოსგან დამოუკიდებლობის პერიოდად აღიქმება, რასაც, ცხადია, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აფხაზთა თანამედროვე ისტორიოგრაფიასა და ნაციონალურ ნარატივში.

საბჭოთა კავშირში განხორციელებული რეპრესიები, განსაკუთრებით 1930-იანი წლების „დიდი ტერორი“ ისტორიის მითოლოგიზაციის წყაროდ იქცა სსრკ-ში შემავალი ხალხებისა და ერებისათვის. ბევრი მათგანი მიიჩნევდა, რომ რეპრესიები სწორედ მათ წინააღმდეგ დაიგეგმა და „კონტრრევოლუციონერებისა“ და „ხალხის მტრების“ წინააღმდეგ გამოცხადებული ომის საფარ ქვეშ კონკრეტული ეთნოსები მიზანმიმართულად ნადგურდებოდა. ასეთივე პოზიციაზე არის აფხაზების საკმაოდ დიდი ნაწილიც. როგორც მუჭავირობის შემთხვევაში, აფხაზები საკუთარ თავს აქაც დიდი თუ მცირე იმპერიების (საქართველო კი აფხაზებში ხშირად „პატარა იმპერიის“ სახელითაც მოიხსენიება) მსხვერპლად განიხილავენ. ჩემ მიერ ჩატარებულ ონლაინ-გამოკითხვაში რესპონდენტების სრული უმრავლესობა ეთანხმება შემდეგ ფრაზას: „სტალინი და ბერია მიზანმიმართულად ანადგურებდნენ აფხაზ ხალხს“ (იხ. დანართი №3).

თუ მივუბრუნდებით ჯონ სტიუარტ მილის კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ერი არის მრავალი საერთო ნიშნით, მათ შორის საერთო დამცირებითა და მწუხარებით დაკავშირებული ადამიანების ერთობა (დავითაშვილი, 2003. გვ.: 14), მაშინ მარტივი მისახვედრია, რა იდეოლოგიური და შემაკავშირებელი დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს აფხაზებისთვის როგორც მუჭავირობას, ისე სტალინური რეპრესიების მსხვერპლად საკუთარი თავის (იგულისხმება ხალხის/ერის) იდენტიფიცირებასაც.

საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით სტალინის ეპოქაში ქვეყნის ხელმძღვანელობა რეპრესიებს არა მხოლოდ ცალკეული პირების, ან მტრული კლასების წინააღმდეგ ატარებდა, არამედ ზოგჯერ მთლიან ხალხებსაც სჯიდა და მათ საცხოვრებელი ადგილებიდან ცენტრალურ აზიასა და ციმბირში ასახლებდა. სულ დეპორტირებულ იქნა რვა ეთნიკური ჯგუფი. საქართველოდან რეპრესირებული ხალხების რიცხვში მხოლოდ მესხები მოხვდნენ (ტრიერი, ტ.; თარხან-მოურავი, გ.; Et al. (2011). გვ.: 1). აფხაზურ ეთნოსს, რომელიც რუსეთის იმპერიაში 1907 წლამდე

„დამნაშავე“ და „არასანდო“ ხალხად მიიჩნეოდა («ეთნოსები საქართველოში». (2008). აფხაზები.), მესხების ბედი არ გაუზიარებია, თუმცა აფხაზურ ისტორიოგრაფიაში სტალინის ეპოქის მასიური მიგრაციების სხვა მაგალითზეა გამახვილებული ყურადღება. კერძოდ, ისინი ამ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე მიგრაციის დიდ ტალღებსა და მოსახლეობის საერთო რაოდენობაში აფხაზთა ხვედრითი წილის მკვეთრ შემცირებაზე ამახვილებენ ყურადღებას - 1886 წელს, ანუ მუჰაჯირობიდან ოციოდე წლის შემდეგ აფხაზები აფხაზეთში მთლიანი მოსახლეობის 42%-ს შეადგენდნენ (აფხაზი ავტორების მიხედვით ეს რიცხვი უფრო მაღალი იყო - ა.ჯ.), ხოლო უკვე 1914-ში - 27,3%-ს, 1959 წელს კი მხოლოდ 15%-ს (Cornell, S. E. (2005). გვ.: 144). აფხაზები ამასაც მათ წინააღმდეგ შემუშავებულ პოლიტიკად ასახელებენ და აღნიშნულ ფაქტს საკუთარ ისტორიულ ნარატივში მნიშვნელოვან ადგილს ანიჭებენ.

ეროვნული იდენტობისათვის მტკიცნეული დარტყმა შესაძლებელია იყოს სხვების მხრიდან შენი, როგორც ეთნიკური ჯგუფის არსებობის, ან საკუთარი წინაპრებისადმი შენივე სამართალმემკვიდრეობის ეჭვქვეშ დაყენება. 1954 წელს გამოიცა პავლე ინგოროვას ნაშრომი სახელწოდებით «გიორგი მერჩულე», რომელიც მკითხველს ახლებურ ხედვას სთავაზობდა აფხაზების ვინაობისა და ეთნოგენეზის შესახებ (მანამდე ამგვარი ხედვა დააფიქსირა დიმიტრი ბაქრაძემ თავის წიგნში «საქართველოს ისტორია» (Анчабадзе, З. В. (1959). გვ.: 221)). ავტორის აზრით, აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე ანტიკური ხანიდან ცხოვრობდნენ ქართველური ტომები, რომელთა კრებითი სახელწოდება იყო „აფხაზი“ და რომლებიც ქართველურ ენებზე ლაპარაკობდნენ (ინგოროვა, პ. (1954). გვ.: 129-130). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ აფხაზურ ენაზე მოსაუბრე ხალხი აქ ავტოქტონი მოსახლეობა არ უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ამ ხედვას ბევრი ქართველი მკვლევარი არ იზიარებდა, პავლე ინგოროვას მეცნიერულმა ჰიპოთეზამ დაძაბულობა გააჩინა ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებში (ან საზოგადოების ქართულ და აფხაზურ ნაწილში). მეცნიერული თეორიიდან ის ეთნიკურად შეფერილი, პოლიტიზირებული დავის საკითხად იქცა. ორივე მხარე თავისი არგუმენტებით ცდილობდა

ჭეშმარიტების დადგენას, ანუ საკუთარი ეთნოსისთვის აფხაზეთის მიწაზე ავტოქტონობის დამტკიცებას. კონტრარგუმენტების ძიებამ კი აფხაზური იდენტობა კიდევ უფრო შეაკავშირა.

მომდევნო მნიშვნელოვანი ეპიზოდი აფხაზური ეროვნული თვითშეგნებისათვის იყო აფხაზი ინტელექტუალებისა და ხალხის დიდი მასის მიმართვები, რომელთა ადრესანტსაც კრემლი წარმოადგენდა. ეს მიმართვები ძირითადად აფხაზეთის საქართველოს სსრ-სადმი დაქვემდებარებულ სტატუსს ეხებოდა და 1931, 1957, 1965, 1967, 1978 და 1989 წლებში დაიწერა («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). გვ.: 5-12). ავტორებისთვის მათ რეალური შედეგი ფაქტობრივად არ მოუტანია, რაც დამატებითი ბრალდებების საფუძველი გახდა აფხაზების მხრიდან.

საკუთარ ისტორიულ ნარატივში აფხაზები, ალბათ, ყველაზე გამორჩეულ ადგილს 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზურ ომს უთმობენ. შეიარაღებული კონფლიქტის ძირითადი ფაზა უკვე 25 წლის წინ დასრულდა, თუმცა აფხაზურ საზოგადოებაში ომის თემა ჯერ ისევ ძალიან მწვავედ დგას - უფროს თაობებს საკუთარ თავზე აქვთ გამოცდილი ომით გამოწვეული სიძნელეები, ხოლო ახალმა თაობამ, რომელიც შეიარაღებულ მოქმედებებს უშუალოდ არ მოესწრო, მონაყოლებიდან იცის ომის შესახებ „ყველაფერი“, რაც მან უნდა იცოდეს. ის, რომ ომი აფხაზური ნაციონალიზმისათვის უმთავრესი მარკერია, კარგად ჩანს ჰიმნის სახელწოდებაშიც - «Аиаапра», რაც გამარჯვებას ნიშნავს. ვფიქრობ, მართებული იქნება, თუ ამ ნარატივში გავაერთიანებ აფხაზებისთვის მტკიცნეულ კიდევ ერთ თემას - იზოლაციასა და ე.წ. „არაღიარების პოლიტიკას“, რომელიც აფხაზებს თითქოს დანარჩენი მსოფლიოსგან გარიყულ, ისევ „დასჯილ“ ერად აქცევს.

და ბოლოს, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებამ თითქოს დააგვირგვინა აფხაზთა მრავალწლიანი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, რითაც დამატებითი აგური შემატა საკმაოდ მწყობრად

ჩამოყალიბებულ ეროვნულ იდენტობას. მეორე მხრივ კი აგვისტოს ომი აფხაზებისთვის წარმოადგენდა იმის ნიშანს, რომ საქართველოდან საფრთხე კვლავ მოსალოდნელი იყო. კითხვაზე: „რისი ნიშანი იყო 2008 წლის აგვისტოს ომი თქვენთვის?“, რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ ეს იყო ნიშანი იმისა, რომ აფხაზეთი მუდამ მზად უნდა იყოს აგრესისთვის თბილისის მხრიდან. ეს კი მტრის ხატის წინაშე კონსოლიდაციას უწყობდა ხელს (იხ. დანართი №3).

საბოლოოდ, მივიღეთ, რომ აფხაზური ნაციონალური თვითშეგნება ემყარება როგორც შედარებით შორეულ, ისე ახლო წარსულში მომხდარ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებთანაც აფხაზ ერს ღრმა ემოციური კავშირი აქვს, ფაქტებს, რომლებიც საერთო ტკივილისა თუ დაჩაგრულობის, სიამაყისა თუ სიხარულის, საბოლოო ჯამში კი ერთიანობის განცდას უქმნის აფხაზებს და უყალიბებს საკუთარ, ეროვნულ ხედვას მათთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების შესახებ. ეს ხედვა კი უნიკალურია თავისი არსით და ამიტომაც აერთიანებს. გარდა ზემოთ ხსენებული ისტორიული ნარატივისა, აფხაზური იდენტობის განუყოფელი ნაწილია ენა, ასევე ტერიტორია, რომელიც აფხაზებისთვის ისტორიულად ჩამოყალიბებული ლოგიკური ერთეულია, გარდა ამისა ტრადიციები და ე.წ. აფხაზური კოდექსი «Апсуара», რომელიც ეთნონიმ «აფხაზუასთანაა» კავშირში, რაც ხაზგასმაა ქცევის ნორმათა „განსაკუთრებულ აფხაზურ“ კრებულზე. კიდევ ერთი მარკერი თავად „აფხაზობაა“ - აფხაზების მცირერიცხოვნობიდან გამომდინარე, ეთნიკური აფხაზი უკვე თავისთავად ღირებულებად იქცა, მცირერიცხოვანი აფხაზები კი დომინანტი ეთნოსი გახდა აფხაზეთში, სადაც ექსკლუზიური პრივილეგიებით სარგებლობს, რაც მაგალითად იმაში გამოიხატება, რომ 1999 წლის კონსტიტუციის თანახმად აფხაზეთის პრეზიდენტად მხოლოდ ეროვნებით აფხაზი შეიძლება იქნეს არჩეული («Конституция республики Абхазия» (2017, 23 ივნისი). АпсныПресс. Государственное информационное агентство Республики Абхазия).

სწორედ ამ მარკების ერთობლიობამ შეკრა აფხაზური „ჩვენ“ ჯგუფი, რომლის უმთავრესი მიზანი დღეს საქართველოსგან დამოუკიდებლად ყოფნაა, რაც კიდევ ერთ დამოუკიდებელ მარკერად შეგვიძლია განვიხილოთ. მომდევნო თავში კი ვისაუბრებთ იმის თაობაზე, თუ როგორ და რატომ ჩამოყალიბდა აფხაზური „ჩვენ“ იდენტობა ქართველების საპირისპიროდ და რა ადგილი მიაკუთვნეს საკუთარ ეროვნულ ნარატივში აფხაზებმა ქართულ მხარეს.

2. აფხაზების როლი ქართულ ნაციონალურ ნარატივში.

აფხაზებს აქვთ ლეგენდა, რომლის თანახმადაც მათ ღმერთთან მისვლა დაიგვიანეს, ამასობაში კი შემოქმედმა ყველა ხალხს დაურიგა მიწა, რათა ადამიანებს ტერიტორიების გამო ერთმანეთთან აღარ ეომათ და ნაბოძებ მიწაზე აეშენებინათ თავიანთი მომავალი. ღმერთი უკვე თავისთვის გადანახულ მიწის ნაკვეთზე აპირებდა განმარტოვებას, როცა მასთან აფხაზი მივიდა და მიწა სთხოვა. ღმერთმა დაგვიანების მიზეზი ჰკითხა და როცა გაიგო, რომ ის სტუმარს მასპინძლობდა, დაუფასა საქციელი და თავისთვის გადანახული მიწა აჩუქა (Axyba, ჯ. 2013. გვ.: 186-187).

განსაკუთრებულობის სინდრომი ნაციონალიზმის თანმდევი მახასიათებელია, ამიტომ ეს მითი სავსებით გასაგები ნარატივია - გამორჩეული მიწა, გამორჩეულ ხალხს - ღვთით ბოძებულობისა და განსაკუთრებული მისიის შესახებ მსგავსი მითები სხვა ეთნიკურ ჯგუფებსაც აქვთ. თუმცა, ქართველებს, როგორც თომას გოლცი აღნიშნავს, არა მსგავსი, არამედ „თითქმის იდენტური ლეგენდა აქვთ“ (გოლცი, თ. 2014. გვ.: 75). წიგნის ავტორი აღნიშნავს: „სამწუხაროა, ის რომ ეს მსგავსებები ამ ხალხის დაახლოებისა და გაერთიანებისკენ როდია მიმართული“ (იქვე).

უნდა ითქვას, რომ ასეთი იდენტური ლეგენდები გაერთიანების წინაპირობა ვერც იქნება და ეს სრულებით ლოგიკურია, რადგან ერთი გადმოცემის მიხედვით გამორჩეული ხალხი აფხაზია, მეორეში - ქართველი, ხოლო ღვთისგან ბოძებული ტერიტორია კი ამ დროს ფაქტობრივად ორივე ნარატივში ერთი და იგივეა. ანუ ეს მიწა ავტომატურად სადაც ხდება, ქართველები და აფხაზები კი - მეტოქეები. გამოდის, რომ ეს იდენტური ლეგენდები, სწორედ თავისი მსგავსების გამოა ერთმანეთთან დაპირისპირებული და ისინი ორი განსხვავებული ეროვნული ნარატივისთვის ერთდროულად წყაროსაც და პროდუქტსაც წარმოადგენენ.

ქართული ნაციონალური იდენტობა სავარაუდოა, რომ ჩამოყალიბდა რამდენიმე ფრონტზე განსხვავებული მარკერების (ან მარკერთა კრებულის) მატარებელი ხალხების გარემოცვაში. ინტელექტუალური ელიტის დახმარებით, თანამედროვე საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური ტომები საერთო მახასიათებლების წყალობით თანდათან უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ამავდროულად მათგან განსხვავებულ მეზობლებს გაემიჯნენ. ეს პროცესი წრიული უნდა ყოფილიყო - წრის შიგნით რჩებოდნენ ახალი „ჩვენ“ ჯგუფის წევრები, ხოლო მის გარეთ - მეზობლები, რომლებთანაც ამ ჯგუფს შედარებით ნაკლები საერთო ჰქონდა - სომხები, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები, თურქები, კავკასიელი მთიელები, ოსები. საბოლოო გაუცხოვება ზოგან ლინგვისტური, ზოგან რელიგიური და სხვა მარკერების განსხვავებულობის გამო ჩამოყალიბდა. მიუხედავად ენობრივი განსხვავებისა, მეგრელებისა და სვანების ჩართვა ქართულ ნაციაში წარმატებით მოხდა.

წმინდა ლინგვისტური კუთხით თუ არ მივუდგებით, ადამიანისთვის, რომლისთვისაც ქართული ერთადერთი მშობლიური ენაა, აფხაზური ენა ისეთივე გაუგებარია, როგორიც მეგრული ან მით უფრო სვანური. მიუხედავად ენობრივი განსხვავებისა, ახალგაზრდა ქართულ ნაციაში მოხდა სხვადასხვა ქართველურ ენასა თუ დიალექტზე მოსაუბრეთა ინკორპორირება და ამაში პოზიტიური წვლილი დიდწილად იმან შეიტანა, რომ ქართველურ ენებსა და დიალექტებზე მოსაუბრე ჯგუფები მეტ-ნაკლებად ერთიანი ქართული კულტურული და რელიგიური (ზოგიერთი შემთხვევის გამოკლებით) სივრცის ნაწილს წარმოადგენდნენ. ამავე სივრცის ცხოვრებაში მონაწილეობდნენ (სხვადასხვა ინტენსივობით) აფხაზებიც, განსაკუთრებით არისტოკრატია - შედარებით განათლებული ფენა. ეს ბუნებრივი ტენდენციაა და იმეორებს იმდროინდელი ქართული საზოგადოების რეალიებს. აფხაზური არისტოკრატიის ნაწილი მეცხრამეტე საუკუნესა და მეოცეს დასაწყისში აქტიური იყო ქართულ საზოგადოებრივ ასპარეზზე, რის შესახებაც აფხაზი ისტორიკოსი გიორგი ძიძარია წერს. ის ასახელებს არისტოკრატული წარმოშობის

ბევრ აფხაზს - შერვაშიძეებს, ჩხოტუას, ინალ-იფას, მარდანიას, ემბუვარს, რომელთაც ქართველ ინტელექტუალებთან ჰქონდათ კავშირები (Дзидзария, Г.А. 1982. გვ.: 468-470).

აფხაზური ეროვნული იდენტობა ქართველებთან მჭიდრო კავშირის პირობებში წარმოიშვა. ფეოდალური დაქსაქსულობის პერიოდში, ვიდრე რუსეთის იმპერია არ შეიერთებდა (დაახლოებით) დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე გაფანტულ ნახევრად დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებს, ნაციონალიზმის მოდერნისტული და ეთნოსიმბოლისტური ხედვების თანახმად (დავითაშვილი, 2003. გვ.: 100-142), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არც ქართველი და არც აფხაზი ერი არ არსებობდა. ქართული ნაციის ფორმირება მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება და უსწრებს იმავე პროცესს აფხაზებში, რომელთა პოლიტიკური კონსოლიდაცია მხოლოდ მეოცე საუკუნიდან იწყება. ამ პერიოდიდან კი აფხაზების ნაციონალური იდენტობის მშენებლობა ხდება როგორც ერთიან ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ სივრცეში, ისე ქართველი ინტელექტუალების, საზოგადო მოღვაწეების, პოლიტიკოსებისა და ზოგადად ქართული კულტურის გავლენის ქვეშ, რაც ფეოდალური დაქსაქსულობის დროს რთული წარმოსადგენი იქნებოდა.

შესაბამისად, ბუნებრივია, როცა ქართული ფაქტორის მნიშვნელობასა და (პირდაპირ თუ ირიბ) გავლენებზე ვსაუბრობთ აფხაზური ეთნოსის კრისტალიზაციის პროცესში. ეს გავლენები ჩანს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ავტორთა ჯგუფის მიერ გამოცემულ ნაშრომში «იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860-1918)» სწორედ აფხაზური იდენტობის საწყისებზეა გამახვილებული ყურადღება. ავტორთა აზრით, „აფხაზები მეოცე საუკუნის დასაწყისის ჩათვლით ქართული კულტურული სივრცის ნაწილად მოიაზრებოდნენ და მათში ქართველთა მიღმა მდგარი ჯგუფის კონსტრუირებისაკენ სწრაფვა არ იგრძნობა“ (ჩიქოვანი ნ.; ჩხაიძე, ი. Et al. (2014). გვ.:

163-173). მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, აფხაზები არ იქცნენ ქართული ნაციის ნაწილად.

ამის საპირისპიროდ ისინი განსხვავებული იდენტობის მქონე ჯგუფად იწყებენ ჩამოყალიბებას. აფხაზთა თვითრეფლექსისაგან დამოუკიდებლად, ქართველები კიდევ დიდხანს მოიაზრებდნენ მათ საკუთარი კულტურული და პოლიტიკური სივრცის ნაწილად. მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა და გააქტიურდა აფხაზთა ეროვნული მოძრაობა, ამ პერიოდიდან ქართველების მცდელობა (მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან 1930-40-იან წლებამდე) მოეხდინათ აფხაზთა ინკორპორირება საკუთარი ახალგაზრდა ნაციის წიაღში, უკვე აფხაზთა უკმაყოფილებასა და მათი მხრიდან წინააღმდეგობას იწვევდა. სწორედ ამ ეტაპიდან უნდა დაწყებულიყო ანტაგონიზმი ამ ორ ნაციონალიზმს შორის იდენტობისა და „ღვთით ბოძებული მიწის“ თაობაზე.

მაშინ, როცა აფხაზები საკუთარი „ჩვენ“ ჯგუფის საზღვრებზე საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ, ქართველებმა ეს ვერ მოახერხეს - იმის გამო, რომ აფხაზეთი საქართველოს ისტორიულ ნაწილად მოიაზრება, ისინი ხშირად აფხაზებსაც კვლავ ქართველებად აღიქვამენ. ამიტომ როდესაც ქართველები აფხაზური სეცესიური ნაციონალიზმის პირისპირ აღმოჩნდებიან, ამ დროს წარმოიშვება კოგნიტური დისონანსი, რომლის დაძლევასაც ქართველები თავისებურად ცდილობენ - პავლე ინგოროვას თეორიის წაქეზებით გაჩნდა „ორი აფხაზის“ ხალხური ვერსია, რომლის მიხედვითაც „ნამდვილი აფხაზები“ ქართველები არიან, ხოლო „აფხსუები“ აფხაზობას იბრალებენ და სინამდვილეში, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლდნენ. ნარატივის ლოგიკა შემდეგი უნდა იყოს: რახან თანამედროვე აფხაზებს ქართველობა არ უნდათ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი არ არიან ნამდვილი აფხაზები, რადგან უკანასკნელნი ქართველებად მიიჩნევდნენ საკუთარ თავს. ეს ხედვა ქართველებში ძალიან

პოპულარულია და მისი არსებობა მეტყველებს იმაზე, რამდენად ღმადაა გამჯდარი აფხაზთა ქართველობის შესახებ რწმენა-წარმოდგენები.²

² მაგალითისთვის შეგიძლიათ იხილოთ სოციალურ ქსელში (Facebook-ზე) არაერთხელ ატვირთული სურათი, რომელზეც ერთ მხარეს გამოსახულ ჯგუფს „აფსუები“ აწერია, მეორეს - „აფხაზები“. ერთ-ერთ ასეთ სურათს კომენტარის სახით ერთვის შემდეგი ტექსტი: „მირძველი აფხაზები და ჩამოსახლებული ველური ტომები აფსუები უგავთ რამე ქართული ? აფხაზობას რომ ვაბრალით და იბრალუებენ?“ საგულისხმოა, რომ Giorgi Gaga Mikelashvili-ის მიერ 2014 წლის 6 დეკემბერს გამოქვეყნებულ სურათს 118 „მოწონება“ აქვს დაგროვებული და 241-ჯერაა გაზიარებული, ხოლო 2015 წლის 6 აგვისტოს გვერდის „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია (afxazeti chveni tkivilia)“-ს მიერ ატვირთული სურათი 287-მა მომხმარებელმა „მოიწონა“ და 664-ჯერ გაზიარეს. სურათები იხ. დანართის სახით.

3. აფხაზური ნაციონალიზმის რეფლექსია ქართულ ფაქტორზე მუჰაკირობის ეპოქიდან სტალინის კულტის დაგმობამდე.

წინა თავში ჩამოვთვალეთ ისტორიული მოვლენები, რომლებივ აფხაზური იდენტობისათვის რეფლექსის მნიშვნელოვანი წყაროა, ასევე განვიხილეთ იდენტობის მარკერებიც (ენა, ტერიტორია, ტრადიციები, აფსუარა და სხვა). ერთიცა და მეორეც ერთობლივად ქმნიან აფხაზურ „ჩვენ“ ჯგუფს. წინამდებარე თავში კი წარმოგიდგენთ იმის ანალიზს, თუ როგორ და რატომ გახდა ქართული ფაქტორი აფხაზური ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებისათვის ამდენად მნიშვნელოვანი ატრიბუტი და კონკრეტულად რა როლი დაეკისრა მას აფხაზურ ნარატივში. ამისათვის კი უნდა ვნახოთ ზემოთ ნახსენებ მოვლენებში რა ისტორიული ადგილი მიაკუთვნეს აფხაზებმა ქართველებს.

წინამდებარე თავში გაანალიზებული იქნება მოვლენები აფხაზთა მუჰაკირობიდან, ე.ი. მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლებიდან სტალინური ხანის დასასრულამდე, ანუ პერიოდამდე, როცა გარდაცვლილი ბელადის კულტი დაიგმო. დროის ეს მონაკვეთი შეირჩა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყეს ფიქრი აფხაზური ანბანის შექმნაზე, რაც აფხაზური იდენტობის ახალ ეტაპზე გადაყვანის მცდელობად შეგვიძლია მივიჩნიოთ. 1956 წლიდან კი, როცა იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას კრიტიკა ნებადართული გახდა, ადამიანებს ფაქტობრივად საბჭოთა სისტემის ზოგიერთი გამოვლინების (მაგ.: ნაციონალური პოლიტიკის) პირდაპირი თუ ირიბი კრიტიკის შანსი ეძლეოდათ, რაც ხშირად დამცირებული ეროვნული ეგოს რეაბილიტაციის შესაძლებლობას იძლეოდა, ან თუნდაც ამის იღუზიას ქმნიდა. ამ ორ ისტორიულ მოვლენას შორის მოხვედრილი დროითი სივრცე კი ასევე ხასიათდება დასჯილობისა და ტოტალური მორჩილების სულისკვეთებით აფხაზებისათვის, ვინაიდან რუსულ იმპერიაში ისინი „დასჯილ ხალხს“ წარმოადგენდნენ, სტალინურ საბჭოთა კავშირში

კი ნებისმიერი ხალხისთვის, მათ შორის აფხაზებისთვის, ნაციონალიზმის მხოლოდ პარტიულად დაშვებული ხაზის განვითარება იყო შესაძლებელი, სხვა დანარჩენი კი ითრგუნებოდა და „ნაციონალისტობად“ ირაცხებოდა. აქედან გამომდინარე ეს ხანა აფხაზური ნაციონალიზმის პირველ ფაზად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ნაციონალური იდეისა და ეროვნული მომრაობის აღმოცენებისათვის საჭიროა ბიძგი, რომელიც შესაძლოა გაჩნდეს საკუთრივ ამ ხალხის წიაღში, მაგალითად დიდ ინტელექტუალს (ან ინტელექტუალებს) შეუძლია თავი მოუყაროს თავისი ხალხის კულტურის გაფანტულ ელემენტებს და ერთიან პლასტად შეკრას, ან თვითონ შექმნას ისეთი ინტელექტუალური პროდუქტი, რომელიც ჯგუფის წევრებისათვის ეროვნული იდენტიფიკაციის ერთ-ერთი მთავარი მარკერი გახდება. არსებობს მეორე გზაც - ეროვნული იდენტობა შესაძლოა გარე ძალების წაქეზებითაც წარმოიქმნას.

ნაციასა და უფრო დაბალი კატეგორიის საზოგადოებრივ გაერთიანებას შორის უმთავრესი განსხვავება პირველის პოლიტიკური მობილიზაცია და საკუთარი სახელმწიფოს შექმნაზე ფიქრია (დავითაშვილი, 2003. გვ.: 14), ანუ ის, რაც აფხაზებს მეოცე საუკუნემდე არ უცდიათ. რამ შეუშალა ამას ხელი? თითქოს აფხაზური ანბანის შექმნით, მალევე უნდა დაწყებულიყო თანამედროვე აფხაზური ერის ფორმირებაც, თუმცა მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. შესაძლოა, ამას შემდეგი ახსნა მოეძებნებოდეს: თუ ნაციის ფორმირების ერთ-ერთ აუცილებელ თანმდევ (ან იქნებ სულაც წინმსწრებ?) პირობად განმანათლებლობას განვიხილავთ, რადგან სწორედ მისი საშუალებით შეიძლება ეროვნული იდეების მიწოდება ფართე მასებისათვის და ერთიანობის განცდის შექმნა, მაშინ ცხადი გახდება, რომ მხოლოდ დამწერლობის შექმნა ვერ გახდებოდა ერთადერთი საკმარისი წინაპირობა ერის „ავტომატურად“ გაჩენისათვის. მით უმეტეს, რომ ანბანის შექმნის იდეა, ისევე როგორც ამ იდეის ხორცებსმა, მოხდა არა საკუთრივ აფხაზთა წიაღში, არამედ გარედან, რუსი გენერლის პეტრე უსლარის ინიციატივით (გვანცელამე, თ. თსკა). გარდა ამისა, არსებობდა სხვა პრობლემაც, სახელდობრ მუჰაჯირობა - მოხდა აფხაზთა

მნიშვნელოვანი ნაწილის გადინება რეგიონიდან, შესაბამისად ადამიანები, რომლებიც უნდა ჩართულიყვნენ ეროვნული იდენტობის მშენებლობის (თუნდაც გარედან სტიმულირებულ) პროცესში, მოსწყდნენ სამშობლოს, ხოლო აფხაზეთში დარჩენილი ნაწილი კი, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, „დასჯილი ხალხი“ გახდა, მათი იდენტობის გაძლიერებაზე მუშაობა კი უკვე აღარ უნდა ყოფილიყო პრიორიტეტული რუსეთის იმპერიისათვის. ამ მიზეზთა გამო აფხაზთა მასიური გასახლება, ცხადია, ეროვნულ ტრაგედიად აღიქმება.

სამაგიეროდ, მუჭაჯირობამ მოგვიანებით ითამაშა მნიშვნელოვანი შემაკავშირებელი როლი აფხაზური იდენტობისათვის. წინამდებარე ნაშრომისთვის კი ამ მოვლენის ანალიზი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება აფხაზთა პირველი არსებითი ბრალდებები ქართველების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მსგავსად სხვა ქართული სამეფო-სამთავროებიც რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა და ქართველებს არ ჰქონდათ კავშირი ამ ტერიტორიიდან აფხაზთა მასიურ გასახლებასთან, აფხაზურ ნაციონალურ ნარატივში ქართველებისთვის მაინც გამოიძებნა ადგილი და თანაც ისინი მასში მეტწილად უარყოფით პერსონაჟებად გვევლინებიან.

I. ქართველების როლი აფხაზთა მუჭაჯირობის ნარატივში და მიგრაციის პირველი ტალღები.

საგულისხმოა, რომ ერთი და იგივე ისტორიული ნარატივი, უფრო სწორად კი რამდენიმე ნარატივისგან შემდგარი ერთგარი „პაკეტი“ უნისონში ჟღერდება როგორც აფხაზ პოლიტიკოსებთან, ისე მეცნიერებთან და მწერლებთან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აფხაზებში შედგა კონსესუსი, იმის თაობაზე, რომ ქართველების როლი მათ ბედისწერაში უკიდურესად უარყოფითი იყო და დღემდე ასეთად რჩება. ქვემოთ თავდაპირველად განვიხილოთ აფხაზი პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების შეხედულებები ქართველთა როლზე აფხაზთა მუჭაჯირობასა და მის შემდგომ დაცარიელებული მიწების ათვისების მცდელობაში.

ამ მხრივ ქრესტომათიულ მაგალითად გამოდგება ისტორიკოსის, აფხაზეთის ყოფილი დე-ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივნის სტანისლავ ლაკობას ერთ-ერთი ადრეული პუბლიკაცია სახელწოდებით «Столетняя война Грузии против Абхазии». თავად სახელწოდება უკვე წინასწარ განწყობას უქმნის მკითხველს. მისთვის თავიდანვე გასაგები ხდება ვინ არის მტერი.

ეს მცირე რუსულენოვანი პუბლიკაცია ქართულ-აფხაზური ომის უკანასკნელ წელსაა გამოცემული და ალბათ თავისი სათაურით უნდა აჩვენოს აფხაზებს, რომ მიმდინარე ომი წარმოადგენს არა წარსულისგან განყენებულ კონფლიქტს, არამედ საუკუნის მანძილზე შემუშავებული ანტიაფხაზური პოლიტიკის ერთ-ერთ ბოლო რგოლს უკვე მათ თანამედროვე ეპოქაში. ამის საილუსტრაციოდ პუბლიკაცია იწყება მცირე შესავლითა და შემდეგ იაკობ გოგებაშვილის სტატიით სახელწოდებით „Кем заселить Абхазию?“, სადაც გოგებაშვილი წერს, რომ მუჰაჯირობის შედეგად დაცარიელებულ აფხაზეთში მეგრელები უნდა დასახლდნენ, რადგან აფხაზეთისა და სამეგრელოს კლიმატური პირობები ერთმანეთს ჰგავს, რაც აფხაზეთის ნესტიან ზღვისპირეთში მეგრელებს, განსხვავებით სხვა ქართველებისა და მით უფრო უცხოელებისაგან, გაუადვილებდა რთულ კლიმატთან ადაპტირებას. ამასთან ქართველი ავტორის აზრით მეგრელებს ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობისადმი აქვთ მიდრეკილება, რაც ამ მხარის განვითარების წინაპირობა იქნებოდა (ლაკობა, С. (1993). გვ.: 3-8).

გოგებაშვილის სტატიის ქვემოთ სტანისლავ ლაკობა უკმაყოფილებას გამოთქვამს შემდეგი კომენტარის სახით: „იაკობ გოგებაშვილის სტატია დაიწერა 1877 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როცა აფხაზები სისხლისგან იცლებოდნენ და იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სამშობლო“ (ლაკობა, С. (1993). გვ.: 15). ამის მერე ამბობს, რომ სოხუმსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე „ქართველ-მეგრელები“ სახლდებოდნენ სხვა ერის წარმომადგენლებთან ერთად, აფხაზებს კი, როგორც დასჯილ ხალხს, ეკრძალებოდათ ამ ტერიტორიაზე დასახლება. ამასთან,

ლაკობას თქმით „ქართველ-მეგრელები“ პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ, რადგან ისინი ცარისტული რუსეთის მხარეს იბრძოდნენ კავკასიელი მთიელების, მათ შორის აფხაზების წინააღმდეგ, ხოლო რუსეთში განათლებამიღებული ქართველი საზოგადო მოღვაწეები კი „უმთავრესი მიზნის მისაღწევად (მეგრელების აფხაზეთში ჩასასახლება - ა.ჯ.) მონურად გამოთქვამდნენ თავიანთ ერთგულ-ქვეშევრდომულ გრძნობებს რუსეთის იმპერიისადმი, რათა აფხაზეთისა და აფხაზური მიწების ფლობის ექსკლუზიური უფლება მიეღოთ“ (ლაკობა, С. (1993). გვ.: 16-17).

ზემოთ ჩამოთვლილი ბრალდებების მთელ წყებას ემატება კიდევ ერთი - ბრალდება იმპერიალიზმში. ქართული იმპერიალიზმის საილუსტრაციოდ კი ს. ლაკობას იმავე პუბლიკაციაში გ. წერეთლის სტატია მოჰყავს, სადაც უკანასკნელი წერდა: „მთელი კავკასია ჩვენი მიწაა, ჩვენი ქვეყანაა. (...) ჩერქეზების ქვეყანაში დავსახლდებით თუ დაღესტანში, ყველგან ჩვენი სამშობლოა“ (ლაკობა, С. (1993). გვ.: 14-15). სტანისლავ ლაკობას თქმით, გ. წერეთელი ქართველებს შავი ზღვის სანაპიროს ყირიმამდე ათვისებისკენ მოუწოდებდა, რის საფუძველზეც ავტორი ასკვნის, რომ „საქართველოში სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება იმპერიული აზროვნება და ქართველებს შთააგონებენ აზრს მათი განსაკუთრებულობისა და კავკასიაში მათი როლის მნიშვნელობის შესახებ“ (ლაკობა, С. (1993). გვ.: 15). საგულისხმოა, რომ მსგავსი დამოკიდებულება იკვეთება ჩემ მიერ ჩატარებულ გამოკითხვაშიც. კითხვაზე „რითი განსხვავდებიან აფხაზები ქართველებისაგან?“, ზოგიერთი რესპონდენტი შემდეგ პასუხებს წერს: „სხვის მიწებზე პრეტენზიის არქონით / ჩვენ არ ვართ იმპერიალისტები / იმპერიული ამბიციების არარსებობით / ქართველებს აქვთ პრეტენზია სხვათა მიწებზე, აფხაზებს - არა“. (იხ. დანართი № 3).

სტანისლავ ლაკობას თავისი პუბლიკაციით სააშვარაოზე გამოაქვს აფხაზების წინააღმდეგ ქართველთა ერთსაუკუნოვანი „შეთქმულება“, აღწერს, როგორ ავიწროვებდნენ მათ ქართველები ათწლეულების მანძილზე, რითაც ცდილობს ერთი

მხრივ დარაზმოს აფხაზები ეროვნული იდეის ირგვლივ, ხოლო მეორე მხრივ ლეგიტიმურობა შემატოს მათ ბრძოლას ქართველების წინააღმდეგ. ქართულ-აფხაზური ომის უკანასკნელ წელს კი ასეთ პუბლიკაციას დიდი იდეოლოგიური და სტრატეგიული დატვირთვა უნდა ჰქონოდა აფხაზ ერში საბრძოლო სულისკვეთების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად.

ანალოგიური აზრები ვითარდება აფხაზი მწერლისა და პუბლიცისტის ჯუმა ახუბას ვრცელ წერილში სახელწოდებით «დაბრუნდი, ძმაო!», რომელიც მან 1995 წელს აფხაზი მუჭავირების შთამომავალ საკუთარ ნათესავს მისწერა აფხაზურ ენაზე (Пачулия, Л. (09.04.2015)). წერილი 2013 წელს ორ ენაზე - ინგლისურად და რუსულად ითარგმნა და ერთ წიგნად გამოქვეყნდა. მან დიდი ინტერესი გამოიწვია აფხაზურ საზოგადოებაში. პრეზენტაციას ბევრი ადამიანი დაესწრო, ძირითადად მუჭავირების შთამომავლები. ჟურნალისტი ვიტალი შარია წერს, რომ წიგნი ხუთ ათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა, რაც „აფხაზეთისთვის საკმაოდ დიდი მაჩვენებელია“ (Шария, В. (04.12.2014)).

თავად ის ფაქტი, რომ წიგნად გამოცემული ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევის ადრესანტი მუჭავირების შთამომავალია, უკვე თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ აფხაზებისათვის მუჭავირების თემა ჯერ ისევ აქტუალურია. „სანამ თუნდაც ერთი აფხაზი არსებობს დედამიწაზე, ეს სიტყვა (მუჭავირობა - ა.ჯ.) ჩვენთვის ყველაზე მძიმე და მტკიცნეული იქნება“ - წერს ავტორი (Ахуба, Дж. (2013). გვ.: 95). მალე ნარკვევის ერთ-ერთი მთავარი კითხვაც გაჟღერდა: „ძმაო, შენ შეიძლება მკითხო: რისთვის დაგჭირდათ აფხაზეთში დარჩენილ აფხაზებს რუსეთი, რატომ აირჩიეთ ის? არ აჯობებდა გაერთიანებულიყავით თქვენთან უფრო ახლოს მყოფ ქართველებთან და ერთად გასცლოდით რუსეთს?“ (Ахуба, Дж. (2013). გვ.: 111). კითხვას ავტორი თავადვე პასუხობს: „ასე განსჯიან ისინი, ვინც ქართველებს კარგად არ იცნობს“ და ამატებს, რომ ქართველები სინამდვილეში ისეთები არ არიან, როგორებადაც თავი მოაქვთ, ისინი „გულში შხამს ინახავენ“. „რასაკვირველია,

გარეგნობით, ტრადიციებითა და ცხოვრების წესით ჩვენ ქართველებს უფრო ვგავართ, ვიდრე რუსებს, მაგრამ ღვიძლი ძმა თუ დაგიპირებს მოკვლას, როგორ მოიქცევი? მეზობელს ხომ მიმართავ, მიუხედავად იმისა, რომ ის უცხოა, რათა მტრისგან თავი დაიცვა? სწორედ ეს დაგვემართა ქართველებთან“ (Aхуба, Дж. (2013). გვ.: 111).

ალბათ, გასათვალისწინებელია, რომ ქართულ-აფხაზური ომის დასრულებიდან მხოლოდ ორი წელი იყო გასული, როცა ქართულ ტყვეობაში მყოფი ავტორი ამ წერილს წერდა, შესაბამისად უცხოეთში მყოფი ნათესავისადმი დაწერილი წერილის ემოციურობა გასაგებია, თუმცა, ორი უცნაური ფაქტი მაინც რთული ასახსნელია. პირველი - წერილი ეძღვნება რუსეთის იმპერიის ძალადობრივი პოლიტიკის შედეგად აფხაზეთიდან გასახლებული ადამიანების შთამომავლებს, მიუხედავად ამისა, მასში ძალიან ლოიალურად, შეიძლება ითქვას ზედაპირულადაა საუბარი რუსეთის ბრალეულობაზე აფხაზურ ეროვნულ ტრაგედიაში. მეორე - ქართველებს ბრალი ედებათ იმაში, რომ ისინი რუსეთის იმპერიის მხარეს იბრძოდნენ კავკასიელების წინააღმდეგ - „როცა რუსები კავკასიას ეომებოდნენ, ქართველები მათ მხარეს იყვნენ. კავკასიის დამარცხების შემდეგ, აფხაზთა უმეტესობა მუჰაჯირებად იქცა და აფხაზეთი დაცარიელდა. ქართველები კი, რომლებსაც ჩვენ ყველაზე ახლო ხალხად მივიჩნევდით, ნაცვლად იმისა, რომ ეცადათ აფხაზების დაბრუნება სამშობლოში, ისინი თავიანთ მეცნიერებთან ერთად იმაზე ფიქრობდნენ, როგორ მოეხდინათ აფხაზეთის კოლონიზაცია“ (Aхуба, Дж. (2013). გვ.: 112). ამასთან ჯუმა ახუბა მომდევნო აბზაცში წერს, რომ „აფხაზეთის მთავარი ქელეშბეგი ძალიან ბრძნულად მოიქცა, როცა რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლას მიაღწია. სხვა გზა (აფხაზი - ა.ჯ.) ხალხის გადასარჩენად არ არსებობდა“ (Aхуба, Дж. (2013). გვ.: 112).

ანუ, ავტორი ჯერ ამბობს, რომ ქართველებმა ფაქტობრივად კავკასიელებს უღალატეს და თავიდანვე რუსეთს დაუჭირეს მხარი მათ წინააღმდეგ ბრძოლაში (აქ

ავტორი სამწუხაროდ არ ახსენებს მეფობის გაუქმებას აღმოსავლეთ საქართველოში, ქართულ სამეფო-სამთავროებში მოწყობილ/დაგეგმილ აჯანყებებს, ქართული სამეფო ოჯახების წევრთა იძულებით გასახლებას მათი სამფლობელოებიდან, ბოლოს და ბოლოს სოლომონ მეორესა და რუსეთს შორის ხანგრძლივ ომს), ამის პარალელურად კი ამართლებს აფხაზეთის მთავრის გადაწვეტილებას რუსეთთან შეერთების თაობაზე. უფრო მეტიც, შემდგომში ის წერს: „წამქეზებლებს აფხაზები და რუსები რომ არ დაეპირისპირებინათ, აფხაზებს იარაღი რომ არ აეღოთ ხელში რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორც ეს ქართველებმა გააკეთეს, ქელეშბეი ჩაჩბას არჩეული გზით რომ ევლოთ და რუსეთს შეერთდებოდნენ, მაშინ არც მუჰაჯირობა იქნებოდა. ახლა ყველა აფხაზი სამშობლოში იცხოვრებდა“ (Aхуба, Дж. (2013). გვ.: 157-158). გამოდის, რომ მწერალმა თავიდან ქართველები გააკრიტიკა იმაში (რუსებთან კოლაბორაცია, კავკასიის დალატი), რასაც აფხაზებს მოუწონებდა (ქელეშბეი ჩაჩბას გზის არჩევა და რუსეთთან შეერთება).

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველებს ბრალი ედებათ აფხაზეთის კოლონიზაციის მცდელობაშიც. ბუნებრივია გულისტკივილი, რომელიც ავტორს უჩნდება, როცა ამბობს, რომ ქართველები არ ცდილობდნენ აფხაზთა სამშობლოში დაბრუნებას, თუმცა არ შეიძლება იმ ფაქტის დავიწყება, რომ საქართველო თავად იყო რუსეთის იმპერიის პროვინცია. ავტორის მსჯელობიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ქართველები, რომლებიც დაცარიელებული მიწების ათვისებაზე ფიქრობდნენ, თითქოს უფრო დიდ დანაშაულს ჩადიოდნენ აფხაზების წინააღმდეგ, ვიდრე რუსები, რომლებმაც აფხაზებს ოსმალეთის იმპერიაში გადასახლება აიძულეს.

ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი ციტატიდან ჩანს, რომ ჯუმა ახუბა ქართველებს აფხაზებისთვის ყველაზე ახლო ხალხად ასახელებს (Aхуба, Дж. (2013). გვ.: 111), მიუხედავად ამისა, წერილში ქართველთა აღმნიშვნელი ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული სინონიმი არის „მტერი“. ეს სიტყვა ძირითადად ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის თანამედროვე „კოლექტიურ ქართველობას“ უფრო

მიემართება, თუმცა ამ სიტყვის პროეცირება ხდება „წარსულის ქართველებზეც“, რომლებიც ავტორის აზრით ანტიაფხაზურ საქმიანობას ეწეოდნენ.

საერთოდ, რამდენიმე გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, ქართველები აღნიშნულ წერილში ანტაგონისტები არიან. ავტორი თითქოს იმეორებს სტანისლავ ლაკობას მიდგომას და წარსულის გაცოცხლებით (თანაც ძირითადად ისე, რომ ამ რეტროსპექტივაში ფოკუსი მიმართულია ნეგატიურ მოვლენებზე) იდეოლოგიურ ბაზისს ქმნის საიმისოდ, რომ ერთმა ძმამ (აფხაზმა) სინდისის ქენჯნის გარეშე მოიკვეთოს მეორე ძმა (ქართველი), რომელმაც მისი დაჩაგვრა გადაწყვიტა. ამდენად, არც უნდა იყოს გასაკვირი, რომ გამოკითხვის მონაწილეთა დაახლოებით ნახევარმა კითხვაზე: „როგორ დაახასიათებდით აფხაზებისა და ქართველების დამოკიდებულებას ერთმანეთისადმი?“ ექვსი შესაძლო ვარიანტიდან (მტრები, მეზობლები, მონათესავე ხალხები, კულტურულად ახლოს მყოფი ხალხები, ხალხები, რომლებსაც ბევრი აქვთ საერთო, ხალხები, რომლებსაც ბევრი საერთო არ აქვთ) სწორედ „მტერი“ აირჩია (რესპონდენტებს ერთდროულად რამდენიმე ვარიანტის არჩევის შესაძლებლობაც ჰქონდათ). (იხ. დანართი № 3).

აფხაზთა მუკაჯირობასა და მოსახლეობისაგან დაცლილი აფხაზეთის კოლონიზაციის საკითხებს მიუძღვნა თავისი მონოგრაფია ისტორიკოსმა გიორგი ძიძარიამ. 1979 წელს გამოცემული წიგნი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ-ს სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა, 1982 წელს კი ხელმეორედ გამოიცა. მსგავსი პატივი აღბათ ავტორის პოზიციით იყო განპირობებული - ზემოთ განხილული პუბლიკაციებისაგან განსხვავებით, აღნიშნულ ნაშრომში მუკაჯირობის ორგანიზების „მთავარი გმირი“ რუსული იმპერიალიზმია (Дзидзария, Г.А. (1982). გვ.: 427-448), თუმცა, ავტორი ამ დანაშაულში რუსულ იმპერიალიზმს არ განაზოგადებს რუს ერზე: „აფხაზეთში სულ უფრო ხშირად ჩამოდიოდნენ რუსი მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები, მეცნიერები - დიდებული რუსული კულტურის მატარებლები“ (Дзидзария, Г.А. (1982). გვ.: 447).

თავის შეფასებებში გიორგი ძიძარია ძალიან დიპლომატიურია სხვა მხარეების მიმართაც. ასეთი მიდგომა კი განპირობებული უნდა იყოს ერთი მხრივ საბჭოთა კავშირში გაბატონებული ანტიიმპერიალისტური, ანტიცარისტული იდეოლოგიის არსებობით, რომელიც ისტორიული მოვლენების ახსნას მარქსიზმის ჭრილში მოითხოვდა, მეორე მხრივ შესაძლო უხერხულობათა და რეპრესიების (თუნდაც უფრო რბილი, ვიდრე სტალინის ეპოქაში) თავიდან აცილების სურვილით - ცენტრალური ხელისუფლების ან „მოძმე ერების“ კრიტიკა, შესაძლოა „ნაციონალისტობად“ აღქმულიყო, რაც საბჭოთა კავშირში როგორც მინიმუმ პოლიტიკურ განაჩენს წარმოადგენდა.

მსგავსი „დიპლომატიურობა“ იგრძნობა აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენელთა ადრეულ წერილებშიც, რომლებიც საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების მაღალჩინოსანთა სახელზე იწერებოდა სტალინის მმართველობის ბოლო წლებსა და მისი გარდაცვალებიდან კიდევ რამდენიმე წლის მანძილზე. პირველი ასეთი წერილი 1947 წელს დაიწერა სტალინის სახელზე. მიმართვის ავტორთა შორის ერთ-ერთი გიორგი ძიძარიაც იყო (ბაგრატ შინკუბასა და კონსტანტინე შავრილთან ერთად). წერილი, რომელშიც ავტორები ძირითადად აფხაზური სკოლების დახურვასა და აფხაზური ენის როლის შემცირებაზე ჩიოდნენ, დეზინფორმაციად მონათლეს, სამივე ხელმომწერი კი თბილისში გამართულ პარტიულ სხდომაზე მწვავედ გააკრიტიკეს («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 81-90). აღსანიშნავია, რომ ამ კრიტიკის შემდეგ გიორგი ძიძარიას (გარდაიცვალა 1988 წელს) არც ერთი მნიშვნელოვანი მიმართვისთვის აღარ მოუწერია ხელი.

სტალინის გარდაცვალებამ რეპრესიული მიდგომები შეარბილა, თანაც, მისი კულტის დაგმობის შემდეგ სტალინის მმართველობის კრიტიკა დასაძრახი ნამდვილად არ ყოფილა, უფრო პირიქით. შესაძლოა ამიტომაც იმატა როგორც ასეთი მიმართვების რაოდენობამ, ისე ხელმომწერთა რიცხვმაც. ამასთან, კრემლში

„ქართული მმართველობის“ დასრულებიდან რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო გაბედული იყო მიმართვების შინაარსიცა და მოთხოვნებიც საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. ამ წერილებში კარგად ჩანს ქრონოლოგიურად როგორ მატულობდა სკეპტიციზმი და უკმაყოფილება თბილისის მიმართ. დიდწილად ამ მიმართვებში ყალიბდებოდა მთავარი პრეტენზიებისა და მოთხოვნების სია, რომელშიც დროსთან ერთად ახალი პუნქტები ჩნდებოდა. მოთხოვნების შესრულების მთავარ არგუმენტად კი ქართველების მხრიდან აფხაზთა შევიწროვება სახელდებოდა.

სწორედ ასეთ კორესპონდენციაში თანდათან ჩამოყალიბდა კონცეფცია, რომლის თანახმადაც ქართველები მიზანმიმართულად ებრძოდნენ და ანადგურებდნენ აფხაზებს. ცხადია, ადრეულ წერილებში ქართველების მიმართ ბრალდებები ირიბად გამოითქმოდა, თუმცა მოგვიანებით, განსაკუთრებით 1980-იან წლებში, პოლიტიკური გარემოს ლიბერალიზაციასთან ერთად, აფხაზური ინტელიგენცია პირდაპირ ადანაშაულებდა ქართველებს შოვინიზმსა და იმპერიალიზმში.

ათვლის წერტილი ამ კოლექტიურ მიმართვებშიც ხშირად მუჰაკირობის შემდგომი მიგრაცია იყო. 1947 წელს შედგენილ პირველ წერილში, ავტორები ამ საკითხს არ ეხებიან. სამაგიეროდ, მუჰაკირობის შემდეგ დაწყებული მასიური მიგრაციის თემა უკვე 1977 წლის ლეონიდ ბრეუნევის, სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, უკანასკნელის თავმჯდომარისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და წევრობის კანდიდატების სახელზე დაწერილ მიმართვაში (სახელწოდებით «ასოცდაათის წერილი» – «Письмо Ставропольского треста») გაჟღერდა: „ქართველები აქ (აფხაზეთში - ა.ჯ.) დასახლებას მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან იწყებენ, როცა აფხაზური სანაპიროს დასახლებული ნაპირები მუჰაკირობის შედეგად დაცარიელდა“ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 170). იქვე მოყვანილია

სტატისტიკური მონაცემები, რომელთა თანახმადაც 1886 წელს აფხაზეთში მხოლოდ 3989 ქართველი ცხოვრობდა, თერთმეტ წელიწადში კი მათი რაოდენობა თითქმის შვიდჯერ გაიზარდა და 25640-ს მიაღწია (იქვე).³ სწორედ ეს ეპოქა მოინათლა აფხაზურ ეროვნულ თვითშეგნებაში ქართული ექსპანსიის პირველ მცდელობად.

რუსეთ-კავკასიის ომებში ცარიზმის მხარეს ბრძოლა და მუჭავირებისაგან დაცლილი ტერიტორიების მასიური დასახლების სურვილი - ძირითადად ამ ორი პრეტენზით იწყება აფხაზურ ნაციონალურ ნარატივში ქართული მხარის დადანაშაულება და ამავე საძირკველზე ხდება ახალი ბრალდებების დაშენებაც.

II. აფხაზეთის «მენშევიკური ოკუპაცია» და ახალი მიგრაციული ტალღები.

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა დღეს ქართველებისათვის სიამაყის წყაროა, სამაგიეროდ ქართული სახელმწიფოს სამწლიანი დამოუკიდებლობა აფხაზების მიერ სრულიად განსხვავებულად აღიქმება. მათთვის ეს მორიგ ეროვნულ დამცირებას წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის დროს, ცხადია, ისტორიის აღნიშნულ მონაკვეთზე დიდ ყურადღებას არ ამახვილებდნენ, ხოლო თუ ახსენებდნენ, ძირითადად მხოლოდ უარყოფით კონტექსტში, შესაბამისად „მენშევიკები“ და „მენშევიკური მთავრობა“ ნებატიური კონოტაციის მქონე მეტაფორების სახით გამოიყენებოდა.

საერთოდ, „აფხაზური წერილების“ კითხვისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათი ავტორები საკმაოდ ოსტატურად იყენებდნენ მათივე თანამედროვე პოლიტიკურ კონიუნქტურას, იმისათვის რათა საკუთარი პოზიცია დამატებითი არგუმენტებით გაემყარებინათ. მაგალითად, საბჭოთა კავშირში არსებულ ანტიმენშევიკურ განწყობას იყენებდნენ რათა 1918-1921 წლებში საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის „ძალადობრივი ინკორპორირება“ გაეკრიტიკებინათ,

³ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ადრეული წლების (განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის) სტატისტიკური მაჩვენებლები მანიპულაციების საგანია დიდი ხნის მანძილზე. სტატისტიკის „სწორად წაკითხვა“ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ეთნიკურ ჯგუფს მივაკუთვნებთ სამურზაყანოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს.

ხოლო სტალინის კულტის დაგმობის შემდეგ სარგებლობდნენ ლავრენტი ბერიას საწინააღმდეგოდ მიმართული კამპანიით და მის „ზოგად ცუდ“ საქმიანობას აკონკრეტულად აფხაზების მაგალითზე და ასე აჩვენებდნენ მის ბრალეულობას კონკრეტულად აფხაზების წინაშე (რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური ბრძოლის ამ ხერხებს მხოლოდ აფხაზები იყენებდნენ). ვფიქრობ, საჭიროა ქვემოთ მოკლედ გავიხსენოთ ზოგიერთი პასაჟი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და აფხაზეთის, როგორც მისი ნაწილის ისტორიიდან. ამის შემდეგ კი მიმოვიხილოთ „აფხაზური წერილები“⁴, სადაც გამოჩნდება აფხაზ ინტელექტუალთა რეფლექსია „ქართულ იმპერიალიზმზე“.

რუსეთის იმპერიაში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს კავკასიაში ნომინალური ძალაუფლება ამიერკავკასიის სეიმს ჰქონდა (გაჩეჩილაძე, რ. (2013). გვ.: 130). 1918 წლის მარტში, ამიერკავკასიის სეიმში შემავალ აფხაზეთში მოეწყო „აფხაზეთის მშრომელთა აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად“, რომელმაც მარცხი განიცადა და შედეგად „1918 წლის შემოდგომისათვის მთელს აფხაზეთში დროებით კონტრრევოლუციური რეჟიმი დამყარდა“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (1977). ტომი მეორე. გვ.: 30). იმავე წლის 22 აპრილს შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც მალევე დაიშალა და მაისის ბოლოს რეგიონში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო - საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი გაჩნდა (გაჩეჩილაძე, რ. (2013). გვ.: 132-133). საბჭოთა მეთერთმეტე არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციიდან ორიოდე კვირის შემდეგ „სოხუმის ოკუპაციის ბაზაზე აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა, რომელიც ნომინალურად საქართველოს სსრ-სთან გათანაბრებული პოლიტიკური ერთეული იყო. უფო მეტიც, საქართველოს ბოლშევიკურმა რევოლუციამ იმავე წლის 21 მაისს აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო“

⁴ „აფხაზური წერილები“ - ასე ეწოდება იგორ მარიხუბას წიგნში «Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов» მიმართვებს, რომელებიც 1947, 1954-1957, 1965, 1967, 1977, 1978, 1983-1985, 1988 და 1989 წლებში იწერებოდა მირითადად სსრკ-ს ცენტრალური ხელისუფლების პირველი პირებისა და გავლენიანი ინსტიტუტების სახელზე.

(გაჩეჩილაძე, რ. (2013). გვ.: 188). აფხაზეთის სსრ-შ საქართველოსგან დამოუკიდებლად მხოლოდ ათი თვე იარსება, რის შემდეგაც 1921 წლის 16 დეკემბერს „სამოკავშირეო ხელშეკრულების“ საფუძველზე ის საქართველოს სსრ-ში შევიდა. 1931 წელს კი მას სტატუსი კიდევ ერთხელ შეეცვალა და ამჯერად აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გახდა, რომელიც საქართველოს სსრ-ს შემადგენელი ნაწილი იყო (გაჩეჩილაძე, რ. (2013). გვ.: 188-189).

საქართველოსაგან დე-იურე დამოუკიდებლად არსებობის ეს მცირე პერიოდი (ათიოდე თვე), შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით იმავე მნიშვნელობის იყო აფხაზებისათვის, რაც დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა ქართველებისათვის. მოგვიანებით აფხაზი ერის ისტორიულ მეხსიერებასა და ეროვნულ ნარატივში ეს მოვლენა სიმბოლურ დატვირთვას იძენს. ამიტომაც 1922 წელს აფხაზეთის სსრ-ს დაქვემდებარება საქართველოს სსრ-სადმი, კრემლში ქართული ლობის (სტალინი, ორჯონივიძე) გამარჯვებად და შესაბამისად აფხაზთა ეროვნული ინტერესების გაწირვად აღიქმებოდა. ასე კიდევ უფრო მყარდება იმის ეჭვი, რომ ქართველები მეცხრამეტე საუკუნიდან „შეთქმულებას“ აწყობენ აფხაზების წინააღმდეგ და შესაბამისად მათდამი კიდევ უფრო მეტი უნდობლობის საბაბიც ჩნდებოდა.

სწორედ ეს ნარატივი იკვეთება ჯუმა ახუბას წიგნის ერთ პასაჟში. მწერალი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირს 30 წლის მანძლზე სტალინი მართავდა. ის ბევრ ქართველს დაეხმარა მაღალი თანამდებობების მიღებაში. თუმცა, ავტორის თქმით, არც მისი გარდაცვალების შემდეგ დაუკარგავთ ქართველებს გავლენა. ამის საილუსტრაციოდ ჯუმა ახუბა ასახელებს ხრუშჩოვის ქართველ ქვისლს (свояк), ასევე ალექსეი კოსიგინის და მიხეილ სუსლოვის სიძეებს, რომლებიც მისი თქმით ქართველები იყვნენ ეროვნებით⁵ (Ахуба, დ. (2013). გვ.: 133-134). როგორც ჩანს, მწერლისთვის საბჭოთა ნომენკლატურის გავლენიან პირებთან ქართველთა

⁵ ნიკიტა ხრუშჩოვისა და მიხეილ სუსლოვის შემთხვევაში ინფორმაცია ქართველი ქვისლისა და სიძის (შესაბამისად) შესახებ არ დასტურდება.

ნათესაური კავშირები აჩენს იმის ეჭვს, რომ ქართველებსა და მათ პოლიტიკას მფარველები ჰყავდა მოსკოვში. ამ კავშირებს კი მცირე აფხაზი ერი ეწირებოდა.

ამ ლოგიკური ჯაჭვის გაგრძელებაა ისიც, რომ დიდწილად სწორედ ეთნიკურად ქართველ ლავრენტი ბერიას ბრალდება აფხაზეთში ქართველების ჩასახლება. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მასიური მიგრაციის თემა აფხაზურ ნაციონალურ ნარატივში ერთ-ერთი წამყვანია. აფხაზური ხედვის თანახმად, აფხაზეთის ტერიტორიაზე დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა მასიური ჩასახლება ქართული ანტიაფხაზური პოლიტიკის ერთ ცალკეულ ეტაპს წარმოადგენდა, მთლიანი ჯაჭვის ერთ-ერთ (საწყის) რგოლს და აფხაზეთში აფხაზთა კვალის თანდათან წაშლას ისახავდა მიზნად.

ჩამოსახლებულთა თემა ფაქტობრივად ყველა „აფხაზურ წერილში“ გაჟღერდა, მათ შორის პირველ - 1947 წელს შედგენილ ძიძარია, შინკუბა, შაყრილის მიმართვაშიც, რომელიც კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გადაიგზავნა. ეს პრობლემა წერილში მეთერთმეტე პუნქტის სახით გაჟღერდა და ისევე, როგორც მთელ ტექსტში, ამ მონაკვეთშიც ავტორების მხრიდან გამოვლენილი სიფრთხილე კარგად იგრძნობა («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 81-86) - სტალინი ჯერ კიდევ მართავს ქვეყანას. უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ დაწერილი მიმართვები უფრო ფართედ აშუქებენ ჩამოსახლებულთა პრობლემატიკას და მათ ავტორებს აღარ ერიდებათ ბერიასა და შემდგომში უკვე ოფიციალური თბილისის კრიტიკაც.

1954 წელს იმავე ინსტიტუციის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში აფხაზეთის სახალხო მწერალი დიმიტრი გულია წერს: „ძალიან ჩახლართულია სოფლის მეურნეობის საკითხები. აქ დიდი ხნის მანძილზე ჭარბობდა არა ეკონომიკური მიდგომა და მიზანშეწონილობა, არამედ რაღაც სხვა. აფხაზეთში ჩასახლება 1938 წელს დაიწყო. ზრუნავდნენ იმაზე, რომ აფხაზურ სოფლებში როგორმე მჭიდროდ დაესახლებინათ ახალმოსახლეები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ

საქართველოდან უნდა ყოფილიყვნენ. ჩასახლება ახლაც მიმდინარეობს აფხაზურ სოფლებსა და რსფსრ-ს საზღვართან ახლოს, გაგრაში, სადაც არაა თავისუფალი მიწები. ასახლებენ იქ, სადაც ძვირფასი ტყეების გაჩეხვა ხდება საჭირო, ვენახების გაჩეხვაც კი. იყო შემთხვევები, როცა ახალმოშენეთა დასასახლებლად მიცვალებულებიც კი ამოთხარეს (სოფელი ოთხარა). (...) საჭიროა ამ საკითხის უფრო ღრმად შესწავლა, უარყოფილ უნდა იქნას ის მიზნები, რომლებიც დასახულ იქნა ჩასახლებასთან დაკავშირებით 1938 წელს“ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 110-111).

მართალია, დიმიტრი გულია ამ წერილში პირდაპირ არ ამბობს, რომ გადასახლების პოლიტიკა ავტონომიური რესპუბლიკის გაქართველებისკენაა მიმართული, თუმცა ტექსტში ირიბი გზავნილებისა და ბრალდებების ამოკითხვა ნამდვილად შეიძლება. ამის კიდევ ერთი დასტური კი წერილის ბოლოს გაუღერებული ერთ-ერთი ფრაზაა: „ბევრი გამოსავალს ხედავს იმაში, რომ აფხაზეთი რსფსრ-ს შემადგენლობაში შევიდეს“ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 111). ფაქტობრივად იგივე ტექსტი მეორდება დიმიტრი გულიას მიერ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კლიმენტ ვოროშილოვის სახელზე დაწერილ იმავე წლის მიმართვაშიც (იქვე. გვ.: 112-113).

ზემოთ ხსენებული მიმართვებით დაწყებული ყველა „აფხაზურ წერილში“ გაუღერდა ქართველების მასიური ჩამოსახლების საკითხი. საინტერესოა, რომ სწორედ ქართველების ხვედრითი წილის ზრდა იწვევდა აფხაზებში შიშა და უკმაყოფილებას, მაშინ, როცა ეთნიკური სომხებისა და რუსების ხვედრითი წილიც სწრაფი ტემპებით იზრდებოდა, თუმცა ამაზე აფხაზურ ინტელიგენციას მწვავე რეაქცია არ გამოუხატავს.

1977 წლის მიმართვას 130 ხელმომწერი ჰყავდა და მასში უკვე მძაფრად იგრძნობა ბრალდებები ქართველების მიმართ: „ძალიან მნიშვნელოვანია იმის

ხაზგასმა, რომ აფხაზეთის მოსახლეობის გაქართველების პროცესი მუდამ ატარებდა და დღესაც ატარებს შოვინისტურ ხასიათს და მას არაფერი საერთო არ აქვს ბუნებრივ დემოგრაფიულ პროცესებთან და სხვადასხვა საპატიო საბაბით - კადრების გაცვლა, მომსახურე პერსონალის დაკომპლექტება, სამუშაო ძალის მობილიზება - ხორციელდება“ (იქვე. გვ.: 170-171).

იმის დასადასტურებლად, რომ საქართველოს სხვა რეგიონებიდან სამუშაო ძალის შემოყვანის აუცილებლობა არ არსებობდა და ეს ყველაფერი სინამშვილეში ავტონომიის გაქართველების პოლიტიკას წარმოადგენდა, აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლები შემდეგ არგუმენტებს იყენებდნენ: „აფხაზეთში (...) საქართველოს სსრ-ს მოსახლეობის მეათედი ცხოვრობს, ხოლო ერთ კვადრატულ კილომეტრზე მცხოვრებთა რაოდენობა ხუთჯერ აღემატება საბჭოთა კავშირის საშუალო მაჩვენებელს. 1975 წელს კი საზოგადოებრივ წარმოებაში შრომისუნარიანი მოსახლეობის 19,1% იყო დაუსაქმებელი, რაც საბჭოთა საშუალო მაჩვენებელს ორჯერ აღემატება. (...) მიუხედავად ამისა აფხაზეთში ქართველთა ჩასახლება ისევ გრძელდება“ (იქვე. გვ.: 171).

ერთი წლის შემდეგ 1978-ში დაიწერა მორიგი წერილი სახელწოდებით „მკაცრი პასუხი „ასოციაციათის წერილის“ ცილისმწამებლებს“, რომელიც ლეონიდ ბრუჯნევის, ბორის ადლეიბასა და ბაგრატ შინკუნბას სახელზე გაიგზავნა. აქ ცხრამეტი ხელისმომწერის სახელით ავტორები აცხადებენ, რომ ცილისმწამებელ ვალერი ხინთბას მტკიცება იმის თაობაზე, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვის პრობლემა აფხაზეთში გაზვიადებულია, მცდარია. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მოსახლეობის სიმჭიდროვე კვადრატულ კილომეტრზე 58,1 ადამიანია, მაშინ როცა საქართველოს სსრ-ში ეს მაჩვენებელი 71,1-ს, ხოლო აჭარის ასსრ-ში სულაც 114,3-ს უდრის, ავტორთა მტკიცებით „ხინთბა არ ითვალისწინებს ფრიად მნიშვნელოვან ფაქტორს, კერძოდ იმას, რომ აფხაზეთში მიწების მხოლოდ 30% არის ვარგისი საცხოვრებლად და სამეურნეო საქმიანობის გასაძლოლად“ («Абхазия в Советскую

Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 265). სახეზეა ბატალიები, რომლებშიც აფხაზები მაქსიმალურად ცდილობენ ეჭვევეშ დაყენონ აფხაზეთში ქართველთა მასიური მიგრაციის მიზანშეწონილობა.

1988 წლის წერილში (ე.წ. „ოთხმოცის წერილი“) არგუმენტები ისევ მეორდება და თან ახალი ფაქტოლოგიური მასალითაც მდიდრდება. მაგალითად ავტორი იგორ მარხოლია წერს, რომ საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელი შრომისუნარიანი ადამიანების წილი უკვე 24%-ია, რაც ავტონომიურ რესპუბლიკაში დანაშაულისა და კორუფციის მაჩვენებლის ზრდას უწყობს ხელს. საგულისხმოა, რომ მიმართვებში ხშირად ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესებაც გამოიყენება აქტიური მიგრაციული ტალღების შეჩერების არგუმენტად.

იმავე წერილში ახალი ბრალდებაც უღერდება, რომელიც ისევ ლავრენტი ბერიას სახელს უკავშირდება. იგორ მარხოლია ამტკიცებს, რომ „ბერიას მმართველობის პერიოდში აფხაზების ფიზიკური განადგურების (გენოციდი - ი. მ.) და ძალდატანებითი ასიმილაციის ორი მეთოდი არსებობდა: 1. გალის მოსახლეობას შესთავაზეს პასპორტში ეროვნების გრაფაში ჩაეწერათ „ქართველი“. ამ შემთხვევაში მათ გზა ეხსნებოდათ სწავლის, კარიერისა და მატერიალური კეთილდღეობისკენ. 2. (...) აღწერებში აფხაზთა რაოდენობას ხელოვნურად ამცირებდნენ“ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 409-410).

იგორ მარიხუბა წერს, რომ ამგვარი პოლიტიკით ქართველები ცდილობდნენ შეემცირებინათ აფხაზთა ხვედრითი წილი რეგიონში და ამით გაემართლებინათ აფხაზეთის ავტონომიის გაუქმება. ავტორი მიმართვის ადრესანტებს ქართველთა ანტიაფხაზური პოლიტიკის ლოგიკას ისტორიკოს ა. ი. მენაბდის ნაშრომის კრიტიკის საფუძველზე განუმარტავს (მოკლედ გადმოვცემ ნათქვამის შინაარსს): „ქართველები აფხადებენ, რომ მათ და აფხაზებს ხანგრძლივი თანაცხოვრების დროს ბევრი საერთო მახასიათებელი გაუჩნდათ, ამიტომ საბჭოთა აფხაზეთი საბჭოთა საქართველოსთან

თავიდანვე იყო დაკავშირებული, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ამის შემდეგ ქართველები ასკვნიან, რომ საბჭოთა კავშირში მხოლოდ აფხაზეთია ისეთი ავტონომიური ერთეული, სადაც ძირითადი ეროვნება 15%-ია. შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთის ასსრ-ს არსებობა არანორმალურია და ამას აფხაზები ქართველებს უნდა უმადლოდებ“ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 410). მარიხუბა დასმენს: „რატომღაც ა. ი. მენაბდე არ საუბრობს იმ მიზეზებზე, თუ როგორ გახდნენ აფხაზები აფხაზეთში 15%“ (იქვე. გვ.: 410-411). ეს მიმართვაც, წინამორბედების მსგავსად მთავრდება დასკვნით: „შეუძლებელია მომავალში აფხაზეთის ასსრ-ს დარჩენა საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში“ (იქვე. გვ.: 435).

როგორც ზემოთ განხილული მასალებიდან ჩანს, აფხაზური ინტელიგენცია ქართველთა მასიური ჩასახლების თემას იყენებს იმისათვის, რათა დაასაბუთოს საკუთარი მოთხოვნის - აფხაზეთისა და საქართველოს განცალკევების - ლეგიტიმურობა. შემდეგ ქვეთავებში განვიხილავთ კიდევ რამდენიმე ასეთ არგუმენტს.

III. ომი აფხაზურ ანბანთან.

კითხვაზე: „რას ნიშნავს თქვენთვის იყო აფხაზი?“ ჩემ მიერ ჩატარებული გამოკითხვის მონაწილეთა დიდმა ნაწილმა დაწერა, რომ იყო აფხაზი, ნიშნავს, იცოდე აფხაზური ენა. მომდევნო კითხვაზე: „რითი (რა მიღწევებით) უნდა იამაყოს აფხაზმა მეოცე საუკუნეში?“ ხშირი პასუხი იყო „აფხაზური ანბანისა და ლიტერატურის შექმნით“. კითხვაზე: „რითი განსხვავდებიან აფხაზები ყველა სხვა ერისაგან (დაასახელეთ აფხაზი ერის განმასხვავებელი ნიშნები)?“ სიხშირის მიხედვით აქაც გამორჩეულად ლიდერობს „აფხაზური ენით“. (იხ. დანართი № 3).

თითოეული ეს მარკერი დღევანდელი აფხაზებისათვის მათი ეროვნული იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილია (თუნდაც დეკლარირებულად, მიუხედავად იმისა, თუ რა ინტენსივობით იყენებენ მშობლიურ ენას ყოველდღიურობაში). დღეს

რუსული ენის პოზიციები აფხაზეთში ძალიან ძლიერია და ის აფხაზურს დიდ კონკურენციას უწევს, აფხაზეთში არსებული ქართველების მტრის ხატი კი აფხაზური ენის აღორმინებისათვის არ გამოდგება, რადგან დღეს იქ ქართული თავადა „რეპრესირებული ენა“ და სხვა ენებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირში, სადაც აფხაზეთი საქართველოს დაქვემდებარებული ერთეული იყო, აფხაზური ენის დაცვის იდეა უამრავ აფხაზს აერთიანებდა და ეროვნული მობილიზაციის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა.

აფხაზურ ნაციონალურ ნარატივში მათ მშობლიურ ენასთან ბრძოლის ერთ-ერთ გამოვლინებად აფხაზური სკოლების დახურვა განიხილება. თუმცა ამ მოვლენას ქრონოლოგიურად უსწრებს კიდევ ერთი ბრალდება - აფხაზური ანბანის გადაყვანა ქართულ გრაფიკაზე. ქართველი მკვლევარები ხშირად მიიჩნევენ, რომ სწორედ ქართული გრაფიკა არის საუკეთესო არა მხოლოდ აფხაზური, არამედ ჩრდილოეთ-კავკასიური სხვა ენებისათვისაც (გვანცელაძე, თ. თსკა). თუმცა, 1938 წელს აფხაზური ანბანის ლათინურიდან ქართულ გრაფიკაზე გადაყვანა, აფხაზების მხრიდან აღიქმებოდა არა იმდენად ლინგვისტური კუთხით გამართლებულ ნაბიჯად, რამდენადაც აფხაზების ქართული გავლენისადმი დაქვემდებარებად. ამ პერცეფციის არსებობას კი ორი რამ უწყობს ხელს: უპირველეს ყოვლისა ის, რომ ანბანი სტალინისა და ბერიას მმართველობის დროს შეიცვალა და თანაც აფხაზურისა და ოსური ენის სამხრეთული დიალექტისაგან განსხვავებით, ყველა სხვა უდამწერლობო ენის ანბანი ლათინური გრაფიკიდან არა ქართულზე, არამედ კირილიცაზე გადავიდა (იქვე. დამოწმებულია მხოლოდ ინფორმაცია დამწერლობის ცვლილების შესახებ).

1953 წლის 1 ოქტომბერს, სტალინის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, პარტიული ფუნქციონერი მიხეილ დელბა თავის ახსნა-განმარტებით წერილში ამბობს, რომ მისი დაშვება იმის შესახებ, რომ ქართული გრაფიკა აფხაზური დამწერლობისათვის საუკეთესო იყო, არასწორი აღმოჩნდა («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 96-97).

იმავე წლის 2 ოქტომბერს კიდევ ერთი ფუნქციონერი ა. მ. ლაბახუა თავის გამოსვლაში აღნიშნავს, რომ აფხაზური ანბანი კირილიცაზე უნდა იქნას გადაყვანილი (იქვე. გვ.: 102). უცნაურია, მაგრამ ამავე პოზიციას იზიარებს დიმიტრი გულიაც, რომელიც ანბანის ცვლილების კომისიის თავმჯდომარე იყო. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე დაწერილ მიმართვაში (1954 წელი) ის აცხადებს: „საქმე ბევრია, ახალი ანბანი უნდა შევიმუშავოთ (იგულისხმება კირილიცაზე გადასვლა - ა.ჯ.), სასწავლო წლის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა“ (იქვე. გვ.: 110).

ზემოთ ხსენებულ სამივე გამოხმაურებაში აფხაზური ანბანის თემა მსუბუქად წამოიჭრა და ავტორები მხოლოდ ძველი ანბანის აღდგენას მოითხოვდნენ, სამაგიეროდ 1967 წლის «რვის წერილში» («Письмо Восьмерых») ხელმომწერები ხმამაღლა საუბრობენ ბრალდებებზე. ისინი აცხადებენ, რომ „ბერიამ და მისმა ნაციონალისტ-შოვინისტთა ჯგუფმა ლენინის ნაციონალურ პოლიტიკას უდალატა. ეს კი გამოიხატა აფხაზური ანბანის გადაკეთებაში, აფხაზური სკოლების დახურვაში, ქართულ სკოლებში აფხაზი ბავშვების ძალაცატანებით გამწესებაში, საქმეთწარმოების ქართულ ენაზე გადაყვანასა და აფხაზური ენის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განდევნაში“ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 160-161).

ამ წერილში პირდაპირი ბრალდება ქართველებისადმი არაა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბერიას ნაციონალისტობასა და შოვინიზმში ადანაშაულებენ, რაც ქართული ენის გავლენის გაფართოების ხელშეწყობას უნდა გულისხმობდეს, მაშინ ცხადია, სრულიად თავისუფლად შეიძლება ამ ბრალდების პროეცირება როგორც მაშინდელ ოფიციალურ თბილისზე, ისე ზოგადად აფხაზებისადმი ქართული პოლიტიკის მიდგომებზე.

მოგვიანებით, 1977 წლის მიმართვაში ავტორები აფხაზური ანბანის შეცვლასა და აფხაზური სკოლების დახურვას ბერიას ჯგუფის „ბარბაროსულ დივერსიად“ და

აფხაზი ხალხის წმინდათაწმინდას - ენისა და კულტურის გათელვად მოიხსენიებენ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 165). 1989 წლის მიმართვაში, აფხაზური ანბანის გაქართულება აფხაზების გაქართველების მცდელობადაა შერაცხული (იქვე. გვ.: 456). სტალინის დროს აფხაზური ანბანის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ხსენება არც ჯუმა ახუბას გამორჩენია მუჰაჯირი ნათესავისადმი გაგზავნილ წერილში (Aхуба, Дж. (2013). გვ.:137).

1954 წელს აფხაზური ანბანი კირილიცაზე გადაიყვანეს, თუმცა როგორც ვხედავთ, ეს თემა კიდევ ათწლეულების მანძილზე დარჩა აფხაზურ ეროვნულ თვითშეგნებაში ტრავმად და ამავდროულად ეროვნული გრძნობების კრისტალიზაციის, ანტიქართული განწყობის ზრდის ხელშემწყობ ფაქტორადაც იქცა.

IV. აფხაზური სკოლების დახურვა. ბრძოლა აფხაზურ ენასთან.

1989 წლის 18 მარტის „საერთო აფხაზურ პლებისციტში“ წერია, რომ რეპრესიების მსხვრერპლი ხალხთან ერთად „აფხაზების ისტორია, კულტურა, გეოგრაფიული სახელწოდებები, აფხაზეთის სახელმწიფო სტატუსი, ასევე ანბანი და ენა გახდა“ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 456).

როგორც წინა ქვეთავში აღვნიშნე, აფხაზურ ენასთან ბრძოლის მაგალითად აფხაზები ეროვნული სკოლების დახურვას ასახელებენ. ამ საკითხზე აფხაზურ ნარატივში ყურადღება ძირითადად ორი მიმართულებითაა გამახვილებული: ისინი ქართველებს ერთი მხრივ ადანაშაულებენ აფხაზურ სკოლებში დაწყებითი კლასების შემდგომ (მეხუთე კლასიდან) რუსულის ნაცვლად ქართული ენის შემოღებაში, ხოლო მეორე მხრივ აფხაზური სკოლების დახურვასა და აფხაზ მოსწავლეთა ქართულ სკოლებში ძალდატანებით გადაყვანაში.

ამაზე ჩივიან როგორც პირველი „აფხაზური წერილის“ ავტორები 1947 წელს («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 80-81), ისე სტალინის სახელზე 1952 წელს დაწერილი მიმართვის ავტორები დები შაყრილები, რომელთა მტკიცებითაც „სამამულო ომის შემდეგ აფხაზურ სკოლებში განხორციელებული გარდაქმნა, კერძოდ სწავლების ქართულ ენაზე გადასვლა, მცდარი ნაბიჯი იყო. აფხაზურ სკოლაში პირველი კლასიდან დაწყებული მოსწავლეთათვის ყველა საგნის მათთვის უცხო - ქართულ ენაზე სწავლებამ, სასწავლო პროცესის ჩაშლამდე და აფხაზი კადრების მომზადების ჩავარდნამდე მიიყვანა საქმე (იქვე. გვ.: 90-92). ამის მიზეზად ავტორები იმას ასახელებენ, რომ ბავშვები სკოლაში მიდიოდნენ ქართული ენის ელემენტარული ცოდნის გარეშე, რის გამოც მასწავლებელს, რომელიც საგანს ქართულად ხსნიდა, შემდეგ დამტვრეული რუსულით უხდებოდა ბავშვებისთვის იგივეს განმეორება. ზოგჯერ მოსწავლეებმა მასწავლებლებზე უკეთაც კი იცოდნენ რუსული (იქვე). ამგვარად, ეკატერინე და თამარა შაყრილების აზრით, აზრი ეკარგებოდა სკოლების ამგვარ რეორგანიზაციას. მათ, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველებზე არ გაუკეთებიათ უარყოფითი აქცენტები, თუმცა ეს მიდგომა იცვლება მოგვიანო პერიოდში, როცა სტალინი და ბერია აღარ არიან ქვეყნის სათავეში.

მაგალითად, 1977 წლის «ასოცდაათის წერილში» («Письмо Статридцати») მოყვანილია დიმიტრი გულიას ციტატა, რომლითაც ის ეხმიანება აფხაზური სკოლების დახურვას სტალინის ეპოქაში: „1946 წელს აფხაზური სკოლები დაიხურა. ათასობით პედაგოგი უმუშევარი დარჩა. მათ საჩქაროდ მოუწიათ კვალიფიკაციის შეცვლა, რათა შიმშილით არ დახოცილიყვნენ. ამ ქმედებისათვის ბერიას ხელქვეითები 1944-1945 წლებიდან ემზადებოდნენ. ამას „აფხაზური სკოლების რეორგანიზაცია“ ერქვა და ეს შავი საქმე, რა თქმა უნდა, (ვითომდა - ა.ჯ.) „აფხაზური კულტურის სასარგებლოდ“ კეთდებოდა («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 165).

1988 წლის მიმართვაში, რომელსაც ინტელიგენციის სამოცი წარმომადგენელი აწერს ხელს, საუბარია იმაზე, თუ როგორ ცდილობდნენ „ქართველი შოვინისტები“ ჩაენაცვლებინათ აფხაზურ-რუსული ბილინგვიზმი ქართულით, რათა აფხაზეთში რუსულის ენის გამოდევნით რუსული გავლენა შეესუსტებინათ და გაემარტივებინათ აფხაზთა ენობრივი ასიმილაცია. ავტორების მტკიცებით, ქართული ენის გაბატონებულ მდგომარეობაში ჩაყენებით, თანდათან ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ აფხაზურის როლი უნდა შემცირებულიყო. ხელისმომწერნი აცხადებენ, რომ ამისათვის თავიდან, აფხაზეთის ხელისუფლებამ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წნების ქვეშ, ქართული ენა იურიდიულად გაუთანაბრა აფხაზურსა და რუსულს, შემდეგ კი მას ადგილობრივი ენის სტატუსი მიანიჭა. ამის პარალელურად კი 1937 წლის კონსტიტუციაში რუსული ენა აფხაზეთის ასარ-ის სახელმწიფო დაწესებულებების ენად აღარ მოიხსენიებოდა. («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 414-415).

მიმართვის ავტორები ზემოთ გამოთქმული ბრალდებებისთვის შემდეგნაირ ახსნას პოულობენ: „იბერიულ-კავკასიური ენების გენეტიკური ნათესაობის თეორიის ზოგიერთი ასპექტის მიზანმიმართული დამახინჯების შედეგად, აფხაზური გამოაცხადეს ქართულის მონათესავე ენად. მოგვიანებით, აფხაზური ენის ეს ახალი სტატუსი, რომელიც აღარ აწყობდა უფრო რადიკალურად განწყობილ ქართველ ნაციონალისტებს, გადაიზარდა ახალ თეორიაში, რომლის მიხედვითაც აფხაზური ენა უკვე ლიტერატურული ქართულის „დიალექტად“ განიხილებოდა. ხოლო თუ ამ „ლოგიკის“ მიხედვით, აფხაზური არა დამოუკიდებელი ენაა, არამედ ლიტერატურული ქართულის „დიალექტია“, მაშინ აფხაზებმა განათლება ქართულად უნდა მიიღონ. ამან გახადა შესაძლებელი ახალი, ამჯერად ღიად რეპრესიული ხასიათის აქციის გატარება - 1945 წელს აფხაზური სკოლების გაუქმება და სწავლების ენის „ლიტერატურულ ქართულზე“ გადაყვანა. კიდევ ერთი მნიშნელოვანი შტრიხი, რომელიც გასცემდა ქართველი შოვინისტების რეალურ

მიზნებს აფხაზთა ენობრივი ასიმილაციის კუთხით იყო ის, რომ აფხაზი ეროვნების ბავშვებს ეკრძალებოდათ აქა-იქ შემორჩენილ რუსულ სკოლებში სწავლა და მათ ერთადერთი გზა რჩებოდათ - ქართული სკოლა, სადაც სწავლება მხოლოდ და მხოლოდ „ლიტერატურულ ქართულ ენაზე“ მიმდინარეობდა. ყველა სახელმწიფო დაწესებულების საქმისწარმოებაში ქართულმა ენამ ლიდერის პოზიცია დაიკავა. ამ დაწესებულებებიდან აგდებდნენ ყველა ეროვნების ადამიანს, მათ შორის აფხაზებსა და რუსებს, რომლებიც არ ფლობდნენ ქართულ ენას. აფხაზური ენა მხოლოდ ოჯახში სალაპარაკო ენად იქცა ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელიც აფხაზეთად იწოდებოდა.“ (ციტატაში გამოყენებული ბრჭყალები ავტორისეულია. «Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 416-417).

1985 წლის ალამიას, სმირისა და ჩაჩხალიას წერილში, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისთვის დაიწერა, ნახსენებია, რომ აფხაზური სკოლების დახურვამდე, აფხაზებს აფხაზეთის ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებით კი გალში გადაუქართულეს გვარები (იგულისხმება ქართული გვარებისთვის დამახასიათებელი ქართული დაბოლოებები - ა. ჯ.), ხოლო პასპორტში, ეროვნების გრაფაში „ქართველი“ ჩაუწერეს. ავტორები წერენ, რომ ბერიამ აფხაზური სკოლების დახურვის სახით მანამდე ჩადენილი ქმედებებისთვის „მზაკვრული ფინალი მოამზადა, რაც დაასრულებდა აფხაზთა გენოციდს და აფხაზურ საკითხს დღის წესრიგიდან მოხსნიდა“ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 374-375).

ამავე მიმართვაში ავტორები კიდევ ერთ ნარატივს აცოცხლებენ: „აფხაზური ენა იკრძალებოდა. ბავშვებს სჯიდნენ და სცემდნენ იმის გამო რომ ისინი მშობლიურ ენაზე საუბრობდნენ. ბევრი იმ ბავშვთაგანი დღეს უკვე ინტელიგენციის საშუალო ასაკის წარმომადგენელია და მათ ჯერ კიდევ ახსოვთ ამ დამცირებებით მიყენებული ტკივილი“ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник

Документов». (1994). Том I. №.: 375). ამ ციტატას ზუსტად ეხმიანება ჯუმა ახუბას სტატია სახელწოდებით «Страшнее Спода», რომელშიც შოვინიზმზეა საუბარი. სტატია მან «Нужная Газета»-ში გამოაქვეყნა 1999 წლის ნოემბერში, 2003 წელს კი უკვე მის წიგნში დაიბეჭდა. მწერალი იგონებს თავის ბავშვობას. მისი თქმით, მშობლიურ სოფელში რვაწლედის დასრულების შემდეგ მან სოხუმში გააგრძელა სწავლა რუსთაველის სახელობის სკოლაში. ავტორი ამბობს: „ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ჩვენ, აფხაზები, ქართული შოვინიზმის სიძნელეებს განვიცდით“ და ამის შემდეგ საკუთარ გამოცდილებას უამბობს მკითხველს: „სკოლის ეზოში მხოლოდ ქართული ისმოდა, ვინც სხვა ენაზე შეეცდებოდა დალაპარაკებას, მოსწავლეებივე სცემდნენ. ერთხელ, ჩემმა კლასელმა, რომელმაც იცოდა, რომ აფხაზი ვიყავი, დასვენებაზე ყურში ჩამჩურჩულა, რომ კიდევ ერთ აფხაზ მოსწავლეს იცნობდა. მომდევნო დასვენებაზე ჩურჩულით ვკითხე: „Уара уапсыуоума?“,⁶ რაზეც შეშინებულმა გამომხედა და ორივენი კუთხეში გავედით, სადაც ჩურჩულით აფხაზურად დავიწყეთ საუბარი და როცა დაშლა დავაპირეთ, შევთანხმდით, რომ სხვების თანდასწრებით ქართულად ვიღაპარაკებდით“ (Ахұба, Дж. 2003. №.: 265). ავტორი კიდევ რამდენიმე ასეთ მაგალითს იხსენებს სტატიაში, იმის საჩვენებლად, თუ რა დამოკიდებულება აფხაზური ენისადმი მაშინ.

V. აფხაზური ტოპონიმიკის შეცვლა.

„აფხაზური წერილები“ არსებითად სხვა არაფერია, თუ არა აფხაზთა დეკლარირებული პრეტენზიები, რომლებიც მათ ქართველების მიმართ გააჩნიათ. ამ ტექსტებში თავმოყრილ აუმრავ ბრალდებათა შორის განსაკუთრებით ხშირად ახსენებენ აფხაზური ტოპონიმიკის შეცვლას. აფხაზების მხრიდან ეს მათი ეროვნული ღირსების კიდევ ერთხელ შელახვად აღიქმება.

ეს საკითხი უკვე პირველივე „აფხაზურ წერილში“ წამოიჭრა ძიძარიას, შინკუბასა და შაყრილის მიერ, რომლებიც აცხადებენ, რომ „აფხაზური გეოგრაფიული

⁶ აფხ. – „აფხაზი ხარ?“

სახელწოდებები სისტემატურად გადაჰყავთ ქართულ ფორმებზე, ზოგჯერ კი სრულიად ანაცვლებენ მათ“. მაგალითებად ასახელებენ შემდეგ ტოპონიმებს: «Хыпста» გახდა „თეთრიწყარო, «Адзапши» - ტეხური, «Михельтириш» - სალხინო და სხვა. გარდა ამისა, ავტოების თქმით, ბევრ აფხაზურ სახელწოდებას დაერთო ქართული ენისათვის დამახასიათებელი „ი“ სუფიქსი: «Лыхны» - გახდა «Лихни», «Тамыш» - «Тамиши», «Бзыбь» - «Бзиби». («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 85).

ტოპონიმიკის ცვლილებას რამდენჯერმე გამოეხმაურა აფხაზეთის ასარ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. ლაბახუა. 1954 წლის იანვარში თავის სიტყვაში ის აღნიშნავს, რომ „აფხაზური, რუსული და სომხური სახელების მქონე საცხოვრებელ პუნქტებს გასაოცარი „ოპერატიულობით“, დაჩქარებული ტემპებით, სულელურად და მავნებლურად შეუცვალეს სახელწოდება ქართული სახელებით, რაც ხშირ შემთხვევაში არ იყო ნაკარნახევი გონივრული მოსაზრებით. ფორმითა და შინაარსით ეს პროცესი შეურაცხყოფდა ჩამოთვლილ ხალხთა ეროვნულ ღირსებასა და გრძნობებს“ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 106).

წინა წერილებში ჩამოთვლილი გადაკეთებული ტოპონიმების სიას განავრცობს დიმიტრი გულია, რომელიც კლიმენტ ვოროშილოვის სახელზე დაწერილ მიმართვაში ოთხ პუნქტად აყალიბებს აფხაზეთში არსებულ პრობლემებს და მესამე პუნქტს სწორედ ტოპონიმიკასთან წარმოშობილ პრობლემებს უძღვნის («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 113).

1988 წლის «სამოცი ხელმომწერის წერილში» უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ ცარიზმის კოლონიზაციის პოლიტიკის შედეგად აფხაზეთში შეცვლილი ტოპონიმები ბევრ სახელწოდებას არ იბრუნებს და ქართული გეოგრაფიული სახელებით იცვლება, ზოგჯერ კი ცარიზმის პოლიტიკას გადარჩენილი გეოგრაფიული

სახელებიც იცვლება. წერილის ავტორების თქმით, ეს პროცესი „1936 წელს დაიწყო სტალინისა და ბერიას ინიციატივით და მათი გადაწყვეტილება არ ითვალისწინებდა საზოგადოებრივ აზრს, მირმველი მოსახლეობის ისტორიულ და კულტურულ ინტერესებს“ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 426). ავტორები ასახელებენ ცანდრიფშა და გეჩრიფშს, რომლებსაც განთიადი და ლესელიძე დაერქვა. როგორც ისინი ვარაუდობენ, „გეჩრიფშს გენერალ ლესელიძის, ადამიანის, რომელსაც ამ დასახლებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა, სახელი იმიტომ დაერქვა, რომ აფხაზეთში შემომსვლელ ყველა ადამიანს უნდა დაენახა, რომ ისინი უკვე საქართველოს ფარგლებში იმყოფებიან“ (იქვე. გვ.: 426-427).

მიმართვაში ასევე ნათქვამია ისიც, რომ „1921-1966 წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში 500 დასახლებულ პუნქტს შეუცვალეს სახელი, აქედან 318 ცვლილება ტერიტორიულად მცირე აფხაზეთში განხორციელდა“. ავტორები ასკვნიან, რომ მთელს აფხაზეთში დასახლებული პუნქტების 47%-ს დაკარგული აქვს მირმველი სახელები («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 427).

ქვეთავისთვის მცირე დასკვნის სახით ამავე წერილიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ ციტატა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ცვლილებების მნიშვნელობაზე აფხაზი ეთნოსისათვის: „აფხაზეთში დღის წესრიგში დგას გეოგრაფიული სახელწოდებების არა გადარქმევის საკითხი, არამედ მათთვის იმ ძირმველი სახელების დაბრუნების საკითხი, რომლებიც მიზანმიმართულად ფეხქვეშ გაითელა. აფხაზებისთვის ტოპონიმიკის საკითხს არა მხოლოდ კულტურული, არამედ პოლიტიკური დატვირთვაც აქვს - ტოპონიმიკის თანამედროვე მდგომარეობა ურტყამს ხალხის ეროვნულ ღირსებას, მის ისტორიასა და კულტურას. ბევრი სახელწოდება, რომელიც გადარქმევისას გაჩნდა, აფხაზებს ახსენებს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და 1937-1953 წლებში გადატანილ ტრაგედიებს“ («Абхазия в

Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. №3.: 428).

ამ ციტატაში კარგად ჩანს, როგორ დაუკავშირა აფხაზურმა ინტელიგენციამ გეოგრაფიული სახელწოდებების ცვლილება აფხაზთა ეროვნულ გრძნობებს, ღირსებას, იდენტობას, როგორი საკრალური დატვირთვა მისცა მათ, ოსტატურად დაუკავშირა რა ისინი წარსულში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს. მთელს საბჭოთა კავშირში მიმდინარე პოლიტიკა (გასაგებია, ისიც, რომ ტოპონიმიკის ცვლილება ყველა რესპუბლიკაში სხვადასხვა ტემპით მიმდინარეობდა და სხვადასხვა მასშტაბები ჰქონდა) მათ აფხაზეთის მაგალითზე ისე დააკონკრეტეს, რომ სახელების შეცვლა მხოლოდ აფხაზეთისთვის დამახასიათებელ უნიკალურ ფენომენად აქციეს, რითაც საკითხი კიდევ უფრო გაამძაფრეს და აფხაზურ ისტორიულ და ეროვნულ ნარატივში მნიშვნელოვანი ადგილი დაუმკვიდრეს მას, თანაც ისე, რომ ამ მნიშვნელობის მოვლენის შემოქმედებად ქართველები წარმოაჩინეს.

წინამდებარე თავმა გვაჩვენა ის ძირითადი ბრალდებები, რომლებიც რეფლექსის აბიექტს წარმოადგენენ აფხაზური ეროვნული ნარატივისათვის. სწორედ ამ ბრალდებათა ინსტრუმენტალიზებით ხდება შემდგომში საკუთარი მოთხოვნების (რომელთაგანაც უმნიშვნელოვანესი სეცესია იყო) უალტერნატივობის ხაზგასმა და აფხაზი ეთნოსის კონსოლიდაცია საქართველოსაგან შემადგენლობიდან გამოყოფის იდეის ირგვლივ.

4. აფხაზური ნაციონალიზმის რეფლექსია ხრუშხოვის „დათბობის“ ხანიდან ქართულ-აფხაზურ ომამდე.

სტალინის გარდაცვალებით საბჭოთა კავშირში ახალი ეპოქა იწყება. თანდათან იკლებს ყველა ადამიანში გამჯდარი შიში. დემონიზირებული ადამიანების დიდ სიას - ბურჟუებს, კულაკებს, ტროცისტებს, ნაციონალ-უკლონისტებს, ფაშისტებს, ნაციონალისტებს, „ხალხის მტრებს“, კონტრრევოლუციონისტებსა და „ლაკობას ბანდის წევრებს“ ემატება ლავრენტი ბერიას სახელი. სტალინის კულტისაგან განსხვავებით, „ბერიას კულტი იმ დღიდანვე დაიმსხვრა, როცა იგი თანამდებობიდან გადააყენეს“ (გოლცი, თ. 2014. გვ.: 55). სტალინს კი კრიტიკას თითქოს ჯერ კიდევ ვერ უბედავდნენ. ასეთი „რიდი“ დესტალინიზაციამდე გაგრძელდა.

ეს ყველაფერი კარგად ჩანს ადრეულ „აფხაზურ წერილებში“, რომლებშიც ქართული წარმოშობის ფუნქციონერებისა და ქართული ანტიაფხაზური პოლიტიკის წინააღმდეგ აფხაზური ინტელიგენციის ბრალდებების სრული უმრავლესობა ძირითადად სწორედ სტალინის მმართველობის ეპოქაზეა ფოკუსირებული. რასაკვირველია, სანამ სახელმწიფოს სტალინი და ბერია მართავდნენ, მანამდე ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მათი სურვილით ან ნებართვით განხორციელებულ პოლიტიკას რეპრესიების შიშით აქტიურად ვერ აკრიტიკებდნენ. მართალია, რამდენიმე „აფხაზური წერილი“ სტალინის სიცოცხლეშივე დაიწერა, თუმცა, როგორც წინა თავებში ვნახეთ, მათში ძალიან რბილად იყო დაწუნებული საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის ესა თუ ის ასპექტი.

სამაგიეროდ 1953 წლიდან, უფრო აქტიურად კი 1956 წლიდან ნებადართული ხდებოდა სტალინის მმართველობის კრიტიკა. ხრუშხოვის დროინდელ „დათბობის“ ეპოქაში თანდათან ჩნდება სპორადული პოზიციები, რომლებიც მისი წინამორბედის ტოტალური კონტროლის ეპოქაში, ალბათ, ძნელად წარმოსადგენი იქნებოდა. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩვენ მიერ არაერთხელ ხსენებული (უფრო

კრიტიკული, ბრალდების ობიექტის ღიად დამადანაშაულებელი) „აფხაზური წერილები“, ან ისტორიკოსთა ახალი თეორიები, რომლებიც „საფრთხეს შეუქმნიდა მოძმე ხალხების მეგობრობასა“ და სხვა.

ქვემოთ განვიხილავთ ამ და მოგვიანო ეპოქის (პერიოდს ქართულ-აფხაზურ ომამდე) ზოგიერთ ისეთ მოვლენას, რომლებმაც აფხაზურ ინტელიგენციასა და ზოგადად აფხაზებს „საბაბი გაუჩინა“ დაედანაშაულებინათ ქართველები მათ წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის კრიტიკის დროს წერილებში და საერთოდ ბრალდებებში ფოკუსი უფრო მეტად ფართოვდება და ხშირად ზოგადად ქართული მხარეც მოიაზრება აფხაზების წინაშე დამნაშავედ. ერთ-ერთ ყველაზე მტკიცნეულ საკითხს და შესაბამისად კრიტიკის ხშირ ობიექტს წარმოადგენს ზოგიერთი ქართველი მეცნიერის მხრიდან აფხაზეთში „თანამედროვე“ აფხაზების ავტოქტონობის ეჭვეჭვეშ დაყენება. ამ ბრალდებებზე წარმოქმნილ რეფლექსიას დაეთმობა შემდეგი ქვეთავი.

I. ისტორიკოსთა ომები.

ტერიტორია ენასთან, კულტურასთან, საერთო ისტორიასთან და სხვა მარკერებთან ერთად ეროვნული იდენტობის უმთავრეს ატრიბუტიკას წარმოადგენს. უფრო მეტიც, ის ენასთან ერთად, ალბათ, უმნიშვნელოვანესია ყველა დანარჩენს შორის, რადგან სწორედ წარმოსახვითი სამშობლოს სივრცეზე ხდება ყველა სხვა მახასიათებლის დაშენება. აფხაზთა ეროვნული ლეგენდა ღმერთის მიერ სხვადასხვა ხალხისთვის მიწების განაწილების შესახებ ხომ სწორედ პირდაპირ მათი ეროვნული ტერიტორიის განსაკუთრებულობას მიემართება - ყველა ეთნოსისთვის მისი ტერიტორია გამორჩეული, წმინდაა. შესაბამისად, ტერიტორიის წართმევა იდენტობის წართმევის ტოლფასია, ამით ეთნოსს ფეხქვეშ ეცლება მიწა, რომელშიც მას ეროვნული ფესვები აქვს გადგმული.

1954 წელს გამოქვეყნდა ქართველი ლიტერატურათმცოდნესა და ისტორიკოსის პროფესორ პავლე ინგოროვას ფუნდამენტური ნაშრომი «გიორგი

მერჩულები: ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან», რომელმაც ძალიან დიდი გავლენა იქონია შემდგომ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე. ინგოროვას თეორიამ ეჭვქვეშ დააყენა აფხაზეთის ტერიტორიაზე «თანამედროვე აფხაზების» ავტოქტონობა და „ძირძველი აფხაზებისაგან“ გასასხვავებლად მათ „აფსუები“ უწოდა. მან წამოაყენა ჰიპოთეზა თანამედროვე აფხაზების ჩრდილო კავკასიონიდან ჩამოსახლების თაობაზე (ინგოროვა, პ. 1954. გვ.: 129-130). ისტორიკოსის თეორია მეცნიერული ჰიპოთეზიდან ეთნიკური დატვირთვის მქონე პოლიტიზირებულ საკითხად იქცა. ეს მტკიცება ფაქტობრივად აღიქმებოდა აფხაზეთზე აფხაზების უფლების უარყოფად, უფრო მეტიც, აფხაზებისა და აფსუების ერთმანეთისაგან გამიჯნვით, შეიძლება ითქვას, მათი არსებობის უარყოფადაც.

ამან აფხაზურ საზოგადოებაში ძალიან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და კრემლში მყოფი საბჭოთა ლიდერების სახელზე ახალი მიმართვების დაწერას უბიძგა. გარდა ამისა, საფუძველი ჩაეყარა ე. წ. „ისტორიკოსთა ომებს“.⁷ აქ ერთმანეთს ებრძოდნენ დაპირისპირებული ბანაკები, რომლებიც ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბდა. შესაბამისად, არგუმენტები ხშირად „პატრიოტული“ უფრო იყო, ვიდრე მეცნიერული. მიზანი (ან იქნებ აქ უკეთესი ტერმინი იყოს „ნადავლი“) კი განუზომლად დიდი ჩანდა - აფხაზეთი - ისტორიკოსთა ომში დამარცხებული მხარე დაკარგავდა უფლებას ამ ტერიტორიაზე, ამიტომ აფხაზებიც და ქართველებიც ცდილობდნენ ამ მიწაზე საკუთარი უფლებების ლეგიტიმაციას წარსულში მათი ნარატივებისათვის სასარგებლო „ფაქტების“ პოვნით.

წინამდებარე ნაშრომისათვის განსაკუთრებით საინტერესოა აფხაზური ხედვა, ოდონდ, ცხადია, არა ისტორიული არგუმენტები, არამედ ბრალდებები, რომლებიც მათ ქართულ მხარეს წაუყენეს. საინტერესოა როგორც ბრალდებების შინაარსი, ასევე

⁷ ისტორიკოსთა ომები - აქ: საბჭოთა კავშირში დაწყებული მეცნიერული დავა ქართველ და აფხაზ ისტორიკოსებს შორის თანამედროვე აფხაზების ეთნოგენეზის შესახებ.

მათი ახსნა და შორეული თუ ახლო მიზნებიც, რომლებსაც ამ ბრალდებების წამოყენება ემსახურება.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე მეცხრამეტე საუკუნეში არსებობდა თანამედროვე აფხაზების არაავტოქტონობის თეორია, რომელიც დიმიტრი ბაქრაძემ გააუღერა თავის წიგნში «საქართველოს ისტორია» (Анчабадзе, З. В. (1959). გვ.: 221), ადრეულ „აფხაზურ წერილებში“ ამ თემას არ ეხებიან.

მაგრამ უკვე 1967 წელს ბრეჟნევის სახელზე შედგენილი ე.წ. «რვის წერილის» («Письмо Восьмерых»), პირველივე აბზაცში საუბარია იმაზე, რომ აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის წიგნი შეიცავს სტატიებს, სადაც ავტორი „უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად ამტკიცებს, რომ აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა - აფხაზები, არც მეტი არც ნაკლები ქართულ ტომს წარმოადგენებ და თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიზე ოდითგანვე ქართველები სახლობდნენ. როგორც ავტორი ვარაუდობს, საიდანღაც მოსულმა აფხაზურმა ტომებმა ამ ქართველების ასიმილაცია მოახდინეს“ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 159).

მიმართვის ავტორები დასაწყისშივე აღნიშნავენ, რომ 7-11 აპრილს სოხუმში გამართული მრავალათასიანი შეხვედრის გამართვის მიზეზი სწორედ ამ ნაშრომის გამოქვეყნება იყო. ტექსტი იქვე გრძელდება შემდეგი წინადადებით: „აფხაზების ეთნოგენეზის შესახებ მსგავსი ფალსიფიკატორული პოსტულატი ზოგიერთი სხვა ქართველი მეცნიერის (იხ.: პავლე ინგოროვას, სიმონ ყაუხჩიშვილისა და სხვათა ნაშრომები) მიერაცაა წამოყენებული ბოლო ათწლეულების განმავლობაში“ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 159).

ავტორთა თქმით, „მსგავსი გამოსვლები, რომლებიც აუკუდმართებს აფხაზი ხალხის ისტორიული თვითმყოფადობის პრობლემას, მუდმივად იწვევდა

უკანასკნელის სამართლიან რისხვასა და გულისწყრომას“ (იქვე). ამასთან, ხელისმომწერნი ვარაუდობენ, რომ მსგავსი ნაშრომების გამოჩენა არ არის უბრალო შემთხვევითობა და ამიტომ ისინი „ამ ფაზრიკაციას მენშევიკების დროს დაწყებული აფხაზთა ხელოვნური ასიმილაციის გაგრძელებად და ერთგვარ „თეორიულ დასაბუთებად“ მიიჩნევენ (იქვე. გვ.: 160).

პავლე ინგოროყვასა და მის თანამოაზრეთა ნაშრომების გაბათილებისა და მათი პოლიტიკური ქვეტექსტის ამოცნობაზეა ფოკუსირებული ზოგიერთი სხვა წერილის მნიშვნელოვანი ნაწილიც. მაგალითად 1977 წლის «130 ხელისმომწერის» წერილში ამ საკითხს დიდი ყურადღება ეთმობა. მიმართვის ავტორები წერენ, რომ სტალინიზმის დასასრულის გამო, «გიორგი მერჩულეს» გამოცემამდე აფხაზებს ეგონათ, რომ მათ იდენტობას უკვე აღარ ემუქრებოდა საფრთხე, თუმცა ამ წიგნის გამოჩენამ „ნათელი გახადა, რომ აფხაზთა პოლიტიკური ჩაგვრის იდეა, მათი ეთნოკულტურული ისტორიის გათქვეფა საკუთრივ საქართველოს ისტორიაში, ამდენად აფხაზთა თვითმყოფადობის უარყოფის იდეა, თბილისში ჯერ ისევ ცოცხალია“ (იქვე. გვ.: 166).

წერილში ნათქვამია, რომ საქართველოში „ჩამოყალიბდა მთელი პლეადა ქართველი მეცნიერებისა, რომლებიც მირითადად აფხაზეთის ისტორიის ფალსიფიცირებაზე არიან სპეციალიზირებულნი“ (იქვე. გვ.: 167). ინგოროყვას გარდა კიდევ ბევრი სხვა გვარიც სახელდება, მათ შორის მ. ლორთქიფანიძე და ი. ადამია. აფხაზური ინტელიგენციის მტკიცებით, ეს უკანასკნელი ავტორია წიგნისა, სადაც „აფხაზეთის არქიტექტურული ძეგლები ქართულად მოიხსენება, ხოლო აფხაზური ენა კი - ქართულის დიალექტად“ (იქვე. გვ.: 168).

ბრალდების დასკვნის სახით, წერილში აღნიშნულია, რომ „მსგავსი კვლევები ემსახურება აფხაზთა გაქართველების პოლიტიკის „გამართლებას“ და ის აფხაზების ნაციონალური თვითშეგნების დასუსტების მცდელობაა“ (იქვე. გვ.: 169).

ძალიან მკაცრი შეფასება მოჰყვა აფხაზური ინტელიგენციის ნაწილისაგან 1977 წელს საქართველოს სსრ-ს შესახებ გადაღებულ ფილმს. შვიდი ხელისმომწერი გადაცემა «Клуб Кинопутешествий»-ს წამყვანის იური სენკევიჩის სახელზე გაგზავნილ წერილში ურნალისტს ბრალს სდებს აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ ფაქტების დამახინჯებაში. წერილის ავტორები გამოთქვამენ პროტესტს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ-ს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების მატერიალური კულტურის ძეგლები ქართულად ცხადდება: „მითი არგონავტების შესახებ - საქართველო, კოლხეთი - საქართველო, ახალი ათონი (სწორი დასახელებაა - ფსირძხა) - საქართველო, ანაკოფია - საქართველო, ეშერის დოლმენები - საქართველო, და ბოლოს გამოდის, რომ ყველაფერი, რაც საქართველოს რესპუბლიკაშია, ქართულია, ძველი და შუასაუკუნეების 5 ათასამდე არქიტექტურული ძეგლის ჩათვლით!!!“ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 221).

წერილში საუბარია იმაზეც, რომ განსაკუთრებულად არ აღინიშნა სოხუმის ასაკი - 2500 წელი, მაშინ როცა 1500 წლის თბილისზე ბევრი ისაუბრეს. ავტორები უკმაყოფილებას გამოთვამენ შემდეგზე: „დღევანდელ მეცნიერებაში ჭარბობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ კოლხური კულტურის შემქმნელები არიან აფხაზურ-ადიღური ტომები და რატომლაც ეს ფაქტიც ყოველთვის იმაღლება“ (იქვე. გვ.: 222).

ავტორები მრავალ კითხვას უსვამენ წამყვანს. ერთ-ერთი კითხვა ასე ჟღერდა: „განა (...) ძარიძემ არ იცის, რომ აფხაზეთი არაა საქართველო და აფხაზები ეთნიკურად არაა ქართული ტომი? რატომ არ კითხეთ ძარიძეს რას ნიშნავს ქართულად ქალაქ ქუთაისის სახელწოდება, რომელიც თქვენ „ყველაზე ქართულ ქალაქად“ გამოაცხადეთ? საეჭვოა, რომ მას რაიმე ეპასუხა... ჩვენ თუ გიკარნახებთ, რომ ქუთაისი აფხაზური ქალაქია, მერვე საუკუნეში აფხაზეთის სამეფოს ყოფილი მეორე დედაქალაქი და მისი სახელწოდებაც აფხაზურია, თქვენ, რა თქმა უნდა, გაგიკვირდებათ! (...) აფხაზეთის ასსრ შედის საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში,

მაგრამ აფხაზეთი არც კახეთია და არც იმერეთი. უნდა გახსოვდეთ, რომ ქართველები და აფხაზები ერთი და იგივე არაა და ისინი განსხვავებულ ეთნიკურ ერთეულებს წარმოადგენენ, რის გამოც აფხაზეთის კულტურული ძეგლების ქართველებისადმი მიკუთვნება არ ღირდა“ (იქვე. გვ.: 222). საგულისხმოა, რომ წერილი სრულდება მინაწერით „პატივისცემით, სამეცნიერო მუშაკთა ჯგუფი ქალაქ სოხუმიდან (Сухуми - А.Ж.)“, თარიღის ქვეშ კი მისამართის სახით წერია შემდეგი: „г. Акуя, (Апсны)“ (იქვე. გვ.: 223), რაც ვფიქრობ, წარმოუდგენელი ნაბიჯი იყო 1977 წლისთვის.

«აფხუების» ჩამოსახლების თეორია და დამოკიდებულება აფხაზებისადმი, როგორც ჩამორჩენილი ხალხისადმი («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 389), საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ახალგაზრდა აფხაზურ ნაციონალიზმს სარკისებრი პრინციპით აერეკლა ქართული ისტორიოგრაფიისაგან მომავალი საფრთხე და თავისი არგუმენტები დაეპირისპირებინა ასეთი მიდგომისათვის, რათა ამით საკუთარი ეროვნული ღირსება დაეცვა. ჩემ მიერ განხილული უკანასკნელი მიმართვის ტექსტში ნათლად იგრძნობა „აფხაზების შეუმჩნევლობით“ შეურაცხყოფილი ნაციონალური ინტელიგენცია, რომელმაც ამ წერილით თითქოს ეროვნული ღირსების დაბრუნება სცადა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ აფხაზთა ეთნოგენეზის შესახებ ზოგიერთი ქართველი ავტორის ჰიპოთეზის საპირისპიროდ აფხაზები უკვე აყალიბებენ საკუთარ ჰიპოთეზებს, რომლებიც უკვე ქართული ელემენტის ავტოქტონობას აყენებს ეჭვევეშ. კოლხური კულტურის შემქმნელებად აფხაზურ-ადიდური ტომების დასახელება სწორედ ამის მცდელობაა. ანუ აფხაზები ზოგჯერ უბრალოდ ცდილობენ მოიგერიონ ქართველ ისტორიკოსთა თეორიები, აფხაზეთის ტერიტორიაზე საკუთარი ავტოქტონობის სასარგებლოდ სხვადასხვა არგუმენტის მოყვანით, ზოგჯერ კი კონტრშეტევას ახორციელებენ და ამტკიცებენ, რომ ისინი კი არა, სულაც ქართველები არიან „საიდანლაც მოსულები“.

მიუხედავად იმისა, რომ ინგოროვას წიგნის პუბლიკაციიდან დრო გადიოდა, ეს თემა აფხაზურ წერილებში აქტუალობას მაინც არ კარგავდა. 1978 წელს ლეონიდ ბრუჯევის სახელზე დაწერილ წერილში, ხელისმომწერნი ანტიმეცნიერულს უწოდებენ თეორიას, რომელიც აფხაზეთში ქართველთა ავტოქტონობას ამტკიცებს. მათი თქმით, „ერთი შეხედვით, ეს არის უწყინარი და წმინდა მეცნიერული ხასიათის თეორია, თუმცა სინამდვილეში ის აფხაზეთში ქართველთა მასობრივი ჩასახლების ზნეობრივ გამართლებას ემსახურება“ (იქვე. გვ.: 260).

1983 წლის წერილში თორმეტი ხელისმომწერი ეხმიანება „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიის“ გამოცემას, სადაც არ არის „აფხაზეთის ასსრ-ს მკვიდრი მოსახლეობის - აფხაზური ეთნოსის, ასევე აფხაზური ენის აღწერა. კიდევ ერთი უკმაყოფილების მიზეზია შემდეგი მონაკვეთი: „შუასაუკუნეებში ჩამოყალიბებული ისტორიული პირობები და მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების ინტენსიური მიგრაციული პროცესები განაპირობებდა მოსახლეობის მრავალეროვნულ შემადგენლობას“ (იქვე. გვ.: 364). ავტორთა თქმით, ამის შემდეგ ორ აბზაცში ჩამოთვლილია არაქართველი ხალხები და ერები, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოში, მათ შორის აფხაზები. ხელისმომწერნი ასკვნიან, რომ ამგვარი გადმოცემა პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ აფხაზები, სხვა არაქართველი ხალხების მსგავსად, შუასაუკუნეებამდე არ ცხოვრობდნენ საკუთარ ტერიტორიაზე. ასეთი ფორმულირება კი მათთვის მიუღებელია (იქვე).

მიმართვაში არ ეთანხმებიან სხვა დეტალებსაც, კერძოდ არ მიაჩნიათ მართებულად ტერმინ „აფხაზთა სამეფოს“ ჩანაცვლება ტერმინით „დასავლეთ-ქართული სამეფო“, ზოგიერთი არაქართული არქიტექტურული ძეგლისა და გეოგრაფიული ადგილის, მაგალითად პიტიუნტის, სებასტოპოლისის, ფაზისის, ციხისძირის, პეტრას, აფსაროს-გონიოს, აფხაზეთისა და ალანიის ტაძრების მიკუთვნება ქართველებისადმი (იქვე. გვ.: 366-367).

„აფხაზურ წერილთა“ შორის მოცულობით ყველაზე ვრცელი 1988 წლის მიმართვაა, უფრო სწორად მიმართვის დანართია. ორმოცდაათ გვერდიანი ტექსტი თავად წარმოადგენს იმის დასტურს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო აფხაზთათვის საკუთარი ავტოქტონობის დამტკიცება. რა თქმა უნდა, აქაცაა განხილული ქართული ისტორიოგრაფიის „წიაღსვლები“ და ის იმ აშკარა ბრძოლის გაგრძელებად მიიჩნევა, რომელიც „მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს აფხაზი ერის წინააღმდეგ, ბრძოლა რომელიც მიზნად ისახავს „იურიდიული საფუძველი“ შეუმზადოს საქართველოსა და ქართველი ხალხის უფლებას დაეპატრონოს ქვეყანას, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია. ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ქართული ისტორიოგრაფია არის არა მეცნიერება ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, არამედ საგულდაგულოდ შემუშავებული გეოპოლიტიკური დოქტრინა (გამუქება ჩემია - ა.ჯ.), რომელმაც კავკასიის ამა თუ იმ ტერიტორიებზე პრეტენზიების „კანონიერი“ დასაბუთება უნდა უზრუნველყოს, იმისათვის, რომ მომავალში შესაძლებელი გახდეს „დიდი საქართველოს“ აღდგენა“ (იქვე. გვ.: 421).

«აფსუების» თემას 1989 წლის 2 ივნისს გამართულ საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების პირველ ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას ირონიულად შეეხო ვლადისლავ არძინბაც, რომელმაც მოხსენებაში 1921-31 წლებში აფხაზეთის სტატუსის დაღმავლობაზე გააკეთა აქცენტი, შემდგომ განსაკუთრებით გააკრიტიკა 1936-1953 წლები და აფხაზი ხალხის მდგომარეობის აღსაწერად ედუარდ შევარდნაძის სიტყვებიც დაიმოწმა: „პირდაპირ უნდა ითქვას, რომ წარსულში, თქვენთვის ცნობილ პერიოდში, აფხაზი ხალხის მიმართ გატარდა პოლიტიკა, რომელიც ფაქტობრივად უნდა დახასიათდეს, როგორც შოვინისტური, მოდით ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ“ (იქვე. გვ.: 463-468).

II. სხვა ბრალდებები.

ამ ქვეთავში შევეხებით აფხაზების მხრიდან ქართველებისადმი წაყენებულ ყველა დანარჩენ ბრალდებას, რომლებიც ნახსენებია „აფხაზურ წერილებში“, თუმცა

საგანგებოდ არაა განხილული და დიდი ყურადღება არ ეთმობა. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მათგანი დამოუკიდებელი ბრალდება არ არის და ზემოთ ხსენებულთათვის ერთგვარ დანამატს წარმოადგენს. ისევე, როგორც სხვა ბრალდებები, ქვემოთ ჩამოთვლილთა დიდი ნაწილიც მიემართება სტალინის მმართველობის ეპოქას და დაწერილია როგორც მის სიცოცხლეში, ასევე გარდაცვალების შემდეგ.

1947 წლის წერილში ავტორები წერენ, რომ 1915 წელს გახსნილი აფხაზური პედაგოგიური სასწავლებელი, სადაც მზადდებოდნენ მასწავლებლები დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლებისათვის, აფხაზური სკოლების „რეორგანიზაციის“ პოლიტიკის შედეგად შეერწყა ქართულ პედსასწავლებელს და სექტორის სახით განაგრძობდა არსებობას. თუმცა დროსთან ერთად მისი ლიკვიდაციაც ხდება. ხელისმომწერნი ასევე აცხადებენ, რომ 1941 წლიდან ამ სექტორში აფხაზ სტდენტებს ცალკე დისციპლინის სახით აღარ ასწავლიდნენ აფხაზურ ენასა და ლიტერატურას («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 83).

მომდევნო ბრალდება ეხება აფხაზურ ბეჭდურ პრესაში არსებულ „უთანასწორობას“ - სოხუმის ოლქში დაბეჭდილი ქართული და რუსული გაზეთები „სრული ოთხზოლიანია“, ხოლო აფხაზური კი - „არასრული ოთხზოლიანი“. წერილის ავტორები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამოც, რომ აფხაზეთში ფაქტობრივად მხოლოდ ერთი აფხაზურენოვანი გაზეთი «Апсны Капшъ» გამოიცემა. გარდა ამისა, ოჩამჩირესა და გუდაუთის რაიონებში არის გაზეთები, სადაც მასალის მხოლოდ 50% იბეჭდებოდა აფხაზურად, თუმცა, ავტორთა თქმით, ოჩამჩირეს რაიონული გაზეთი უკვე თითქმის აღარ ბეჭდავს ტექსტს აფხაზურ ენაზე («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 83).

გარდა ამისა, „1941 წელს შეწყდა რადიომაუწყებლობა აფხაზურ ენაზე და გადაცემები მხოლოდ ქართულ და რუსულ ენებზე მიჰყავთ“ (იქვე. გვ.: 83-84).

წერილში ასევე გაპროტესტებულია აფხაზურის, როგორც ერთ-ერთი სახელმწიფო ენის იგნორირება და ამის საილუსტრაციოდ სახელდება ის, რომ 1946 წლიდან სახელმწიფო დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების აბრებზე წარწერები მხოლოდ რუსულად და ქართულადაა, „აფხაზური ტექსტი აღარც ბეჭდებზე დარჩა“ (იქვე. გვ.: 84).

მომდევნო პუნქტი ეძღნება აფხაზეთის საბჭოთა მწერალთა სახლს. ხელისმომწერთა თქმით, მას არ აქვს საკუთარი შენობა და ბეჭდვითი ორგანო, გარდა ამისა, წერილის ავტორები გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს აფხაზური ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალის გამოცემა შეწყდა და ომის დასრულების შემდეგაც არ განახლებულა მისი გამოცემა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ გამოითქვა ამის სურვილი. ტექსტში მოყვანილია საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდის საკითხებში მდივნის ვინმე ტუსკაძის შეფასება ჟურნალის აღდგენასთან დაკავშირებით: „ჯერ აფხაზეთში, 2-3 გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, არ არიან ნამდვილი მწერლები და როცა ისინი იქნებიან, სწორედ მაშინ დავფიქრდებით ჟურნალის აღდგენაზეც“ (იქვე. გვ.: 84).

სია ისევ გრძელდება ბრალდებებით, რომლებიც ძირითადად აფხაზურ კულტურას ეხება: „ბოლო დროს, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის საუკეთესო მწერლებს უკვე მზად აქვთ დასაბეჭდად თავიანთი ნაწარმოებები, მწერალთა კავშირი არაფერს გამოსცემს“. ძიძარია, შინკუბა, შაყრილი აგრეთვე აცხადებენ, რომ მწერალთა კავშირს დიდი ხნის მანძილზე არც აფხაზ მწერალთა შემოქმედებითი საღამოები გაუმართავს. ასევე, ფორმალობად მიიჩნევენ აფხაზური ხალხური შემოქმედების სახლის არსებობასაც, სადაც მათი მტკიცებით არც ერთი ადამიანი არაა, ვინც აფხაზური ენა იცის. ხოლო ქართულ-აფხაზურმა გუნდმა სახელის შეცვლასთან

ერთად (ახალი სახელი - «ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი») მუშაობის მიმართულებაც შეიცვალა და აღარ ასრულებს აფხაზურ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს. შეუძლებელი გახდა რაიმეს დაბეჭდვა აფხაზური ენისა და ისტორიის შესახებაც (იქვე. გვ.: 85-86).

III. საბჭოთა ტერორი - «ხიდან ჩამოვარდნილს გველმა უკბინა».⁸

ჩამონათვალი დავასრულოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბრალდებით, რომელიც რეპრესიებს ეხება. როგორც წინა თავში აღვნიშნე, სტალინის ეპოქაში ჩატარებული წმენდები, რომლებსაც უამრავი ადამიანი შეეწირა, რეტროსპექტივაში პოლიტიკური და ისტორიული სპეკულაციებისათვის ხშირად გამოიყენება. წარსულში მომხდარი ისტორიული ფაქტებით მანიპულირება მარტივია, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ეს ფაქტები დიდ კატაკლიზმებთან და ტრაგედიებთანაა დაკავშირებული. საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ბევრ ხალხს საკუთარი თავი ამ პოლიტიკის მსხვერპლად გამოჰყავს, რაც უდავოდ ასეა - საბჭოთა ტერორი სსრკ-ში მცხოვრებ ყველა ეროვნების ადამიანს შეეხო, თუმცა, ბევრი ხალხი საკუთარ მსხვერპლს ექსკლუზიურად ასაღებს. ნაწილობრივ ასე ხდება აფხაზების შემთხვევაშიც. მაგალითად ჩემ მიერ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ანკეტაში დასმულ კითხვაზე „ეთანხმებით თუ არა შემდეგ ფრაზას: სტალინი და ბერია მიზანმიმართულად ანადგურებდნენ აფხაზ ხალხს?“ დადებითად პასუხობს (იხ. დანართი № 3), რაც იმაზე მიანიშნებს, რომ აფხაზებში გაბატონებულია აღქმა, რომლის მიხედვითაც ქართველი სტალინისა და ბერიას მმართველობის ეპოქა მათთვის, აფხაზებისთვის ცუდი პერიოდი იყო.

წიგნში «ეთნოსი და ტერორი საქართველოში» მოყვანილია აფხაზეთის ყოფილი დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრის სერგეი შამბას მოსაზრება. უკანასკნელი თვლის, რომ 1936 წელს აფხაზეთის ასსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ნესტორ ლაკობას მოწამლვის შემდეგ დაიწყო სახელმწიფო

⁸ აფხაზური ანდაზა, რომელსაც ჯუმა ახუბა თავის ტექსტში ხშირად იყენებს იმის საილუსტრაციოდ, რომ აფხაზებს მოულოდნელად ერთი ტრაგედიის შემდეგ მეორე ატყდებათ თავს და ასე უსასრულოდ.

ორგანოების ზეპროპორციული წმენდა ეთნიკური აფხაზებისაგან. მისი მტკიცებით, საქართველოში სტალინ-ბერიას რეპრესიების პერიოდში ყველაზე მეტად აფხაზეთი დაზარალდა (იუნგე, მ.; ბონვეჩი, ბ. Et al. (2015). გვ.: 53).

ნესტორ ლაკობას თბილისში შეტყუებისა და ბერიას მიერ მისი მოწამლვის ნარატივი ბევრ აფხაზ ავტორთან ფიქსირდება, მაგალითად როგორც ჯუმა ახუბას წერილში «Вернись Мой Брат» (Ахубა, ჯ. 2013. გვ.: 122), ისე აფხაზეთში კარგად ცნობილი სტალინური რეპრესიების მსხვერპლის ადილე აბას-ოღლის მემუარებში სახელწოდებით «Не могу забыть». ავტორს მძღოლის გადმოცემებით დეტალურად აქვს აღწერილი ბერიას მიერ ლაკობას მოწამლვის ეპიზოდი: „(...) ნესტორის დათანხმებას ნინა (იგულისხმება ბერიას ცოლი - ა.ჯ.) დიდი ხანი ცდილობდა, თუმცა საბოლოოდ ნესტორს დათმობა მაინც მოუწია და ყველანი ერთად ბერიასთან წავიდნენ სახლში. იქ სუფრა უკვე გაშლილი იყო, თუმცა ნესტორმა უარი თქვა საჭმელზე. ნინა დაჟინებით თხოვდა რაიმე მიერთვა, შემდეგ კი შემწვარი კალმახი მოუტანა. ლაკობამ თევზის ნაჭერი მიირთა და ცოტათი კონიაკი დააყოლა, მეტს არაფერს მიჰკარებია. 10-15 წუთის შემდეგ თქვა, რომ შეუძლოდ გახდა და თავბრუ ეხვეოდა, ამიტომ წასწვლას დაუჩქარა. მანქანაში კი მძღოლს აფხაზურად უთხრა „Сыршит“.⁹ ამის მერე სასტუმროში დაბრუნებულს, ბერიამ დაურეკა და ოპერაში დაპატიჟა, სადაც პირველი აქტის შემდეგ ლოჟასთან რამდენიმე ადამიანის გარემოცვაში ისევ დალიეს კონიაკი. ნესტორ აპოლონის ძეს ჭიქა დაუვარდა და უგონოდ დაეცა. ლაკობა საავადმყოფოში გადაიყვანეს, ბერიამ მას თავისი ექიმი მიუჩინა, მძღოლი კი არ მიუშვა. იმ ღამით ლაკობა გარდაიცვალა“ (აბბას-ოგლი, A. 2005. გვ.: 112-113).

ნესტორ ლაკობას მკვლელობასთან აკავშირებენ ხშირად აფხაზთა წინააღმდეგ რეპრესიების ტალღის დაწყებას, რომელიც ჯერ მის ოჯახსა და ვიწრო წრეს შეეხო, შემდეგ კი უფრო ფართე მასებზე გავრცელდა. ადილე აბას-ოღლი წერს, რომ 300

⁹ აფხ. – „მომკლეს“.

ათასიან აფხაზეთში 1937 წლის ივნისიდან 1938 წლის ოქტომბრამდე საქმეებზე „კონტრრევოლუციურ, დივერსიულ-მავნებლურ ტერორისტულ-მეამბოხურ ჯაშუშური ორგანიზაცია აფხაზეთში“ და „ანტისაბჭოთა ნაციონალისტური ორგანიზაცია აფხაზეთში“ თანამონაწილეობის ბრალდებით დააკავეს 1186 ადამიანი, ხოლო მათგან 794 დახვრიტეს (Aббас-Оглы, A. 2005. გვ.: 127). ბოლოს კი ავტორი შემდეგ დასკვნას აკეთებს: „რესპუბლიკაში 1930-იანი წლების ბოლოს ყველა რეპრესირებულთა შორის ძირითადად აფხაზები იყვნენ, მაშინ როცა ისინი მრავალეროვანი აფხაზეთის მხოლოდ 25%-ს შეადგენდნენ“ (იქვე. გვ.: 128).

მსგავსი ციფრები და იგივე ნარატივი მეორდება ჯუმა ახუბას წერილშიც. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში შეიყვანეს, მას მაინც აფხაზები მართავდნენ, რასაც „ვერ შეეგუებოდნენ მოსკოვში მსხდომი ქართველები და საქართველოს ხელმძღვანელობა. 1936 წლის 27 დეკემბერს ნესტორ ლაკობა თბილისში ჩაიტყუეს და მოწამლეს (Aхуба, Дж. 2013. გვ.: 122). ავტორის მტკიცებით, სტალინი მილიონობით ადამიანს ანადგურებდა, მაგრამ აფხაზებზე ამან კიდევ უფრო დიდი დაღი დაასვა მათი მცირერიცხოვნების გამო. პოლიტიკურ ასპარეზზე ბერიას გამოჩენაზე ჯ. ახუბა ამბობს: „თითქოს არ იყო საკმარისი ერთი ქართველი თვითმპყრობლის სტალინის ძალაუფლება, რომ საბჭოთა კავშირის პოლიცაების უფროსი გახდა ადამიანი, რომელიც პირადად იყო გაბოროტებული აფხაზებზე“ (იქვე. გვ.: 123).

„სტალინი აგრძელებდა აფხაზი ხალხის საუკეთესო წარმომადგენელთა განადგურებას, ამას კი დაემატა ომი, რომელმაც ბევრი აფხაზის სიცოცხლე შეიწირა“ - წერს ჯ. ახუბა. ხოლო, მაშინ როცა გერმანიასთან ომი მიმდინარეობდა, „ქართველები თავისი საქმით იყვნენ გართულნი - სახელმწიფო ხარჯზე აფხაზეთში მათთვის სახლებს აშენებდნენ. (...) მათთვის სახლების აშენებას კი აფხაზებს აძალებდნენ“ (იქვე. გვ.: 124).

ქართული კოლონიზაციისა და მასობრივი რეპრესიების ნარატივი მეორდება ბევრ აფხაზ ავტორთან. მაგალითად თეიმურაზ აჩუგბა ისტორიულ ცნობარში სახელწოდებით «История Абхазии в Датах» 1937-1938 წლებში აფხაზეთში განხორციელებულ რეპრესიებზე წერს, რომ ეს იყო „აფხაზეთის თითქმის მთელი პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და აფხაზი ხალხის ინტელექტუალური ელიტის ლიკვიდაცია“ (Ачугба, Т. А. 2011. გვ.:121-122).

IV. იდეოლოგიური შემზადება სეცესიისკენ.

წინამორბედ და წინამდებარე თავებში ჩამოთვლილ ბრალდებებში - ქართველთა მასობრივ ჩასახლებაში, აფხაზურ ენასთან და სახელმწიფოებრიობასთან, ასევე მათ ისტორიასთან და იდენტობასთან ბრძოლაში, მასობრივ რეპრესიებსა და კოლექტიურ დამცირებაში აფხაზები ქართულ მხარეს წარსულშიც ადანაშაულებდნენ და დღესაც ადანაშაულებენ - როგორც თანამედროვე აფხაზ პოლიტიკოსთა გამოსვლებში (ეს ზემოთ სერგეი შამბას მაგალითზეც ვნახეთ), ისე სხვადასხვა პუბლიკაციაში.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე მსგავს პუბლიკაციებს და განსაკუთრებით კი ჩვენ მიერ გაანალიზებულ „აფხაზურ წერილებს“ ძალიან დიდი მნიშნელობა ჰქონდა აფხაზური საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის. ამ მიმართვებში ჩამოყალიბებული ბრალდებები არგუმენტების ერთგვარ კრებულს წააგავს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს აფხაზები იმ აზრამდე, რომ ერთი-ერთზე ქართველებთან ერთ ტერიტორიულ სუბიექტში თანაცხოვრება საფრთხის შემცველია აფხაზი ეთნოსის გადარჩენისათვის, რის საილუსტრაციოდაც ისინი „მწარე ისტორიულ გამოცდილებას“ იშველიებენ.

თუ არ ჩავთვლით წერილებს, რომლებიც სტალინის სიცოცხლეში დაიწერა, თითქმის ყველა მიმართვის ბოლოს, ერთგვარი დასკვნების სახით, ავტორები შექმნილი „მძიმე ვითარების“ გათვალისწინებით ადრესანტებისაგან ჯერ ითხოვენ, მოგვიანებით კი უკვე მოითხოვენ, რომ აფხაზეთი გამოეყოს საქართველოს. ჯუმა

ახუბა 1947 წლის მიმართვაზე ამბობს, რომ „მიუხედავად იმისა, რომ წერილში ღიად არ ეწერა საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოსვლის თაობაზე, ნებისმიერ მცირედით მაინც მოაზროვნე ადამიანს ამ მიმართვის წაკითხვისას (იგულისხმება პროაფხაზური არგუმენტების გაცნობის შემდეგ - ა.ჯ.) აღმოხდება: „აფხაზეთი არ უნდა იმყოფებოდეს საქართველოს შემადგენლობაში!“ (Aхуба, Дж. 2003. გვ.: 254).

ამ მოთხოვნის ოფიციალურად დაფიქსირების ერთ-ერთი ყველაზე ადრეული დადასტურება არის დიმიტრი გულიას 1954 წლის წერილი, სადაც სახალხო მწერალი ამბობს: „(...) კარდინალურად უნდა გადაიჭრას ეს საქმე... (იგულისხმება აფხაზთა პრობლემური მდგომარეობა აფხაზეთში - ა.ჯ.) ბევრი გამოსავალს ხედავს აფხაზეთის რსფსრ-ს შემადგენლობაში შეყვანაში. მათ ახარებთ ეროვნული კულტურის აღმავლობის გარემო, რომელიც მეფობს იქ, სადაც ცხოვრობენ აფხაზებთან ენობრივად ყველაზე ახლოდ მონათესავე ტომები ადიღეველები (адыгейци), ჩერქეზები, აბაზინები, ყაბარდოელები“ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 111).

1967 წლის მიმართვაში „აფხაზური საკითხის საბოლოო გადაწყვეტას“ ითხოვენ. საუბარი უკვე იმაზეა, რომ „აფხაზეთი ვეღარ დარჩება საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში ავტონომიის საწყისებზე (იქვე. გვ.: 162). 1977 წლის წერილში, რომელსაც 130 ადამიანი აწერს ხელს, ავტორები კვლავ უბრუნდებიან დიმიტრი გულიას 1954 წლის კონკრეტულ შეთავაზებას რსფსრ-ს შემადგენლობაში შესვლაზე, აგრეთვე იხსენებენ ე. ეშბასა და ნ. ლაკობას მიერ ლენინისა და სტალინის სახელზე გაგზავნილ დოკუმენტს, სადაც წერია, რომ „საბჭოთა აფხაზეთი უშუალოდ უნდა შედიოდეს საერთორუსულ ფედერაციაში“ და იმედს გამოთქვამენ, რომ საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციაში გათვალისწინებული იქნება ბერკეტი, რომელიც ავტონომიურ რესპუბლიკას ერთი საკავშირო რესპუბლიკის შემადგენლობიდან

მეორე საკავშირო რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლის შესაძლებლობას მისცემს (იქვე. გვ.: 177).

საერთოდ, აფხაზურ ნარატივში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს აფხაზეთის ისტორიის ის ეპიზოდი, როცა აფხაზეთი საქართველოსგან დამოუკიდებლად შედიოდა სსრკ-ში. ეს მათ გაქართველების პოლიტიკისაგან დაცულობის განცდას უჩენს. ამიტომ წერია 1978 წლის მიმართვაში, რომ „აფხაზეთში დროგამომვებით ჩატარებული სახალხო კრებების ნამდვილი მიზეზი, ჩვენი აზრით, უნდა დავინახოთ აფხაზეთში აფხაზების გაქართველების პოლიტიკაში“. შექმნილი რთული ვითარებიდან, ანუ როგორც ხელისმომწერნი ამბობენ „აფხაზი ხალხის წინაშე დიდი ხნის მანძილზე არსებული კარდინალური სოციო-პოლიტიკური პრობლემების კონსტრუქტიური გადაჭრის ერთადერთი შესაძლო გზა არის აფხაზეთის ასსრ-ს შეყვანა რუსეთის სფსრ-ს შემადგენლობაში“ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 271).

კომუნისტური პარტიის ოცდამეშვიდე ყრილობის სახელზე შედგენილი 1985 წლის მიმართვაში კი უკვე ახალი, 1967 წლის მიმართვისაგან განსხვავებით მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოთხოვნა გაუღერდა. კერძოდ აფხაზები უკვე ითხოვენ რომ აფხაზეთი აღდგეს 1931 წლამდე არსებული აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახით და შესაბამისად გაუქმდეს აფხაზეთის ასსრ-ს კონსტიტუცია (იქვე. გვ.: 381-382). იგივე მოთხოვნაა წამოყენებული სამოცი ხელმომწერის მქონე 1988 წლის წერილსა (იქვე. გვ.: 434-435) და „საყოველთაო აფხაზური პლებისციტის“ სახელით ცნობილ 1989 წლის 18 მარტის ლიხნის გრანდიოზულ მიმართვაში, რომელსაც 30 ათასზე მეტი ადამიანი აწერს ხელს (იქვე. გვ.: 460-461).

ლიხნის მიმართვას ახსენებს თავის გამოსვლაში ვლადისლავ არძინბა 1989 წლის 2 ივნისს ზემოთ ხსენებულ ყრილობაზე. ის პირდაპირ არ გამოთქვამს სურვილს საქართველოს სსრ-დან აფხაზეთის გამოყოფის შესახებ, ნაცვლად ამისა, მომხსენებელი „საყოველთაო აფხაზური პლებისციტის“ შედეგებს აცნობს

დამსწრებს: „(მას შემდეგ, რაც მოხსენებაში ისაუბრა აფხაზების მიერ გადატანილ ისტორიულ სირთულეებზე - ა.ჯ.) ყოველივე ზემოთ თქმული გახდა მიზეზი იმისა, რომ 1989 წლის 18 მარტს სოფელ ლიხნის ისტორიულ მოედანზე, სადაც ძველი დროიდან მოყოლებული აფხაზი ხალხის ბედისთვის მნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა, გაიმართა სანქციონირებული მიტინგი, რომელზეც მიღებულ იქნა მიმართვა. მას 32 ათასმა ადამიანმა მოაწერა ხელი. (...) მასში დაფიქსირდა თხოვნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსის აღდგენის თაობაზე, რომელიც აფხაზეთს ჰქონდა ვ.ი. ლენინის სიცოცხლეში. მტკიცებების მიუხედავად, ეს ნიშნავს არა გამოსვლას, არამედ აფხაზეთის სახელშეკრულებო სტატუსის აღდგენას. აფხაზეთის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ს შორის 1921 წელს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ასეთი სტატუსი აფხაზეთს აძლევდა შესაძლებლობას დამოუკიდებლად გადაეწყვიტა საკუთარი ბედი, იმ შემთხვევაში თუ დღის წესრიგში დადგებოდა სსრკ-დან ერთ-ერთი რესპუბლიკის გასვლის საკითხი, რადგან აფხაზი ხალხი მიიჩნევს, რომ საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთადერთი გზა სსრკ-ს შემადგენლობაში დარჩენა“ («Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. გვ.: 463-466).

საინტერესოა აფხაზური რეფლექსია 1980-იანი წლების ბოლოს ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებაზე და უმცირესობების წინააღმდეგ გამოთქმულ მოსაზრებებზეც. ამ მხრივ, შეგვიძლია მოვიყვანოთ ტექსტი ზვიად გამსახურიას ადრეული გამოსვლიდან. ის ერთ-ერთ მიტინგზე, მრავალათასიანი აუდიტორიის წინაშე აცხადებს: „აფხაზი ერი ისტორიულად არასოდეს არ არსებობდა. აფხაზეთი იყო სახელწოდება დასავლეთ საქართველოსი და აფხაზები იყვნენ დასავლეთ ქართველები, ასე, რომ აფხაზი ერი იყო ქართველი ერი იგივე დასავლეთ ქართველი ერი. ხოლო ის ძველი ქრისტიანი აფხაზები, ქართველი აფხაზები დღეს აღარ არსებობენ, მაგრამ სახელწოდება „აფხაზი“ დღეს არასწორად იხსენიება ამ „აფსუა“ ტომთან დაკავშირებით. „აფსუა“ ანუ „აფსარნი“ ეს არის ჩრდილოეთ-კავკასიური ადიღეური მოდგმის ტომი და ჩვენ არც ერთი ტომის, თუ

ჯგუფის თვითგამორკვევის წინააღმდეგნი არა ვართ, თუ ის ერად ქცევას ლამობს, მით უმეტეს, თუ მას აქვს ერის გარკვეული ნიშნები დღეს, ოღონდ მის ისტორიულ ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში. თუ ეს ტომი ან ტომები ამას შეიგნებენ, ჩვენ მათ ამოვუდგებით მხარში, ოღონდ იმ პირობით, რომ მათ უნდა აღადგინონ ისტორიული სამართლიანობა და დაგვითმონ ჩვენი მიწა-წყალი და დამკვიდრდნენ იქ, საიდანაც მობრძანდნენ!“ (Geminus Janus. 2017). სავარაუდოდ, ამ (ან ერთ-ერთ ასეთ) გამოსვლაზე რეაქციას წარმოადგენს შემდეგი ციტატა ჯუმა ახუბას წერილიდან: „ეს გამსახურდია, თავის დროზე ღიად აცხადებდა, რომ აფხაზები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე 200 წლის წინ ჩამოსახლდნენ. არაა რთული იმის მიხედრა, რომ როცა პრეზიდენტი აცხადებს მსგავსს, ე.ი. ეს არაა ცარიელი სიტყვები. რისთვის სჭირდებოდათ ეს ყველაფერი? ომისთვის ემზადებოდნენ. ცდილობდნენ, რომ მსოფლიოს დიდ სახელწმიფოებში ჩვენზე ცუდი წარმოდგენა ჩამოყალიბებულიყო“ (Ахуба, Дж. 2013. გვ.: 139).

მიუხედავად იმისა, რომ 1991 წლის 12 მარტის „მიმართვაში აფხაზი ხალხისადმი“ გამსახურდია აფხაზებსა და ქართველებს ერთნაირად მოიხსენიებს სიტყვით „народ“, საუბრობს ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვან თანაცხოვრებაზე, აფხაზთა წვლილზე „საერთო სამეფოს“ მშენებლობაში (Гамсахурдия, З. 12.03.1991), აფხაზურ ეროვნულ ნარატივში სწორედ პირველადი, აგრესიული ტექსტები ილექტა. იმ ხანად უკვე აფხაზეთის ასსრ-ს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბა, ერთი კვირის შემდეგ, ანუ 1991 წლის 19 მარტს გაზეთ „აფხაზეთის ხმის“ №47-ში პასუხს სცემს გამსახურდიას და აფხაზეთის მთავრობის დაუკითხავად გალის რაიონში პრეფექტის დანიშნვას აპროტესტებს. აქ კიდევ ერთხელ იჩენს თავს სხვაგან უკვე არაერთხელ გაედერებული ნარატივი: „გალის რაიონის პრეფექტის დანიშვნას სხვანაირად ვერ შევაფასებთ თუ არა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ ელემენტარული სამართლებრივი ეთიკის დაუცველობას, ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი რეგიონის გამოყვანა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს

იურისდიქციიდან ეს არის პირველი ნაბიჯი ჯერ კონსტიტუციური სტრუქტურების ლიკვიდაციის, ხოლო შემდეგ აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციის გზაზე“ (არმინბა, ვ. 19.03.1991).

ზვიად გამსახურდიამ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს აქციაზე შეკრებილებს მიმართა სიტყვით, რომელშიც კიდევ ერთხელ გამოხატა აფხაზების მიმართ კეთილგანწყობა, ერადაც კი მოიხსენია სახალხოდ და როგორც აფხაზებს, ისე საქართველოში მცხოვრებ უცმირესობებს კონსტიტუციურ გარანტიებს დაპირდა: „ძვირფასო მეგობრებო, ჩვენმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მომრაობამ გამოიღო თავისი ნაყოფი, იგი დაგვირგვინდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით, ჩვენმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მომრაობამ გააერთიანა არა მხოლოდ ქართველი, არამედ საქართველოს არაქართული მოსახლეობა, ამიერიდან ისინი ჩვენი ძმები არიან, ისინი ჩვენთან ერთად არიან, ჩვენთან იბრძვიან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და საქართველოს რესპუბლიკა მიიღებს მტკიცე საკანონმდებლო საფუძვლებს, ყველა ეროვნების წარმომადგენელთა შორის ჭეშმარიტი ძმობისა და მეგობრობის შესახებ, მათი უფლებრივი გარანტიების შესახებ საქართველოში. პირველ რიგში მეგობრებო, როგორც გამოვაცხადეთ სესიაზე, საქართველო მტკიცე კონსტიტუციურ გარანტიებს მისცემს აფხაზ ხალხს, რომელთანაც ჩვენი ისტორიული ძმობა საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, აფხაზთა და ქართველთა სამეფო, ერთიანი სახელმწიფო კვლავ აღდგება, ქართველთა და აფხაზთა მეგობრობა დაეფუძნება აფხაზეთის უდიდესი შვილების გიორგი შარვაშიძის, არზაყან ემხუვარის და სხვათა მამულიშვილურ-პატრიოტულ გზას და გააერთიანებს მომე ერებს. საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელი, რომელიც იარაღით ხელში არ იბრძოლებს ჩვენ წინააღმდეგ, მიიღებს საქართველოს მოქალაქეობას“ (ბესარიონ გუგუშვილი. 06.06.2011). მიუხედავად ამისა, აფხაზურ ნარატივში გამსახურდიას ადრეული, შოვინისტური განცხადებები „რჩება“, ხოლო ის, რაც შემდგომ ითქვა, დაარღვევდა

აფხაზური სეცესიონიზმის ლოგიკურ ჯაჭვს, ამიტომ ნარატივში ისინი გამოტოვებულია.

V. აფხაზური ლეგენდის ხორცშესხმა.

წინა ორ თავში გაანალიზებულ რეფლექსიებში, რომელთა ობიექტსაც აფხაზურ ეროვნულ ნარატივში წარმოადგენენ ეროვნებით ქართველი პოლიტიკოსები, ოფიციალური თბილისი, ქართველი საზოგადო მოღვაწეების ნაწილი და ზოგადად ქართული ფაქტორი, გამოჩნდა, რომ მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში, დიდი კატაკლიზმების წინ, აფხაზები იდეოლოგიურად უკვე სრულიად მზად იყვნენ იმ აზრისათვის, რომ აღარ სურდათ ეცხოვრათ ისეთ აფხაზეთში, რომელიც თბილისისადმი დაქვემდებარებული ავტონომია იქნებოდა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქართველო დამოუკიდებელი გახდებოდა, მაშინ ავტონომიის სახით თანაარსებობა, წარსულში დაგროვებული უარყოფითი გამოცდილების გათვალისწინებით, აფხაზებს მით უმეტეს ვეღარ წარმოედგინათ.¹⁰ ქართულ-აფხაზურმა ომმა კი ქართველების, როგორც მტრის ხატის წარმოჩენა საბოლოოდ დაასრულა.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, რომლებიც წინ უძღვდა 1992 წლის 14 აგვისტოს ომს: 1989 წლის 18 მარტის შემდეგ, ანუ როცა აფხაზებმა სოფელ ლიხნიში აფხაზეთისთვის 1921 წლის სტატუსის აღდგენა მოითხოვეს, აპრილიდან თბილისში ჩატარებულ მიტინგებზე ამ მოთხოვნის გაპროტესტება დაიწყეს, რაც მალევე საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნაში გადაიზარდა (გაჩეჩილაძე, რ. (2013). გვ.: 516). 1990 წლის 25 აგვისტოს „აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ მიიღო „დეკლარაცია აფხაზეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“ (აცუგბა, T. A. 2011. გვ.: 160-161). 1992 წლის თებერვალში „სამხედრო საბჭომ“ გააუქმა 1978 წლის კონსტიტუცია და მის ნაცვლად აღადგინა 1921 წლის

¹⁰ კითხვაზე „განიცდიდნენ თუ არა აფხაზები შევიწროვებას ქართველების მხრიდან საბჭოთა კავშირში?“ ყველა რესპონდენტი დადებით პასუხს სცემს კითხვას. კითხვაზე: „განიცდიდნენ თუ არა აფხაზები შევიწროვებას საბჭოთა კავშირის დროს სხვა ერების მხრიდან?“, დაახლოებით 65% ამბობს, რომ „არა, არ განიცდიდნენ“ (იხ. დაანართი №3).

კონსტიტუცია (გაჩეჩილამე, რ. (2013). გვ.: 530), რაც იმას გულისხმობდა, რომ საქართველო უნიტარულ სახელმწიფოდ ცხადდებოდა, სადაც აღარ არსებობდა შიდა საზღვრები, შესაბამისად არც აფხაზეთის ავტონომია არსებობდა. აფხაზები კი ასეთ პირობებში საქართველოს შემადგენლობაში დარჩენას არ აპირებდნენ (Cornell, S. E. 2005. გვ.: 152-153). 1992 წლის 23 ივლისს კი აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ აღადგინა 1925 წლის კონსტიტუცია და აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაქვეყნა (Zürcher, Baev, & Koehle. 2005. გვ.: 269).

5. რეფლექსია ომისშემდგომ აფხაზეთში.

I. რეფლექსია ქართულ-აფხაზური ომზე

წინამდებარე თავი არის იმის დემონსტრირება, რომ აფხაზური სეცესიური ნაციონალიზმი ქართულ-აფხაზურმა ომმა ვერ ამოწურა. ამის მიზეზი კი ბოლომდე მიუღწეველი მიზანია - აფხაზებმა ომში გამარჯვების მიუხედავად მაინც ვერ მოიპოვეს სრული დამოუკიდებლობა. ამისთვის თბილისისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან აღიარებაა საჭირო. მაშასადამე, გამოდის, რომ მათ მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწიეს უმაღლეს მიზანს, რომლისთვისაც ძალიან დიდი მსხვერპლი გაიღეს, რაც კოლექტიური ფრუსტრაციის მიზეზია.

აქედან გამომდინარე, განსხვავებით საქართველოსაგან, რომელმაც საბჭოთა კავშირისაგან სრული დამოუკიდებლობა და მსოფლიო ქვეყნების აღიარება მოიპოვა, დე-იურე საქართველოს საზღვრების ტყვეობაში მყოფი და ამასთან საერთაშორისო ბლოკადაში (რუსეთს თუ არ ჩავთვლით) მოქცეული აფხაზი ერი ინარჩუნებს სეცესიონისტურ სწრაფვას. ამ რბოლაში ისევ არის აუცილებელი მტრის ხატის არსებობა, ისევ საჭიროა ეროვნული ნარატივის გამდიდრება ახალი ტრაგედიებით, თუმცა ამ დროს დაუშვებელია ძველი ბრალდებების დავიწყება.

კიდევ ერთხელ მოკლედ გთავაზობთ აფხაზური ეროვნული ნარატივის ლოგიკას: ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა მე-19 საუკუნეში მომხდარი მუჰაჯირობის შემდეგ მალევე დაიწყეს ფიქრი აფხაზეთის დემოგრაფიულ ექსპანსიზე, მენშევიკებმა აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინეს, სტალინისა და ბერიას ეპოქაში აფხაზები განსაკუთრებით იჩაგრებოდნენ და ქართველთა მასიური იმიგრაცია გრძელდებოდა, პოსტსტალინურ ეპოქაში აფხაზების ავტოქტონობის საკითხი დააყენეს ქართველებმა ეჭვეჭვეშ, რათა გაემართლებინათ თავიანთი პრეტენზიები აფხაზეთის გაქართველებაზე, 1980-იანი წლების ბოლოს

ნაციონალისტურმა ძალებმა იმძლავრეს საქართველოში. ზემოთ ხსენებულ ჯაჭვს ახალი რგოლი შეემატა ქართულ-აფხაზური ომის სახით.

1992-93 წლების ომი მეხსიერების ერთ-ერთ ახალ კუნძულად იქცა, რომელიც „აფხაზურ წერილებში“ ნახსენები ნარატივებისაგან განსხვავებით ახალი თაობის ადამიანებისთვის პირად განცდებსა და ტრაგედიებს უკავშირდებოდა და ამდენად უფრო ძლიერია მასთან ბმაც. თუ ათწლეულების მანძილზე აფხაზური ინტელიგენცია საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლებისადმი გაგზავნილ მიმართვებში აფხაზეთის ასსრ-ს საქართველოს შემადგენლობიდან გამოყვანას ითხოვდა წარსულში „ნეგატიური ისტორიული გამოცდილების გამო“, ქართულ-აფხაზური ომი უკვე ერთგვარ „დოკუმენტადაც“ კი იქცა აფხაზებისთვის, რომელიც მათ ძველ ლოგიკურ ჯაჭვს თითქოს ამტკიცებდა, „ქართველთა აგრესიის ცოცხალი მაგალითით“ ადასტურებდა „ქართველთა საუკუნოვან დაგეგმილ ვერაგობას აფხაზების წინააღმდეგ“, რომელსაც მიეცა თუ არა შესაძლებლობა, მაშინვე ხელმეორედ იჩინა თავი (ან როგორც ვლადისლავ არძინბამ თქვა 1992 წლის 14 აგვისტოს მიმართვაში: „როგორც იქნა, საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა უკვე ვეღარ ახერხებს დაიმალოს მისთვის დამახასიათებელი ფარისევლობის მიღმა. საშინელი ნიღაბი ჩამოხსნილია“ (Ардვინბა, В. 14.08.1992)).

აფხაზეთის ომმა უკვე ახალი საზრისი შესძინა მანამდე არსებულ სეცესიონისტურ მოძრაობას, ამასთან ახალი სიცოცხლე შთაბერა საქართველოსგან გამოყოფის პერსპექტივებს. ომი უკვე სახელდება წყალგამყოფად, რომლის შემდეგაც აფხაზებს ქართველებთან ერთად ცხოვრება წარმოუდგენლად ესახებათ. ომის მიმართ აფხაზთა დამოკიდებულბა ჩანს რესპონდენტთა პასუხებშიც. ანკეტაში დასმულ კითხვაზე: „გთხოვთ დაასახელოთ სამი ყველაზე უპატიებელი შეცდომა, რომლებიც ქართველებმა აფხაზების წინაშე ჩაიდინეს“, გამოკითხვის ყველა მონაწილემ დაასახელა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, ან მოვლენები, რომლებიც უშუალოდაა კავშირში აღნიშნულ ომთან (რამდენიმემ ტერმინი გენოციდიც კი ახსენა

(შედეგებისთვის, გთხოვთ იხილოთ დანართი № 3). კიდევ ერთი კითხვის „დაასახელეთ აფხაზი ხალხის სამი ყველაზე დიდი ტრაგედია“ პასუხად უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა ყველა რესპონდენტი ქრონოლოგიურად ასახელებს შემდეგ ტრაგედიებს: მუჭაჯირობა, სტალინიზმის ეპოქა, ქართულ-აფხაზური ომი (იხ. იქვე). გამოკითხულთა ასაკს თუ გავითვალისწინებთ (16-18 წლის - 40%, 19-22 წლის - 50% და 23-25 წლის - 10% - რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ადამიანებს პირადად ომი არ უნახავთ) ეს ცხადყოფს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ 1992-93 წლების ომი აფხაზური ანტიქართული ნარატივის განუყოფელ ნაწილად იქცა - გახდა რეფლექსის ახალი წყარო აფხაზური სეცესიური ნაციონალიზმისათვის.

მართალია, კონფლიქტის შედეგებმა მცირერიცხოვანი აფხაზებისათვის თავისთავად აქცია ეს ომი უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენად, თუმცა მას მაინც სჭირდებოდა მთელს აფხაზურ ნარატივთან შესაბამისობაში მოყვანა, რათა არ დაკარგულიყო ლოგიკა იმ ჯაჭვისა, რომელშიც თითოეულ რგოლთან სწორედ ქართველებს უნდა ჰქონოდათ კავშირი. ამ საქმეში ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტა ერთვება.

თავის წერილში ჯუმა ახუბა ადრესანტს ეუბნება, რომ საკუთარი თვალებით ნანახს მოუყვება 14 აგვისტოს დაწყებული ომის შესახებ და მიმართავს შემდეგი სიტყვებით: „ეს იყო პარასკევს. ჩვენს მტრებს, როგორც აღმოჩნდა, გადაწყვეტილი ქვერი შემდეგი: „პარასკევს გამთენისას დავესხათ თავს, იმავე დღეს ცოტა ვინმე თუ გაიგებს ამის შესახებ, შემდეგი დღე - შაბათია, მერე - კვირა. ამ ორ-სამ დღეში მთავრობას დავამხობთ, დავაპატიმრებთ პარლამენტს. ვინმე თუ შეგვეწინააღმდეგება, მოვკლავთ. ასე ჩავიგდებთ ხელში აფხაზეთს და უკვე მერე ნელ-ნელა მათ (აფხაზების - ა.ჯ.) განადგურებასაც დავიწყებთ“ (Aхуба, Дж. 2013. გვ.: 98-99). აქვე მწერალი არწმუნებს თურქეთში მცხოვრებ ნათესავს, რომ ყოველივე თქმული არ არის მისი გამოგონილი და იმოწმებს „ქართული არმიის სარდლის ყარყარაშვილის განცხადებას, რომელიც მან ტელევიზიით გააკეთა და თქვა, რომ თუ საჭირო იქნება, მას არ

დაენანება ასი ათასი ქართველის სიცოცხლე, მაგრამ გაანადგურებს ყველა აფხაზს უკანასკნელამდე”¹¹ (იქვე.: 99).

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსეი პაპასკირი 2009 წლის ინტერვიუში გაზეთ «Апсны»-სთან (რომელიც ხელმეორედ გამოქვეყნდა აფხაზეთის სახალხო პარტიის ვებ-გვერდზე) გიორგი ყარყარაშვილის ზემოთ ხსენებული განცხადების გარდა, იხსენებს მსგავსი შინაარსის კიდევ ერთ პასაჟს, რომელიც ამჯერად აფხაზეთის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს გიორგი ხაინდრავას ეკუთვნის. უკანასკნელმა Le Monde Diplomatique-თან ინტერვიუში თქვა, რომ „ქართველებს მარტივად შეუძლიათ მთლიანად გაანადგურონ აფხაზთა გენოფონდი 15 ათასამდე ახალგაზრდა მამაკაცის განადგურების გზით“ (Папаскир, А. 2009). გიორგი ხაინდრავას იმავე ტექსტს იმეორებს აფხაზეთის დამოუკიდებლობის გულშემატკივარი ბრიტანელი მკვლევარი ჯორჯ ჰიუიტი 1996 წლის პუბლიკაციაში «Abkhazia: a problem of identity and ownership» (Hewitt, B.G. 1996. გვ.: 218).

თანამედროვე აფხაზეთში დიდი ხანია დაწყებულია როგორც თავად ომის, როგორც უთანასწორობის სიმბოლოს, ისე მასში მონაწილე აფხაზების ჰეროიზაცია. ეს ძალიან კარგად ჩანს გამოკითხვის შედეგებშიც: კითხვაზე „დაასახელეთ აფხაზების ისტორიაში სამი ყველაზე დიდი გამარჯვება/მიღწევა“ აფხაზეთის დამოუკიდებლობის მიღწევა და ომში გამარჯვება თითქმის ყველა რესპონდენტის პასუხშია დაფიქსირებული (იხ. დანართი №3).

ჰეროიზაციის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არგუმენტია აფხაზთა მცირერიცხოვნება, რაც დიდ სიამაყეს იწვევს მათში: „როგორ გაიმარჯვა აფხაზებივით მცირერიცხოვანმა ხალხმა ქართველებთან, რომელთა რაოდენობაც

¹¹ იხ. გიორგი ყარყარაშვილის სატელევიზიო მიმართვის ტექსტის ორიგინალი: „მაცხოვრებლები, მშვიდობიანი მაცხოვრებლები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს ერთიანობით და სახელმწიფო იმპერიას ვიღებთ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ისინი იქნებიან ხელშეუხებელნი. თავიდანვე მინდა დავარწმუნო სეპარატისტები, რომ თუ ჩვენი რაოდენობიდან დაიღუპება 100 ათასი ქართველი, მაშინ თქვენებიდან დაიღუპება ყველა 97 ათასი“ (Circassianworld. 2008). ჩანს, რომ ჯუმა ახუბა თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს ტექსტს.

რამდენიმე მილიონია? მოკლედ შეიძლება ამაზე პასუხის გაცემა: უზენაესი დაგვეხმრა. ჩვენთვის ბომებული მიწა ჩვენვე დაგვიტოვა.“ გარდა ამისა, ავტორი გამარჯვების მიზეზთა შორის ასახელებს აფხაზების განსაკუთრებულ სურვილს დაეცვათ საკუთარი სამშობლო (Ахуба, Дж. 2013. გვ.: 98).

II. ახალი ტენდენციები აფხაზურ ეროვნულ ნარატივში.

მართალია, ომი ცოტა ხნის დამთავრებული იყო, მაგრამ აფხაზეთის სტატუსის საბოლოო გადაწყვეტამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი, რადგან საერთაშორისო სამართლის მიხედვით ომში გამარჯვება აპრიორი დამოუკიდებლობის მიღებას სავსებით არ ნიშნავდა. ფაქტობრივად აღმოჩნდა, რომ ომი, რომელიც აფხაზებმა გადაიტანეს, ვერ ამართლებდა მათ მოლოდინებს. სწორედ ასეთ დროს იყო საჭირო იმის დასაბუთება, რომ მსხვერპლს უშედეგოდ არ ჩაუვლია. ეს მისია კი, ცხადია, განათლებასა და მეცნიერებას უნდა ეტვირთა.

თბილისისაგან დამოუკიდებელი აფხაზეთის ისტორიოგრაფიიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაშრომი არის ოლეგ ბგაჟბასა და სტანისლავ ლაკობას წიგნი «История Абхазии с древнейших времен до наших дней». ეს ნაშრომი, ცხადია, ქართული ნაციონალური პერსპექტივით დანახული ისტორიისგან განსხვავებულ ისტორიულ ხედვას წარმოადგენს. წიგნი ეპოქების შესაბამისად დაყოფილია ოთხ ნაწილად. თითოეული ნაწილი თავებისგან შედგება, რომელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 67-ს. არ ჩავულრმავდები ისტორიულ დეტალებს, რადგან ეს ნაშრომის ფორმატსაც და მიზნებსაც სცდება, მხოლოდ რამდენიმე ასპექტზე გავამახვილებ ყურადღებას.

კერძოდ: პირველი სამი ნაწილის სარჩევში (თავების სათაურებში) ქართველები და საქართველო ფაქტობრივად საერთოდ არ არის ნახსენები, მაშინ, როცა ზოგიერთი თავის სათაურში ფიგურირებს შემდეგი ეთნონიმები: ბერძნები, გოთები, ხაზარები,

ალანები, სომხები, გენუელები და იტალიელები, თურქები. ერთ-ერთი თავის სათაური ასე გამოიყურება: «Армяне и абхазы в I тысячелетии нашей эры». თითქოს ამაში არაფერი უცნაური არ უნდა მოგვეჩვენოს, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ წიგნის არც ერთი თავის სათაურში, ვიდრე საბჭოთა კავშირის დამყარებამდე, არ არის ნახსენები ეთნონიმი ქართველი, მაშინ, როცა აფხაზებსა და ქართველებს შორის შუა საუკუნეებში მჭიდრო კულტურულ-პოლიტიკურ-რელიგიური კავშირები არსებობდა და ამასთან გეოგრაფიულადაც სომხებისგან აფხაზებს ქართველებით დასახლებული მიწები გამოჰყოფდა, საფიქრებელია, რომ აფხაზურ ნარატივში შედარებით ახალი ტენდენციები იბადება: კერძოდ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აფხაზეთის ისტორიიდან ქართველების „ამოღებით“, დღის წესრიგიდან საერთოდაც იხსნება აფხაზთა ავტოქტონობაზე დავის აუცილებლობაც. ეს არის ფაქტობრივად აფხაზეთზე აფხაზების განუყოფელი და ექსკლუზიური უფლების დეკლარირება, რაც ჩვენ მიერ არა ერთხელ ხსენებული აფხაზური სეცესიური ლოგიკური ჯაჭვის კიდევ ერთი ახალი რგოლი უნდა იყოს - „აფხაზები ერთადერთი ერია, რომელსაც აფხაზეთის ფლობის უფლება აქვს, შესაბამისად საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაზე არავითარი საუბარი არც კი შეიძლება იყოს“.

ისევ თავების სათაურებს რომ დავუბრუნდეთ, ერთ-ერთი ასეა დასათაურებული: «Генерал Мазниев и оккупация Абхазии», მაშინ, როცა სხვა დამპურობელთან ურთიერთობა საკმაოდ ნეიტრალურადაა გადმოცემული, «ოკუპაციისა» და მსგავსი ეპითეტების გარეშე, მაგალითად: «Абхазское княжество и Турция». (Бгажба et al; 2007: Содержание)

კიდევ ერთი სტატისტიკური დეტალის მოყვანა იქნებოდა საინტერესო: სიტყვები «Грузия, грузин, грузинский» და მსგავსი ვარიაციების რაოდენობა ტექსტში სულ 526 არის, «Греция, греки, греческий» - დაახლოებით 140, ხოლო «Армения, армяне» კი - 84. მაშინ, როცა ტექსტში ნახსენები «Армения, армяне» -ს დაახლოებით ნახევარი შუა საუკუნეებს მიემართება, ნახევარი კი უახლეს ისტორიას (სსრკ,

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და ა.შ.), «Грузия, грузин, грузинский»-ის ლომის წილი მიემართება საბჭოთა ეპოქასა და ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს, ხოლო შუა საუკუნეების პერიოდს 526-დან მხოლოდ 40 ეხება, თანაც ეს სიტყვები ძირითადად გამოყენებულია როგორც ზედსართავი სახელი ქართული მემატიანეების აღსანიშნად (Бгажба et al; 2007: Содержание).

სწორედ ამგვარად სრულდება აფხაზურ ნარატივში 1950-იანი წლების „აფხაზურ წერილებში“ წამოყენებული იდეა საქართველოსგან განცალკევების შესახებ.

დასკვნა.

ნაშრომის ერთ-ერთ თავში მოყვანილია აფხაზური მითი სამყაროში მიწების დანაწილების შესახებ, რომელიც ქართული მითის ანალოგს წარმოადგენს. ჯუმა ახუბა თავის წერილის დასასრულს აღნიშნავს: „ბევრი იმპერია ცდილობდა ჩვენს დაპყრობას, თუმცა დრო გადის, იმპერიები იშლება და ქრება, აფხაზეთი და აფხაზები კი დღემდე არსებობენ და მომავალშიც მუდამ იარსებებენ (Axyba, ჯ. (2013). გვ.: 187). ეს ფრაზაც ძალიან ჰგავს ქართველებში გავრცელებულ წარმოდგენებს საკუთარ თავსა და საკუთარ სამშობლოზე. უმთავრესი განსხვავება კი ორივეგან არის სამშობლოს ტერიტორიული განზომილება. ორი ერი ფაქტობრივად ერთსა და იმავე მიწაზე აცხადებს, რომ ეს ექსკლუზიურად მისი სამშობლოა. ზემოთ მოყვანილ ციტატაში „იმპერიის“ ცვლადად საქართველოც მოიაზრება, თუნდაც მინი-იმპერიად. ანუ ქართველები აფხაზებისათვის აგრესორებს, მტრებს წარმოადგენენ.

ქართულ-აფხაზური საერთო ისტორიისადმი აფხაზთა დამოკიდებულების გასაგებად, ანკეტაში შემდეგი ორი კითხვა დავსვი. პირველ კითხვას: „მიიჩნევთ თუ არა ქართულ წარწერიან ცნობილ ბედიის ოქროს ბარძიმს აფხაზური მატერიალური კულტურის ნაწილად?“ რესპონდენტთა დაახლოებით 95%-მა დადებითი პასუხი გასცა. მეორე კითხვას: „მიგაჩნიათ თუ არა თამარ მეფე საკუთარ მეფედ, ანუ განიხილავთ თუ არა მას საკუთარი ისტორიის ნაწილად?“ დაახლოებით 70%-მა ასევე დადებითი პასუხი მონიშნა. სამაგიეროდ კითხვაზე „მიგაჩნიათ თუ არა ქართველები ოკუპანტებად?“ ყველა ერთხმად პასუხობს „დიახ“-ს.

სწორედ ეს ბრალდება გასდევს ქართველებთან მიმართებაში წითელ ხაზად მთელს აფხაზურ ეროვნულ ნარატივს. ახალგაზრდა აფხაზური ინტელიგენცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იწყებს ჩამოყალიბებას, თანდათან ქმნის ნაციონალურ ნარატივს, რომელშიც აცოცხლებს წარსულში მომხდარ ტრაგიკულ ფაქტებს, მათ მითოლოგიზაციას ეწევა, ცდილობს შექმნას ქართველებისგან მტრის ხატი

„ქართველთა ანტიაფხაზური პოლიტიკის“ წარმოჩენის გზით და ამით გაამართლოს სეცესიონიზმისკენ სწრაფვა როგორც აფხაზურ საზოგადოებაში, ისე აფხაზეთის საზღვრებს გარეთაც. საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში თბილისში გაუღერებულ ანტიაფხაზური გამოთქმები, მოგვიანებით კი ქართულ-აფხაზური ომი იქცა აფხაზური სეცესიონისტური მოძრაობის ლიდერთათვის საბოლოო არგუმენტად, რომლითაც ადასტურებდა საქართველოსგან გამოყოფის აუცილებლობას.

გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული სია.

ინტერნეტ - რესურსები

ბესარიონ გუგუშვილი. (2011, 6 მარტი). «ზ.გამსახურდია 9.4.1991». [ვიდეო Youtube-დან]. წყარო: <https://www.youtube.com/watch?v=uHCfTcKfSeQ>

Circassianworld. (2008, 28 სექტემბერი). «The Georgian Commander-in-Chief on TV threatens the Abkhazian nation with genocide». [ვიდეო Youtube-დან]. წყარო: <https://www.youtube.com/watch?v=XzvtaZIMy98>

«CIVIL ენციკლოპედიური ლექსიკონი». საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (NPLG). წყარო: <http://www.nplg.gov.ge>

Facebook - გვერდი: «აფხაზეთი ჩვენი ტკივილია» (06.12.2015). წყარო: https://www.facebook.com/166722300107589/photos/a.169489079830911.36678.1667223001_07589/823716631074816/?type=3&theater

Facebook - გვერდი: Giorgi Gaga Mikelashvili (06.12.2014). «ძირმველი აფხაზები და ჩამოსახლებული ველური ტომები აფსუები უგავთ რამე ქართული ? აფხაზობას რომ ვაბრალით და იბრალებენ?» წყარო: <https://www.facebook.com/photo.php?fbid=883505235014085&set=a.130354923662457.1449.4.100000638500292&type=3&theater>

Geminus Janus. (2017, 31 მარტი). «გამსახურდია: აფხაზი ერი არ არსებობს. აფსუას ტომი ჩრდილოეთ კავკასიაში უნდა დაბრუნდეს». [ვიდეო Youtube-დან]. წყარო: https://www.youtube.com/watch?v=Pe4QP3_u3WY

«Абхазия отказалась проводить референдум о присоединении к России» (10.06.2016). Лента.Ру. წყარო: https://lenta.ru/news/2016/06/10/abhaziya_referendum/

Ардзинба, В. (1992, 14 აგვისტო). «Обращение Председателя Верховного Совета Республики Абхазия В. Ардзинба». Официальный Сайт Республики Абхазия. წყარო: abkhazia.rph/5316

«Багапш победил на выборах президента Абхазии, набрав 61,16% голосов» (14.12.2009). Рия Новости. წყარო: <https://ria.ru/world/20091214/199237332.html>

«Выступление на торжественном собрании, посвященном 25-й годовщине принятия Акта провозглашения независимости Республики Южная Осетия» (2017, 29 აპრილი). Официальный сайт Президента Республики Южная Осетия. წყარო: <http://presidentruo.org/vystuplenie-na-torzhhestvennom-sobraniyu-posvyashhennom-25-j-godovshchine-prinyatiya-akta-provozglascheniya-nezavisimosti-respubliki-yuzhnaya-osetiya/>

«Конституция республики Абхазия» (23.06.2017). АпсныПресс. Государственное информационное агентство Республики Абхазия. წყარო: <http://www.apsnypress.info/apsny/constitution/>

«Новый глава Южной Осетии Бибилов: от миротворца до президента» (10.04.2017). Рия Новости. წყარო: <https://ria.ru/world/20170410/1491920381.html>

«Осетины проголосовали за Россию. Парламент Южной Осетии выступает за вхождение в состав РФ» (09.06.2014). Лента.Ру. წყარო: <https://lenta.ru/articles/2014/06/09/ruotorf/>

«Отставка Анкваба вызвана нежеланием Москвы допустить применение силы - эксперты» (01.06.2014). Спутник Грузия. წყარო: <https://sputnik-georgia.ru/conflicts/20140601/216584767.html>

Папаскир, А. (2009). «К Проблеме Возрождения Абхазии». (ინტერვიუ). აფხაზეთის სახალხო პარტიის ვებ-გვერდი. წყარო: <http://kiaraz.org/page187/>

«Президент Абхазии Александр Анкваб подал в отставку» (01.06.2014). Лента.Ру. წყარო:
<https://lenta.ru/news/2014/06/01/ankvab1/>

«Референдум о присоединении к России рано или поздно будет» (02.06.2017). Официальный сайт Президента Республики Южная Осетия. წყარო:
<http://presidentruo.org/anatolij-bibilov-referendum-o-prisoedinenii-k-rossii-rano-ili-pozdno-budet/>

«ЦИК Абхазии объявил Рауля Хаджимбу избранным президентом» (25.08.2014). Ведомости. წყარო: <https://www.vedomosti.ru/politics/articles/2014/08/25/cik-abhazii-obyavil-raulya-hadzhimba-izbrannym-prezidentom>

«Эксперт: абхазы не хотели бы присоединения к России. Почему премьер Абхазии исключил референдум по сценарию Южной Осетии» (2016, 10 ივნისი). Московский Комсомолец. წყარო: <http://www.mk.ru/politics/2016/06/10/ekspert-abkhazy-ne-khoteli-by-prisoedineniya-k-rossii.html>

«Явка на выборах президента Абхазии составила 70%» (26.08.2011). Интерфакс. წყარო:
<http://www.interfax.ru/russia/205261>

«Явка на выборах в парламент Абхазии более чем на 5% превысила итоги прошлых выборов» (12.03.2017). ТАСС. წყარო: <http://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/4088131>

წიგნები

გაჩეჩილაძე, რ. (2013). «საქართველო მსოფლიო კონტექსტში. XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები». თბილისი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

გვანცელაძე, თ. (2003). «აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის სამწიგნობრო ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიიდან». თბილისი. გამომცემლობები «ქართული ენა» და «ინტელექტი».

გოლცი, თ. (2014). «საქართველო. ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში». თბილისი. გამომცემლობა «არტანუჯი».

დავითაშვილი, ზ. (2003). «ნაციონალიზმი და გლობალიზაცია». თბილისი. გამომცემლობა «მეცნიერება».

«ეთნოსები საქართველოში». (2008). თბილისი. საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა.

ინგოროვა, პ. (1954). «გიორგი მერჩულე: ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან». თბილისი. გამომცემლობა «საბჭოთა მწერალი».

იუნგე, მ.; ბონვეჩი, ბ. Et al. (2015). «ეთნოსი და ტერორი საქართველოში». თბილისი. გამომცემლობა «ინტელექტი».

ტრიერი, ტ.; თარხან-მოურავი, გ.; Et al. (2011). «მესხები: გზა შინისაკენ...». უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი (ECMI).

«ქართული საბჭოთა ენციკლოპედია». (1977). ტომი მეორე. თბილისი. მთავარი სამეცნიერო რედაქცია.

ჩიქოვანი ნ.; ჩხაიძე, ი. Et al. (2014). «იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860-1918)». თბილისი. არაკომერციული გამოცემა.

ხორავა, ბ. (2014). «აფხაზთა მუჰაჯირობა». თბილისი. გამომცემლობა «არტანუჯი».

Cornell, S. E. (2005). «Small Nations and Great Powers. A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus». RoutledgeCurzon, Tailor & Francis Group.

Hewitt, B.G. (1996). «Abkhazia: a problem of identity and ownership». In J.F.R. Wright, S. Goldenberg & R. Schofield (Eds.) «Transcaucasian Boundaries». London. UCL Press.

Аббас-Оглы, А. (2005). «Не Могу Забыть». Москва. Издательство «ACT».

«Абхазия в Советскую Эпоху. Абхазские Письма (1947-1989). Сборник Документов». (1994). Том I. Республика Апсны, г. Акуа (Сухум).

Анчабадзе, З. В. (1959). «Из истории средневековой Абхазии». Сухуми. Абхазское Государственное Издательство.

Ахуба, Дж. (2013). «Вернись, Мой Брат. Историко-Публицистический Очерк». Сухум.

Ахуба, Дж. (2003). «Чтоб Далеко Пойти... Рассказы. Сказка. Стихи. Очерк. Драма. Публицистика. Интервью. Беседы. Документы. Письмо Другу». Сухуми. Издательство «Алашара».

Ачугба, Т. А. (2011). «История Абхазии в Датах. Справочник». Сухум. ГПП «Дом печати».

Брубейкер, Р. (2012). «Этничность без групп». Москва. Издательский Дом Высшей Школы Экономики.

Дзидзария, Г.А. (1982). «Махаджирство и Проблемы Истории Абхазии XIX Столетия». Сухуми. Издательство «Алашара».

Лакоба, С. (1993). «Столетняя война Грузии против Абхазии». Гагра.

სტატიები

არძინბა, ვ. (1991, 19 მარტი). «საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზ. კ. გამსახურდიას». გაზეთი „აფხაზეთის ხმა“ №47. წყარო: (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ვებ-გვერდი)
<http://abkhaziajustice.gov.ge/wp-content/uploads/2015/10/44.pdf>

გვანცელამე, თ. «აფხაზური სამწიგნობრო ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიიდან». თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ასოციაცია (თსკა). წყარო:
<http://www.amsi.ge/istoria/div/gvanc.html>

Zürcher, Ch., Baev, P., & Koehler J. (2005). «Civil Wars in the Caucasus». In P. Collier, & N. Sambanis (Eds.) «Understanding Civil War» (Volume 2: Europe, Central Asia and Other Regions). Washington. წყარო:

<http://documents.worldbank.org/curated/en/373981468308066282/pdf/344110v20PAPER10Official0use0only1.pdf>


Гамсахурдия, З. (1991, 12 მარტი). «Обращение к абхазскому народу». Ибტერნეტ-პორტალი ზვიად გამსახურდიას შესახებ. წყარო:
<https://zviadgamsakhurdia.wordpress.com/2010/08/03/звиад-гамсахурдия-обращение-к-абхазс/>

Пачулия, Л. (09.04.2015). «Вернись, Мой Брат!». Газета «Республика Абхазия». წყარო:
http://gazeta-ra.info/index-1.php?ELEMENT_ID=11142

Шария, В. (04.12.2014). «Вернись, мой брат!». Эхо Кавказа. წყარო:
<https://www.ekhokavkaza.com/a/26725492.html>

დანართი:

დანართი № 1. წყარო: (Giorgi Gaga Mikelashvili, 2014);



დანართი № 2. წყარო: (Facebook-გვერდი: «აფხაზეთი ჩვენი ტკივილია», 2015).

